# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 2006 წელი.

№ 158 (5499)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# კოდორი სასწაულის მოლოდინში

## პრეზიდენტმა მთავრობას ახალი დავალება მისცა



### პირადი პასუხისმგებლობა ზურაბ ნოღაიდელს, მალხაზ აქიშბაიას, ვანო მერაბიშვილს ეკისრებათ

მინიმუმ 100 000-კაციანი რეზერვისტთა არმია და მსოფლიოს სტანდარტების მქონე რეზერვისტთა ბანაკები — ასეთი დავალება მისცა პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას გუშინ კანცელარიაში გამართულ საგანგებო სხდომაზე.

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და რისკების გათვალისწინებით, ქვეყანაში უნდა შეიქმნას რეზერვისტების ძლიერი, მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც ამ პრობლემების ინიციატორებს დაუკარგავს ხალისს, რომ საქართველოს სირთულეები შეუქმნან.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მთავრობამ რეზერვისტთა ბანაკებში სამსახურის მსურველ პირებს სათანადო პირობები უნდა შეუქმნას — ეს იქნება სანიტარიული მომსახურება, ელექტროენერგიით მომარაგება და ა.შ.

პრეზიდენტმა პარალელი გაავლო შვეიცარიასთან, სადაც, მისი ინფორმაციით, 400 000-კაციანი რეზერვისტთა არმია არსებობს და ასევე ისრაელთან, რომელსაც 500 000 კაცზე მეტი რეზერვისტი ჰყავს.



„საქართველოს ჰყავს პატრიორტთა დიდი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარი დაპირებისა და ანაზღაურების გარეშე მზად არის, სამი კვირის განმავლობაში მომზადების კურსი გაიაროს“, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ დღეისთვის საქართველოს მეტ-ნაკლებად კარგად მომზადებული 50 ათასი რეზერვისტი ჰყავს.

პრეზიდენტმა მოუწოდა ქართულ საზოგადოებას, გაიარონ რეზერვისტის მომზადება, რადგან მას მიაჩნია, რომ ეს „ელემენტარული კაცური მოვალეობაა ქვეყნის წინაშე“.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ მთავრობის კანცელარიაში გამართულ მთავრობის საგანგებო სხდომაზე კოდორის ხეობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ტემპი დაიწუნა.

პრეზიდენტის განცხადებით, კოდორის ხეობაში ანუ ზემო აფხაზეთში ერთ თვეში, მაქსიმუმ, თვენახევარში ახალი მინიქალაქები უნდა აშენდეს. „დანარჩენმა აფხაზეთმა უნდა დაინახოს, რომ ის, რაც სეპარატისტულმა რეჟიმმა 14 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა, საქართველოს ხელისუფლებამ ერთ თვეში გააკეთა. ეს არის ჩემი კატეგორიული მოთხოვნა. ამაზე ყველა საკუთარი თავით აგებს პასუხს,“ - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა. მისი თქმით, თუ საჭირო იქნება, ხელისუფლებამ უნდა შეძლოს აეროპორტის სამ კვირაში, ხოლო ქალაქის ერთ თვეში აშენება.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა კოდორის ხეობაში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე პასუხისმგებლობა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს დააკისრა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყურადღება საკურორტო სეზონზეც გაამახვილა. მისი თქმით, 2006 წელი არის პირველი წელი, როდესაც მაღალმთიანი კურორტები დამსვენებლებით არის სავსე. მისი შეფასებით, ეს აშკარა პროგრესია, თუმცა, მთავრობამ კიდევ ბევრი რამის გაკეთება ვერ მოასწრო.

პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას დავალება მისცა, მაქსიმალურად სწრაფი ტემპებით მოახდინონ მაღალმთიანი კურორტებისკენ მიმავალი გზების რეაბილიტაცია.

* * *

საქართველოს მთავრობა მზად არის, პრეზიდენტის დავალების თანახმად, კოდორის ხეობაში სასწაული მოახდინოს.

როგორც გუშინ პრეზიდენტის მეთაურობით გამართული მთავრობის საგანგებო სხდომის შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა განაცხადა, საქართველოს მთავრობას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ნებისმიერი სირთულის ამოცანის შესრულება შეუძლია.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მალხაზ აქიშბაიას განცხადებით, იგი კოდორის ხეობაში 17 აგვისტოს გაემგზავრება და ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოს თავად უხელმძღვანელებს. „მაქსიმალურად შევეცდები ყველაფრის გაკეთებას და ალბათ, სასწაულსაც მოვახდენ“, — განაცხადა მალხაზ აქიშბაიამ.


რა ჭირი გვჭირს ამისთანა...

3

ვინ არის თხილის მაფიასთან შეკრული?

2

ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი

8

მიხეილ გორბაჩოვის აღსარება

9-10

◉ ცხელი წერტილი

# აფხაზეთთან კარგი ურთიერთობა რუსეთის ფაქტორის გასანეიტრალებლად გვჭირდება...

## ამბობს პოლიტოლოგი შალვა ფიჩხაძე

**— ბატონო შალვა, ფიქრობთ თუ არა, რომ კოდორის ბოლოდროინდელმა მოვლენებმა რუსეთთან ურთიერთობა დაძაბა?**

— კოდორში მოხდა ჩვეულებრივი ამბოხი, რაც ჩასახშობი იყო. ამით რუსეთთან ურთიერთობა გამწვავდა თუ არ გამწვავდა, ქვეყანამ ეს ასე არ უნდა შეაფასოს. ამბოხი ქვეყნის ტერიტორიის რაღაც ნაწილზე უნდა მოწესრიგდეს. სხვა საკითხია, ეს ყველაფერი რა მეთოდებით მოხდება. უკეთესი იქნებოდა, პრობლემა წყნარად მოგვარებულიყო, ისე, რომ ბევრს არც გაეგო მომხდარის შესახებ...

თუ ამ ყველაფერმა რუსეთთან ურთიერთობა გაართულა, ეს მისი პრობლემაა, და არა — ჩვენი. რატომ უნდა გაღიზიანდეს რუსეთი, თუ ჩვენს რომელიმე რეგიონში ვითარების მოსაწესრიგებლად რაღაცას ვაკეთებთ...

**— გაღიზიანება კოდორში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გადასვლამ და ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობამ გამოიწვია...**

— ამას შეიძლება ორგვარი შეფასება მიეცეს. ერთი მხრივ, ეს არის ერთგვარი ნიუანსი, რომ ჩემს ტერიტორიაზე რასაც მინდა, იმას გავაკეთებ.

თუ ჩვენ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა ავირჩიეთ, მაშინ ამ თვალთახედვით უნდა შევაფასოთ, რა საჭიროა იქ ამ ხელისუფლების გადატანა. ჩვენ ვიცით, რომ ამ ხელისუფლების იქ არსებობა აფხაზებს აღიზიანებთ. ისინი მათთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას არ აპირებენ.

კიდევ ერთი რამ: კონფლიქტი აქვს ქართულ სახელმწიფოს, ეს უბრალო რამ ხომ არ არის, რომ რეგიონში რომელიმე ორმა მხარემ წაიჩხუბა. კონფლიქტი აქვს ქართულ სახელმწიფოს, რომელშიც ჩარეულია ჩვენი მეზობელი — რუსეთი, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა ემუქრება ქართულ სახელმწიფოს, და არა მის რომელიმე პროვინციას — აფხაზეთს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ რომ ახლა მოსალაპარაკებლად ერთმანეთთან დავსვათ აფხაზეთის ქართული და აფხაზური ხელისუფლება, ვფიქრობ, ეს მართებული გზა არ იქნება. მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხს მისი ერთ-ერთი ურჩი რეგიონი აწყობს.

თუ ჩვენი მიზანი ომის გზაა, მაშინ აფხაზეთის ქართული ხელისუფლების კოდორში ჩასვლა აფხაზების გამოწვევას ემსახურება, რომ მათ დაიწყონ საომარი მოქმედება, მერე ჩვენ აქედან დავარტყათ და ვთქვათ, იმათ გამოგვიწვიეს, ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

მაგრამ ომის შემთხვევაშიც კი არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, არა მგონია, რომ აფხაზებს ეს ყველაფერი გათვლილი არ ჰქონდეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს არ დაუძახონ დასახმარებლად, ასევე, რუსებს, რომლებმაც შესაძლოა მიიღონ მონაწილეობა კონფლიქტში, მაგრამ არა ღიად.

ასე რომ, კოდორში აფხაზეთის ქართული ხელისუფლების გადაყვანა აფხაზებზე ზემოქმედების მექანიზმია, რომელიც ვიმეორებ, შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ ჩვენ არჩეული გვაქვს ვითარების დაძაბვისა და ესკალაციის გზა, მაგრამ თუ ჩვენ მოლაპარაკების გზა ავირჩიეთ, წინასწარ ყველამ ვიცით, რომ ასეთი მოქმედება მშვიდობიან მოლაპარაკებებს კი არ აახლოებს, არამედ აშორებს.

ასე რომ, ვითარების კონფრონტაციის გზის არჩევამ არა მგონია წარმატება მოგვიტანოს, რადგან ეს ყველაფერი რომ მოხდეს, რუსეთის ფაქტორი უნდა გამოირიცხოს. სამწუხაროდ, ამას ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

**— და მაინც, დაძაბავს თუ არა კოდორის ფაქტორი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას?**

— არ მესმის, კოდორის ფაქტორმა რატომ უნდა დაძაბოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა? თუმცა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე შესაძლოა იმოქმედოს. ის, რომ აფხაზების უკან რუსები დგანან, მართებული არ არის. როგორ ფიქრობთ, რუსები რომც არ იდგნენ, აფხაზები ჩაგვეხუტებოდნენ? ეს, ჩემი აზრით, საკითხის გამარტივებაა, აფხაზები ვინ არიან, რუსეთია ყველაფერი. კარგი, ვთქვათ, რუსეთი წავიდა, მაგრამ განა აფხაზებს ჩვენ ვუნდივართ და რუსეთი ხელს უშლის ამაში? ეს ხომ სიცრუეა.



**— მაგრამ აფხაზებს რუსების სახით სერიოზული ძალა უმაგრებს ზურგს...**

— ძალაა, მაგრამ ჩვენ რომ აფხაზებთან კარგი ურთიერთობები ვიქონიოთ, რუსეთის ფაქტორი განეიტრალდება. ჩვენ აფხაზებთან უნდა დავამყაროთ კარგი ურთიერთობა რუსეთის ფაქტორის გასანეიტრალებლად, მაგრამ საამისოდ არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ ვითარების გასამწვავებელ ნაბიჯებს ვდგამთ.

**— რას გულისხმობთ?**

— პრეზიდენტის განცხადებებს, მოლაპარაკებების არარსებობას, მოლაპარაკებებიდან ყველაზე კარგი მომლაპარაკებლის ირაკლი ალასანიას მოშორებას, სენაკში სამხედრო ბაზის გახსნას და იქიდან მუშტების ქნევას...

ჩემთვის მიუღებელია პრეზიდენტის გამონათქვამები, რომ „აფხაზეთში არის კაციჭამიების დემოკრატია“, რომ თუ მასთან ბაღაფშს შეხვედრა უნდა, ჩამოვიდეს თბილისში, ზარი დაურეკოს და ელაპარაკოს, იცის, ბაღაფშმა სად ვცხოვრობ...

როგორ გგონიათ, ასეთი განცხადებები აფხაზეთისთვის სასიამოვნო მოსასმენია და შეურაცხმყოფელი და გამაღიზიანებელი არ არის? რა თქმა უნდა, არის. მათ ძალიან კარგად იციან, ვინ რას ამბობს მათი მისამართით...

**— გოგა ხაინდრავას განთავისუფლების შემდეგაც გავრცელდა ხმები, რომ ომის პარტიამ გაიმარჯვა საქართველოში...**

— რა თქმა უნდა, ეგეცაა, ოღონდ პირდაპირ გეტყვით, ხაინდრავას დიდი წონა არ ჰქონდა ამ ხელისუფლებაში. გადაწყვეტილებების მიმღები ფიგურა არ იყო. მას ცოტა ვინმე თუ უსმენდა. ვფიქრობ, ამან განაპირობა, ძირითადად, ხაინდრავას წასვლა. მობეზრდა ამ კაცს. პრეზიდენტი მინისტრობის დროსაც კი არ იღებდა და მით უმეტეს მერე აღარ მიიღებდა...

**— თქვენ ირაკლი ალასანია ახსენეთ... მაინც, რატომ უნდა მოეცილებინათ?**

— თუ გახსოვთ, ირაკლი ალასანიამ პირდაპირ განაცხადა, რომ ოქრუაშვილის მიერ ბატალიონ „მონადირის“ გაუქმება სერიოზული შეცდომა იყო. სხვათა შორის, ისიც ხაინდრავასავით თეთრი ყვავი იყო ამ ხელისუფლებაში.

**— ბატონო შალვა, ჩვენ „ომის პარტიაზე“ ვლაპარაკობდით...**

— ვერ ვხედავ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მოლაპარაკებები აწარმოოს და ეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვაროს, ბევრი რამ კეთდება საკითხის სამხედრო გზით გადასაწყვეტად. სამხედრო გზით საკითხის გადაწყვეტა მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლებელია, ყველა სხვა დანარჩენი ფაქტორის გამორიცხვის შემთხვევაში, თუ რუსები, ჩრდილოკავკასიელები და სხვები არ ჩაერევიან. მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში, ასეთ სურათს მივიღებთ. დავუშვათ, შევვარდით იქ ჯარით, აღვმართეთ დროშაც. ხალხს — აფხაზებს რას ვუშვრებით? თუ მართლა ვიღაცას ჰგონია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, ბაღაფში და მისი გუნდი, ან პუტინი და კრემლი ხელს უშლის ჩვენი და აფხაზების ჩახუტებას?.. ასე არ არის. განა აფხაზებს უნდათ ჩვენი ჩახუტება?..

ასე რომ, რას ვუშვრებით იმ მოსახლეობას?

ყველას დავაშინებთ, გავაჩუმებთ და აფხაზეთშიც დიქტატორულ რეჟიმს დავამყარებთ? ამას მოჰყვება აფხაზეთში ნორმალური ცხოვრება? თუ იმხელა რესურსი გვაქვს, რომ აფხაზეთს უცებ ავაყვავებთ და ისინი ჩვენს მხარეს გადმოვლენ? და რა, ერთ წელიწადში რივიერა გახდება აფხაზეთი? აფხაზები კი იტყვიან, აქამდე სად ვიყავით, ქართველები აქამდე რატომ არ გვინდოდაო?

ასე რომ, რაიმე ნაბიჯის გადადგმამდე ჯერ სერიოზული ფიქრი და განსჯა გვმართებს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ პრესკონფერენცია

# თხილის მაფიასთან არიან შეკრული...

**ოპოზიციური პარტიები მომავალი არჩევნებისთვის ემზადებიან. უკვე ცნობილი გახდა, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ მრეწველები, რესპუბლიკელები და კონსერვატორები. რესპუბლიკელები თავის კანდიდატად თინა ხიდაშელს ასახელებენ, კონსერვატორები — კობა დავითაშვილს, ხოლო მრეწველები — გოგი თოფაძეს. სწორედ ისინი უნდა დაუპირისპირდნენ თბილისის ახლანდელ მერს — გიგი უგულავასა და „საქართველოს გზის“ ლიდერს — სალომე ზურაბიშვილს.**



ქალბატონ სალომეს ამ არჩევნების შესახებ თავიდანვე ჰქონდა თავისი მკვეთრი, გარკვეული პოზიცია: „საქართველოს ხმა“ დამოუკიდებლად აპირებდა ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. 15 აგვისტომდე პარტიას 50 ათასი ხმა უნდა მოეგროვებინა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის. დღეს სალომე ზურაბიშვილი უკვე თბილისის მერობის რეალური კანდიდატია.

ქალბატონ სალომეს ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტა მისი ეკონომიკური გაძლიერების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია. ფილარმონიაში, ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს მან განაცხადა: **„თუ საქართველო ეკონომიკურად არ გაძლიერდა, ის ვერ დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ პრობლემას. იმისათვის, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ, სამეგრელო უნდა აყვავდეს. აფხაზებმა და ოსებმა უნდა დაინახონ, რომ მათთვის ქართველებთან თანაცხოვრება უფრო სასიკეთოა, ვიდრე სხვებთან“.**

15 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზეც, ქალბატონმა სალომემ მოსახლეობის ეკონომიკურ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. **„მე ადრე მოგახსენეთ, თუ რა პრობლემები აქვს მოსახლეობას კახეთში, დღეს კი გურიაზე მინდა გესაუბროთ. დღეს გურიაში მოსახლეობის მთავარი საფიქრალი თხილის ფასის დაცემაა. შარშან იქ კილოგრამი თხილი 3-4 ლარი ღირდა. წლეულს კი ფასი ხელოვნურად დააგდეს 80 თეთრამდე. ეს არის ძალზე შემაშფოთებელი პროცესი, რადგან გურიაში ხალხის შემოსავლის ძირითადი წყარო თხილია. ფასის დავარდნა გამოწვეულია იქ მაფიის არსებობით. ამ მაფიას კი კავშირი აქვს პარლამენტარებთან. მოსახლეობის თქმით, ესენი არიან ჩხარტიშვილი და სიორიძე. მათ დაევალათ ოზურგეთსა და ურეკს შორის გზის მშენებლობა და რასაც ხარჯავენ, ამ გზით უკანვე იბრუნებენ“.**

ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის თქმით, გურიაში მოსახლეობა თავის თავს ხელისუფლებისგან მივიწყებულად თვლის და უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ ეხმაურებიან

# მაქვს პრეტენზია, საკუთარ რაიონში ვიყო ქველმოქმედი და არა ბიზნესმენი

## ივანე ჩხარტიშვილის განცხადება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ბრიფინგთან დაკავშირებით

**გვინდა, იმთავითვე პატივისცემა და თანადგომა გამოვხატო ყველა იმ პირის, ორგანიზაციისა და პარტიის მიმართ, რომლებიც გურიის პრობლემებით ინტერესდება, თუნდაც — წინასაარჩევნოდ. მე, როგორც ოზურგეთელი და როგორც ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებ ოზურგეთელების მხარდასაჭერად, მაგრამ პრობლემები უამრავია, და, ცხადია, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. სამწუხაროდ, ქ-ნმა სალომე ზურაბიშვილმა ბრიფინგზე ასეთი პირების ინფორმაცია გაახმოვანა და ტირაჟირება გაუკეთა სრულ სიყალბეს. არადა, სერიოზული პოლიტიკოსის პრეტენზიის მქონე პირი დაუზუსტებელ ინფორმაციასა და ინსინუაციებს არ უნდა ავრცელებდეს.**

კატეგორიულად უარვყოფ არათუ გურიაში, საერთოდ საქართველოში თხილის ბიზნესთან რამენაირ კავშირს. მაქვს პრეტენზია და ღირსება, საკუთარ რაიონში ვიყო ქველმოქმედი და არა ბიზნესმენი. რაც შეეხება ოზურგეთი-ურეკის გზის მშენებლობას, იგი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს და მესახელება, რომ პროექტის დამტკიცებაში აქტიური მონაწილეობა მივიღე.

**ივანე ჩხარტიშვილი**

◉ ინფორმაცია

## აშშ-ს კოდორის ხეობის შესახებ არასწორი ინფორმაცია აქვს?

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ეუთოში აშშ-ს მისიას კოდორის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შესახებ არასწორი ინფორმაცია აქვს და სწორედ ამ მიზეზით იწონებს აშშ კოდორის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას.**

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო უწყების განცხადებით, ეუთოში აშშ-ს მისიამ არ იცის, რომ თავის დროზე ემზარ კვიციანსა და ბატალიონ „მონადირეს“ იარაღი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაურიგა.**

**სეპარატისტული საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ს ეუთოს მისიას შეახსენებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული ქვედანაყოფები ხეობაში ყველა ხელშეკრულების დარღვევით შეიყვანა.**

**სეპარატისტები მოუწოდებენ აშშ-ს, ზემოქმედება მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა კოდორის ხეობაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების და ეუთოს მისიის ერთობლივი პატრულირება განხორციელდეს.**

## გიორგი გვიჩიანსა და ნიკა ჩემიას სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ



**კომპანია „ეი ი ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი გვიჩიანსა და ნიკა ჩემიას დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მესამე განსასჯელმა — ავთანდილ ხერკელაძემ პროკურატურასთან საპროცესო გარიგება გააფორმა და მას რვაწლიანი პატიმრობა ელოდება.**

**განაჩენის გამოცხადებას სასამართლოს დარბაზში ბრალდებულების ახლობლების ხმაური მოჰყვა. ისინი განაჩენს აპროტესტებდნენ და ბრალდებულთა გათავისუფლებას ითხოვდნენ.**

**გამოძიების მასალების მიხედვით, გიორგი გვიჩიანმა მკვლელობა კომპანიაში მისი მუშაობის დროს აღმოჩენილი ფინანსური მაქინაციების დაფარვის მიზნით დაუკვეთა. შეკვეთა კი ნიკა ჩემიამ შეასრულა.**

## კიდევ ერთმა რუსულმა ეშელონმა დაგვტოვა

**წალკის ტერიტორია გუშინ რუსული ტექნიკით დატვირთულმა 15-მა ვაგონმა დატოვა. ეშელონში სამი ტანკი „თ-72“, ერთი ტანკი „თ-34“, ექვსი „ბე-ერ დე-ემ-2“, სამი „ბე-ტე-ცე-4“ და 100 ტონა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი იყო მოთავსებული.**

**ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან გამოჰქონდათ. გუშინ კი ეშელონი წალკიდან დილის ცხრა საათზე დაიძრა და აზერბაიჯანის გავლით რუსეთში გაემგზავრა. 17 აგვისტოს საქართველოს რუსული სამხედრო ტექნიკის კიდევ ერთი ნაწილი დატოვებს. ამჯერად ორ დღეში ახალქალაქის ბაზიდან გიუმრისკენ ბოლო კოლონა გავა. 22 ოქტომბერს კი წალკა-აზერბაიჯანი-რუსეთის ფედერაციის მიმართულებით მორიგი ეშელონი დაიძრება.**

მედიანიუსი

# რა ჭირი გვჭირს ამისთანა...



## უბრალოდ, მოუთმენელია!

### წყალში ვდგავართ, ცეცხლი გვიკიდია

დუშეთის თავზე, შეიძლება ითქვას, „წისქვილის ქვა არ დატრიალებულა“, ან საიდან დატრიალდებოდა, უწყლოობით ამ სიცხეში გვხოცავენ, რაიონის ხელმძღვანელები რომელთა სამსახური და მოვალეობა ხალხის მომსახურებაა, ტრადიციულ უნიათობას არ ღალატობენ. სტიქიურმა მოვლენებმა – ჯერ მეწყერმა წაგვიღო და დაგვაქცია, ახლა უწყლოობა გვხოცავს. შარშან ძრავს აბრალებდნენ და ბოლოს, ლამის სომხეთში წაიღეს წყლის ძრავი „დასახვევად“. აშკარაა, წყლის თემა გახდა სპეკულირებისა და ფულის კეთების წყარო. ბოლოს და ბოლოს, რაიონში რამდენიმე არტეზიული ჭა რომ იყოს, წყლისთვის ჟინვალში სირბილი არ მოგვიწევდა. ძნელია, კერძოდ გაურიგდე წყლის მაძიებლებს, ისეთ ფასს ადებენ მბურღავები თავიანთ ხელობას. სანატრელ წყალს ცეცხლი ეკიდება.



ისე, ბედის დაცინვაც არის – გარშემო ბაზალეთი, ბულაჩაური, ჟინვალია და... ამას ჰქვია „წყალში ვდგავართ, ცეცხლი გვიკიდია“ სწორედ, ხელმძღვანელთა უმოქმედობის გამო, რომლებსაც პოლიტიკის მეტი არაფერი აინტერესებთ, ისიც არჩევნების დროს!.. სად არის მარინე მოლოდინი, შალვა ნათელაშვილი, დოლიშვილი? რომ ჰკითხოთ, დუშეთზე და მაღალმთიან სოფლებზე დღე და ღამე ზრუნავენ. ჩვენ კი ელემენტარული წყლის ნატრული გაგვხადეს.

პრეზიდენტს შეპირდნენ, რაღაც ღონეს ვიხმართო, სუყველაფერი ტყუილია, მათ დუშეთის პრობლემა საერთოდ არ აღელვებთ.

**დავით კარიაული, სულხან პაპაშვილი, ალუდა შამანაური, გიორგი ლიქოკელი, ვასილ ალავერდოვი, გოდერძი ჩოხელი, ალექსი ბექაური, გივი შადური.**

## ქრთამით წაბილწული ბიწაძე



**ამ ბოლო დროს გახშირდა ადმინისტრაციულ ორგანოთა თანამშრომლების მხილება ქრთამის აღების ფაქტზე.**

როგორც ჩანს, ზოგიერთი მოსამართლე, პროკურორი თუ ადვოკატი არაფრად აგდებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეცდანიშნულების „რაზმის“ თანამშრომელთა პრინციპულობას და პირდაპირ „ვა-ბანკზე“ მიდის... ამ სულგაყიდულმა ადვოკატებმა ხომ (ბოდიშს ვუხდით ჩვენს მოუსყიდავ სახელოვან ვექილებსძ სულ წაბილწეს სამართალიც და ადამიანური ზნეობა-მორალიც.

გუშინ ქრთამის გამოძალვის ცინცხალ ფაქტზე ადვოკატი ვიტალი ბიწაძე დაიჭირეს.

როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები ამტკიცებენ, ადვოკატმა ბიწაძემ ერთ-ერთი გაუბედურებული პატიმრის ნათესავს, თაღლითური გზით, ვითომცდა პროკურორისთვის (!ძ გადასაცემად 2000 ლარი გამოსძალა.

ბიწაძე გაკოჭილია. ქრთამის გამოძალვის დამტკიცების შემთხვევაში მას 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გამოძიებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი წარმართავს.

მაღალი ხელფასები, „მაღალი“ მდგომარეობა, ირგვლივ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაო ატმოსფერო.. წუწკი ადვოკატები თავისას მაინც არ იშლიან...

9 წელი გისოსებს მიღმა, ახია მასზე.

**ბახვა ფულავა**

SIC! SIC! SIC!

# ქართველები თუ არ ვიქნებით, ვისთვის გინდათ ეს ქვეყანა?

## სტატისტიკური მონაცემებით მთლად ცოტაც არ ვყოფილვართ, მაგრამ რეალობა რომ სულ სხვაა?

**სანაპიროზე, საიდანაც ელიავას ბაზრობა იწყება, ერთ დიდ ჭადართან, სამუშაოს მაძიებელთა თავმოყრა დილის 7 საათიდან იწყება. საქართველოს რომელ კუთხიდან ჩამოსულს არ ნახავთ აქ. უმეტესწილად იმერლები, გურულები და მეგრელები არიან, შედარებით ნაკლებად – კახელები, რაჭველები. მათ უმრავლესობას თავის დროზე ან უმაღლესი დაუმთავრებია, ან – ტექნიკუმი, სათანადო სპეციალობაც მიუღია, მაგრამ რად გინდა, დღეს თითოეული მლესავი, მბურღავი, მღარავი, ან სულაც მტვირთავი მუშაა.**

**გიორგი მენთეშაშვილი** და **დარია შიუკაშვილი** დედოფლისწყაროდან არიან, გიორგი თუ თავისუფალია, ამ ხის ძირში დიდი ქვა რომ გდია, იქ ზის ხოლმე და კლიენტს ელოდება, დარია იქვე ახლოს ხილით ვაჭრობს.

– 30 წელი პედაგოგი ვიყავი, – ამბობს ბატონი გიორგი, – ხაზვას ვასწავლიდი, ახლა პენსიაზე ვარ, გვიან დავცოლშვილდი, ამიტომ დროულ კაცს სამი შვილი მოსწავლე მყავს. იმათ ამარა დავტოვეთ ოჯახი, მე და ჩემი მეუღლე ქალაქში წამოვედით, იქნებ ცოტაოდენი თანხა ვიშოვოთ, რომ ბავშვებს წიგნები და ჩასაცმელი ვუყიდოთ, თან დარდიც გვაქვს, როგორ იქნებიან. მაღალი სიცხეების გამო ვენახის იმედი წელს უკვე გადაგვეწურა. ვნახოთ, რა იქნება.

**– იქნებ, თქვენსავე რაიონში გეშოვათ რაიმე სახის სამუშაო, და ასე არ გენაღვლათ ოჯახსა და ბავშვებზე?**

– ადგილზე პენსიონერი დაასაქმონ კი არა, ახალგაზრდა სპეციალისტებს არ აქვთ სამუშაო. აბა, ვისთან უნდა მივსულიყავი?

**– ბატონო გიორგი, როგორ მოგწონთ ბატონ მიხეილ სააკაშვილის ახალი ინიციატივა მოქალაქეთა გადამზადება-დასაქმების შესახებ?**

– კარგია, რასაც კარგს გააკეთებენ, მაგრამ ამდენი ზეინკალი, მღარავი, მღებავი, სჭირდება კი ქვეყანას? ღმერთმა ქნას, ყველას გამართლებოდეს, რასაც ჩაიფიქრებს, მაგრამ მაინც ეჭვი მეპარება. ბევრი ახალგაზრდა წავიდა უცხოეთში.

**– რატომ ეჭვი, პირიქით, პრეზიდენტი ისეთი პათოსით ლაპარაკობდა, ალბათ საქმეს ეშველება.**

– თქვენს პირს შაქარი, მაგრამ აი, დისშვილი მყავს კბილის ექიმი, ყველა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა შპს-ა და იქ უცხოს თითქმის არ იღებენ. წავიდა ის ბიჭი და ახლა ისიც მშენებლობაზე მუშაობს, ბეტონს ურევს. რა თქმა უნდა.

დღეს ყოველნაირი შრომა დასაფასებელია, მაგრამ აი, იმ ჩემს დისშვილს როგორ გადაამზადებენ? გამოდის, რომ 5 წელი რაც ისწავლა, ისიც კი დაავიწყდება. კარგია, თუ პრეზიდენტი ამ საკითხს მიხედავს და ახალგაზრდებს მაინც დაასაქმებს.

– **გიორგი ჯაჯანიძე** ჭიათურიდანაა – შეკითხვას არ მაცლის, პირდაპირ იწყებს... ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, როცა საჭირო იყო, ყველა გვერდით დავუდექით, ხმის მეტი ჩვენ არაფერი გვებადა და ამიტომ მიტინგებზე მთელი ძალით გავყვიროდით: მიშა, მიშა... ვიცით, რომ პრეზიდენტს უამრავი საქმე აქვს, აქეთ ტერიტორიები დასაბრუნებელი, ეკონომიკა ფეხზე დასაყენებელი, ბევრი ნამდვილად კარგი საქმეც კეთდება, კარგია სკვერები, შადრევნები, ფასადები, მაგრამ სანამ უმუშევრობა არ მოისპობა, სანამ ახალ სამუშაო ადგილებს არ შექმნის, მე კი ვიცი, უბრალო კაცმა და მთავრობამ არ იცის, რომ ქვეყანა ვერ აშენდება? დაგვასაქმონ, მოვცენ სამუშაო, რომ ოჯახიც ვარჩინოთ და თან სინდისნამუსიანი კაცის სახელიც ვატაროთ. აბა რას გავს ეს, ახლობელი რომ მოგიკვდება, გაჭირვებული ოჯახის




შვილი, და ხელს რომ ვერ გაუმართავ, სირცხვილი არ არის? ჩვენს შორის ძირითადად უმაღლესდამთავრებულები არიან, ანდა როდემდე უნდა ვიყოთ სხვისი ხელის შემყურე? მე ეს ორი კვირა გამიმართლა, მქონდა სამუშაო, ახლა კი ვზივარ, და კლიენტის მოლოდინში დომინოს ვთამაშობ, ესაა საქმე? თუ ქართველები არ ვიქნებით, ვისთვის უნდათ მაშინ ეს ქვეყანა? დღეს ყველანი ან მლესავები, ან დურგლები, ან მღებავები ვართ. სხვა არაფერია. იფიქრონ ჩვენზე, მოგვხედონ...

დიახ, უმუშევრობა დღეს სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრების თანმდევი სენი გახდა, ამ სენთან ბრძოლა კი – პრიორიტეტული.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის პირველ კვარტალში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, (უმუშევართა რაოდენობაძ 12,3 ათასი კაცით შემცირებულა. თუ ეს ნამდვილად ასეა, სამდურავი არ გვეთქმის.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ოფიციალურ ინფორმაციაში ვკითხულობთ:

შრომის ბაზრის დასახასიათებლად სტატისტიკის დეპარტამენტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსოძ რეკომენდაციებსა და დეფინიციებს ეყრდნობა. შესაბამისად, საქართველოს შინამეურნეობებისა და სამუშაო ძალის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებით, 2006 წლის I კვარტალში ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვმა (რომელიც მოიცავს მხოლოდ დასაქმებულებს და სამუშაოს აქტიურად მაძიებელ უმუშევრებსძ 1925,1 ათასი კაცი შეადგინა, რაც 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 60,7 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვმა 1643,1 ათასი კაცი შეადგინა.

2006 წლის I კვარტლის მონაცემებით დასაქმების სტატუსის მიხედვით დასაქმებულთა 36 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო დანარჩენი 64 პროცენტი თვითდასაქმებულთა რიგს მიეკუთვნება.

ანალოგიურ პერიოდში უმუშევართა რაოდენობამ 282,0 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2005 წლის I კვარტალთან შედარებით (294,3 ათასი კაციძ 12,3 ათასი კაცით, ანუ 4,2 პროცენტით ნაკლებია. უმუშევრობის დონე კი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 14,6 პროცენტია, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია...

ერთი ტელემაყურებლის რეპლიკისა არ იყოს, თუ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, მე რატომ ვარ ცუდადო, უკვირდა, ზუსტად ანალოგიურად ვფიქრობ მეც, გამოკითხვების მიხედვით მოსახლეობა დღეს ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად სწორედ უმუშევრობას მიიჩნევს. საკითხის პრიორიტეტულობა ზუსტად განჭვრიტა ქვეყნის პრეზიდენტმაც და სწორედ ამის შედეგია, რომ იგი ახალი ეკონომიკური ინიციატივით გამოვიდა.

უკვე ნადვილად ანგარიშგასაწევი და უდავოდ გასათვალისწინებელია უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლეში. ნათქვამი: „... **უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ხალხი დასაქმდეს და გამოვიდეს იმ მძიმე სოციალური პირობებიდან, რომელშიც ის დღეს იმყოფება...“**

**ვიტოვებთ იმედს, საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძვრება.**

**ნაზი იმნაიშვილი.**

◎ ინფორმაცია

## თინათინ ხიდაშელი „რუსთავი-2“-ს უჩივის



**რესპუბლიკური პარტიის წევრმა თინათინ ხიდაშელმა მედიასაბჭოში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა.**

**თინათინ ხიდაშელი, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ 8 აგვისტოს ამირან როზაქიძის სასამართლო პროცესის „არასწორი გაშუქების“ ფაქტს ასაჩივრებს.**

**მოსამართლის გადაწყვეტილებით, აღნიშნული სასამართლო პროცესი მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადაიდო, ტელეკომპანიის ინფორმაციით კი სასამართლო პროცესი დარბაზის გარეთ ატეხილი აჟიოტაჟის გამო ჩაიშალა. თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ეს სინამდვილეს არ შეეფერება.**

## ნოტარიუსებს ამოწმებენ

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომისიამ გურიისა და სამეგრელოს რეგიონების ნოტარიუსთა შემოწმება დაიწყო.**

**კომისია, რომელიც იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის ბრძანებით შეიქმნა, ნოტარიუსების სამსახურებრივ საქმიანობას სწავლობს. მონიტორინგის მიზანია სანოტარო მოქმედებების შესრულებისას შესაძლო ხარვეზების აღმოჩენა. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ნოტარიუსთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებები გატარდება.**

**მედიანიუსი**

◎ აქცენტი

# ძლიერი არმია ვინმეს დასაშინებლად როდი გვჭირდება

**მრავალპარტიულობა და ამ პარტიათა შორის დაპირისპირება რომ გვღუპავს, წყალი არ გაუვა.**

**დემოკრატიის „ბანგით“ გონებაარეული ზოგიერთი ძალად ოპოზიციონერი ხანდახან ისეთ სისულელეს იტყვის, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო კაცი.**

მოდი და ნუ „შეიშლები“, როცა გაიგებ, რომ კოდორის ხეობაში განხორციელებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას ზოგიერთებმა წარმოუდგენლად ალოგიკური სარჩული დაუდეს და ყველაფერი ეს, მათი აზრით, ...თითქოს იმისთვის გავაკეთეთ, რომ აფხაზებმა (რა თქმა უნდა, რუსების დახმარებით!) კოდორის ხეობაზე თავიანთი იურისდიქცია გაენავრცონ და ჩვენ ეს სტრატეგიული — პოლიტიკურად, მორალურად, ზნეობრივად სტრატეგიული ქართული ხეობა დავკარგოთ!

თანაც, ცეცხლს ნავთს უმატებენ და დღესაც გაიძახიან: ეს პოლიციური კი არა სამხედრო ოპერაცია იყოო.

ყველაზე გამაოგნებელი ის გახლავთ, რომ ამ თვალსაზრისს საქვეყნოდ „აფიქსირებენ“ ისეთი გავლენიანი პარტიები და ორგანიზაციები, რომელთა პატრიოტულ რიტორიკაზე „ელეთ-მელეთი მოსდით“ ნაციონალებსაც და კონკრეტულ ძალოვნებსაც.



თქვე მამაცხონებულებო, რუსეთის გენერალიტეტი და დსთ-ს ეგიდით ენგურზე მდგარი „სამშვიდობოები“ ისედაც მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულების დარღვევაში, აფხაზეთში მცხოვრები „რუსეთის მოქალაქეების“ შევიწროება-შეშფოთებაში (ეშინიათ ომი არ განახლდესო!) გვადანაშაულებს, ათასგვარ პროვოკაციაზე მოდის, ქართულ პოზიციებს „მალულად“ ცეცხლს უშენს, ჩრდილო კავკასიიდან შემოყვანილ „მოხალისე“ ბოევიკებს საგანგებოდ ამზადებს... თქვენ კი, აშკარად წარმატებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას მტრის სასარგებლოდ ორგანიზებულ-ჩატარებულს უწოდებთ და, თანაც, ქართულ სამხედრო შენაერთებს კოდორში რა უნდოდათო, ხმამაღლა გაიძახით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ ჩვენ კოდორის ხეობაში ამბოხებულ ემზარ კვიციანს და მის ბანდიტებს შევუტიეთ, ადგილობრივ მოსახლეობას ამოსუნთქვის საშუალება მივეცით და საბოლოოდ შემოვიმტკიცეთ! რაც შეეხება კანონის დარღვევას, რუსებისგან განსხვავებით, ჩვენ არამც თუ კანონი, სიტყვაც არასდროს გაგვიტეხავს.

სხვათა შორის, ხეობის საქართველოსთან შემომტკიცებას რუსები უფრო ნათლად ხედავენ, ვიდრე ქართველი ოპოზიციონერები.

უკვე დაიწყო კოდორის ხეობის ინფრასტრუქტურის განვითარება, მალე იქ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ძირითადი ნაწილი იმუშავებს და ყველა სოციალური პრობლემა მოწესრიგდება.

და რაც მთავარია, თუ კარგად ჩავუფიქრდებით, კოდორის მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ არმია და ხალხი, არმია და სახელმწიფო განუყოფელია. დღეს რომ ქართული სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი ბრძოლისუნარიანი, მობილური, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მცირერიცხოვანი არმიის შექმნა-ჩამოყალიბებაა, რაღა ფიცი-მტკიცი უნდა. კოდორის ხეობის პოლიციურ ოპერაციამდეც (თავდაცვის სამინისტრო პოლიციას ძირითადად ლოჯისტიკური პრობლემის მოგვარებაში ეხმარებოდა!), საწვრთნელ პოლიგონებზე ჩვენი არმიის ვარჯიში ავ თვალს არ ენახვებოდა. ეს არ არის არც თენგიზ კიტოვანის გვარდია და არც ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“, რომლებმაც ლამის დაღუპეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მისი დამოუკიდებლობა... „მთავარსარდალმა“ ედუარდ შევარდნაძემაც მიუტევებელი შეცდომები დაუშვა, მაგრამ, როგორც თვითონ აღიარებს, „აწი ძალიან გვიანია“ თითზე კბენანი...

**ყველამ ერთად, — პოზიციამაც და ოპოზიციამაც, შვილებმაც და მამებმაც, რიგითებმაც და ჩინიანებმაც საბოლოოდ უნდა ვაღიაროთ, რომ არმიისა და სახელმწიფოს ერთიანობის გარეშე, არმიის გაძლიერებაზე ზრუნვის გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს. ხოლო ძლიერი არმია ჩვენ ვინმეს (მით უფრო რუსეთის!) დასაშინებლად კი არა, ქართული რაინდული სულის ასაღორძინებლად, საერთაშორისო სამხედრო ალიანსში გასაწევრიანებლად და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის დასამშვიდებლად გვჭირდება.**

**დამშვიდებულ, ეკონომიკურად გაძლიერებულ საქართველოში კი აფხაზებიც გულში ჩაგვიხუტებენ, ოსებიც, რუსებიც, აზერბაიჯანელებიც და სომხებიც...**

**სპარტაკ ქობულია**

◎ ისტორია და თანამედროვეობა

# კონფლიქტი

**ქართულ-ოსური დაპირისპირება პოლიტიკური კონფლიქტის მნიშვნელოვანი მაგალითია. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობა მუდამ იყო საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეთნიკური სტრუქტურის ინტეგრირებული ნაწილი.**

ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთი კავკასიაა (ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა — ალანია), რომელიც სამხრეთ კავკასიისგან ბუნებრივი საზღვრით — კავკასიონის ქედით არის გამოყოფილი. IX-XIII საუკუნეებში ალანებს (ქართული ისტორიული წყაროები მათ იმთავითვე ოვსების სახელით იხსენიებს), ჩრდილოეთ კავკასიაში ჰქონდათ ძლიერი ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა საქართველოსთან. ამას ემატებოდა მჭიდრო ნათესაური კავშირები და დინასტიური ქორწინებები.

ხანგრძლივი პროცესის შედეგად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრდა ოსი ხალხის ნაწილი. რაც შეეხება ტერმინს „სამხრეთ ოსეთი,“ იგი ხელოვნურად შექმნეს რუსებმა.

1922 წლის 20 აპრილს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაარსდა ავტონომიური ოლქი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოადგენდა ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით (ამ დრომდე სამხრეთელ ოსებს რაიმე ეროვნულ-ტერიტორიული ერთეული საერთოდ არ ჰქონდათ). აღსანიშნავი ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი მიანიჭა ორი წლით უფრო ადრე, ვიდრე ოსების ისტორიულ სამშობლოს — ჩრდილოეთ ოსეთს. ამ უკანასკნელს მხოლოდ 1924 წლის ივლისში მიენიჭა ავტონომიური ოლქის სტატუსი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში (1936 წლიდან ჩრდილოეთ ოსეთი რესპუბლიკად გადაკეთდა).

1988 წლის ნოემბერში ცხინვალში ჩამოყალიბდა მოძრაობა „ადამონ-ნიხასი“, რომელმაც მიზნად დაისახა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება.

ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ (საქართველოს სსრ შემადგენლობაში). მეორე დღესვე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ეს გადაწყვეტილება. 1989 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ხელმძღვანელობით, დაახლოებით ოცი ათასამდე მშვიდობიანი მომიტინგე თბილისიდან ცხინვალის მიმართულებით დაიძრა. თუმცა, სსრკ-ის შინაგანმა ჯარმა მათ ქალაქში შესვლის საშუალება არ მისცა. მიუხედავად ამისა, ოს ბოევიკებთან მომხდარი შეტაკებების შედეგად სისხლი მაინც დაიღვარა.

1990 წლის 9 დეკემბერს ოსმა სეპარატისტებმა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩაატარეს. ამის



საპასუხოდ, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ. ამავე კანონით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გადაკეთება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ასევე უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა სეპარატისტების მიერ 1990 წლის 9 დეკემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგები.

ე. შევარდნაძის რეჟიმი შეეცადა გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული პრობლემების მშვიდობიანი დარეგულირების თვალსაზრისით. თუმცა, „სამხრეთ ოსეთმა“ უარი განაცხადა ეწარმოებინა მოლაპარაკებები საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან მანამ, სანამ არ მოიხსნებოდა ცხინვალის რეგიონის ბლოკადა და ქართული შეიარაღებული ფორმირებები არ დატოვებდნენ რეგიონის ტერიტორიას.

შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ცხინვალის რეგიონში 14 წლის წინათ (1991) დაიწყო, თავისი მასშტაბითა და მსხვერპლის ოდენობით ბევრად განსხვავდება როგორც აფხაზეთის, ისე ყარაბაღის კონფლიქტებისგან. საწყის ეტაპზე, დაპირისპირებული მხარეების სუბიექტებს წარმოადგენდნენ, ერთის მხრივ ოსური არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები, ხოლო, მეორეს მხრივ - ქართული მილიცია. იმის გამო, რომ საბრძოლო მოქმედებებში ძირითადად არაპროფესიონალები მონაწილეობდნენ, ხოლო მძიმე ტექნიკა და არტილერია ძალზე მცირე დოზებით გამოიყენებოდა, 1991-1992 წლების კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში არ იყო ისეთი სისხლისმღვრელი, როგორც მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში.

1992 წლის ივნისის დასაწყისში ქართული შეიარაღებული რაზმები ქ. ცხინვალს მიუახლოვდნენ და მისი აღება განიზრახეს. სწორედ ამ მომენტში რუსეთის ხელმძღვანელობა ულტიმატიური განცხადებებით გამოვიდა, მათ შორის, გაისმა ქ. თბილისის დაბომბვის მუქარაც.

ქართული მხარე იძულებული გახდა უარი ეთქვა ცხინვალში შესვლაზე. შეიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებიც ჩართულიყვნენ, რაც უდავოდ მოასწავებდა მთელი კავკასიის დესტაბილიზაციას. ეს საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახდა მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ავანსცენაზე კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია (შეიქმნა 1991 წლის 1-2 ნოემბერს) გამოვიდა. ყველა კონტაქტი თბილისსა და ცხინვალს შორის გაწყდა.

1992 წლის 24 ივნისს ქ. სოჭში მომზადდა დოკუმენტი - „შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ,“ რომლის ხელმოწერაც მოხდა ქ. სოჭის მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტ ***დაგომისში*** (რუსეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში). ამის გამო, აღნიშნულ დოკუმენტს მეორენაირად „დაგომისის შეთანხმებასაც“ უწოდებენ.

დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, კონფლიქტის ზონაში განლაგდნენ შერეული სამშვიდობო ძალები — **ССПМ** (Смешанные Силы по Поддержанию Мира), რის შედეგადაც წერტილი დაესვა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს. დაგომისის შეთანხმებას ხელი მოაწერა სამმა სუბიექტმა: საქართველომ, რუსეთის ფედერაციამ და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიამ, რომელიც ასევე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია. დაგომისის შეთანხმების ხელმოწერით შეიქმნა საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია, სადაც ერთი სახელმწიფო (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია) წარმოდგენილი იყო ერთდროულად ორი სუბიექტით, რაც არ ჯდება არც ერთ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმაში. ეს სამართლებრივი ნონსენსი საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა ქართულ მხარეს (სადავო საკითხების წარმოქმნისას საქართველოს ერთდროულად ორი სუბიექტი უპირისპირდებოდა), რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას ეკისრება.

დაგომისის შეთანხმების ძირითადი მუხლები შემდეგში მდგომარეობდა: დაპირისპირებული მხარეები ილებდნენ ვალდებულებას შეეწყვიტათ ცეცხლი და გაეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები კონფლიქტის ზონიდან; რუსეთის ფედერაცია იღებდა ვალდებულებას გაეყვანა სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული საინჟინრო-სანაღმო და სავერტმფრენო პოლკები; იქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია — **СКК** (Смешанная Контрольная Комиссия), რომლის ძირითადი ფუნქციაც უნდა ყოფილიყო მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულების კონტროლი; მხარეები ილებდნენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკებები, რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ლტოლვილთა დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით; ეკონომიკური ბლოკადებისა და სანქციების გამოყენება ცხადდებოდა მიუღებლად. 1992 წლის 9 ივლისს კონფლიქტის ზონაში განლაგდნენ რუსული, ოსური და ქართული ბატალიონებისგან შემდგარი სამშვიდობო ძალები.

სიტუაციას ძაბავდა ის გარემოებაც, რომ 1992 წლის ნოემბერში თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ თხოვნით მიმართა მოსკოვს, ჯერ ეცნო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, ხოლო შემდეგ კი მიეღო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა მოსკოვმა უარი განაცხადა ოსი სეპარატისტების ამ თხოვნაზე, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიამ 1993 წლის ნოემბერში თვითნებურად ცნო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა.“

***ლუდვიგ ჩიბიროვის*** სეპარატისტული რეჟიმი მიიჩნევდა, რომ 1990-1992 წლების ომის შედეგად „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ“ დამოუკიდებლობა მოიპოვა და მას საქართველოსთან მხოლოდ თანასწორი, კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ეტაპზე, ჩიბიროვი მზად იყო საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგისთვის, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიზეზის გამო, რუსეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედი რეაქციული ძალები ლუდვიგ ჩიბიროვს საქართველოსადმი ლოიალურობაში სდებდნენ ბრალს. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ჩიბიროვის მეტ-ნაკლებად „ზომიერი“ რეჟიმის ნაცვლად, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის სათავეში საქართველოსადმი უკიდურესად მტრულად განწყობილი და რეაქციული ძალები მოვიდნენ „პრეზიდენტ“ ედუარდ კოკოითის ხელმძღვანელობით (2001 წელი). ამ უკანასკნელმა, კრემლის დავალებით, აქტიურად დაიწყო ანტიქართული განწყობების დანერგვა. ამასთან, აცნობიერებს რა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა ნაკლებად პერსპექტიუ-

◎ აბჯარი

# ერთი მთავარი „უხერხულობა“

***მაინც, რა „უხერხულობაზეა“ ლაპარაკი? — ვინც გონების თვალს გაადევნებს კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს, აუცილებლად დაიჩივლებს შინაგანი ჯარების გაუქმების უმართებულობაზე. სულ ახლახან, 10-12 წლის წინათ, შინაგანი ჯარების მებრძოლებს ჯერ კიდევ ცალ-ცალკე კალოში ეგდათ, მაგრამ სახელმწიფოში ხელი გამოილო და ეს ყოველმხრივ აუცილებელი საჯარისო სტრუქტურა, დაარსების მეშვიდე წლისთავზე, უკვე ბოლომდე გამართული, უმაღლეს დონეზე ჩაცმულ-დახურული, ტექნიკურად და მორალურად მომზადებული იყო. სამხედრო-პროფესიული დონე იმდენად მაღალდა, რომ ამერიკული და ევროპის ქვეყნების სამხედრო სპეციალისტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ: სწორედ ასეთმა პერსპექტივამაც გადაწყვეტინა მათ მხარში ამოგვდგომოდნენ... ოღონდ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ თავიანთი წინადადებები ერთგვარ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით. მახსოვს ევროპის უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო დელეგაციის ხელმძღვანელმა, გენერალმა ჰარი ჯონსონმა საქართველოში თავისი ერთ-ერთი მორიგი სტუმრობის დროს არაოფიციალურად გვირჩია, როგორღაც, „სახელი შეგვეცვალა“ შინაგანი ჯარებისათვის (სიტყვა „ჯარები“ იყო მიუღებელი), გაგვეთვალისწინებინა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, შეგვეჯერებინა ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან და ტრადიციებთან და ამ საფუძველზე შეგვექმნა სათანადო წესდება და გაგვეგრძელებინა „მუშაობა“.***



საქმე ის გახლდათ, რომ თუ წესდება და პროგრამა არსებული სახით დარჩებოდა, მაშინ, ისე ვითარცა თურქეთის რესპუბლიკას, საქართველოსაც შეეძლებოდა ხელი ევროსტრუქტურებში ინტეგრირების საქმეში, რადგან არსებული ფორმით ე. წ. ჯარი არღვევდა ადამიანის უფლებებს. შინაგანი ჯარების მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, გამოცდილმა სპეციალისტ-იურისტებმა და სათანადოდ მომზადებულმა სამხედრო ჩინოსნებმა დაიწყეს მუშაობა და ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მაგიდაზე დადეს სათანადოდ შეჯერებული წესდება და პროგრამა! მას მხარი დაუჭირეს უცხოელებმაც. ასე რომ, პარლამენტის ერთი „ჰოპლა“ და საქართველოს ეყოლებოდა კანონიერი, კარგად შეიარაღებული, კარგად მომზადებული ერთ-ერთი სამხედრო შენაერთი, რომელსაც უფლება ექნებოდა ქვეყნის შიგნით ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთისა! და რაც მთავარია, ამაში მას ვერავინ ვერ „უსაყვედურებდა“!

სამწუხაროდ, ბოლო ხანს ხშირად ხდებოდა, რომ მსგავს შემთხვევებში „თავდაცვა ამბობდა გადამწყვეტ სიტყვას“, რაც საერთაშორისო დეკლარაციებითა და კანონებით აკრძალულია! გახსოვთ ქუთაისის ეპიზოდი?, მაშინ თავდაცვა აღუდგა წინ ჯანყს და შინაგანი ჯარები და პოლიცია თამაშგარე დატოვეს! არადა, სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს „პრეროგატივა“, მისი პირდაპირი მოვალეობა იყო ეს. მაშინ მივუყურისძირეთ ამ ამბავს და საერთაშორისო ორგანიზაციებმა კარგა გვარიანი საყვედურები მოგვართყეს მაშინ!

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც შინაგან ჯარებში უკვე დაწყებული ჰქონდათ ფიქრი ამ სტრუქტურის თანამედროვე რელსებზე გადაყვანისა. ისიც მახსოვს, ბატონმა სარდალმა, გენერალმა გიორგი შერვაშიძემ რომ ბრძანა, ჩემი საქმიანობის გამარჯვებად მივიჩნევ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანას თუ შევძლებო... მარტო სარდალი კი არა, მთელ პირად შემადგენლობაში სუფევდა ამგვარი სულისკვეთება! ალბათ, ამიტომაც ჰქონდათ უფლება ეთქვა ამ შემადგენლობას ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ წინ, ერთ-ერთი სახალხო მიტინგზე: ჩვენ ხალხის გვერდით ვდგავართ!

...„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვიღაცის ინტერესების გათვალისწინებით, მოულოდნელად, გენერალი გიორგი შერვაშიძე „სხვა სამსახურში გადაიყვანეს...“ მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, რატომ და რისთვის მოხდა ეს, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ სარდლად ნაომარი და მრავალნაცადი გია თათუხაშვილი დაინიშნა და გენერლობაც მიანიჭეს! ვერ ვიტყვი, ეს ცუდი გადაწყვეტილება იყო-მეთქი (თათუხაშვილის დანიშვნაზე ვამბობ), მით უფრო, რომ თათუხაშვილმა ჯარების რეორგანიზაციაზე ფიქრი კვლავ გააგრძელა... მახსოვს ერთ-ერთ სამხედრო პოლიგონზე ბატონმა ვანო მერაბიშვილმა ხუმრობანარევად რომ მითხრა, — შესანიშნავი ჯარი ჰყავსო თათუხაშვილს! და ეს მართალი იყო!! დიდად არ მენაღვლება ვინმეს ეწყინება თუ არა ეს გამონათქვამი, მაგრამ ის ქართული ჯარი ტოლს არ უდებდა ახლანდელს! — ვაჟკაცური, ფიზიკურად და ტაქტიკურად მომზადებული და მიზანსწრაფული! ოღონდ, ქვეყანას მაშინ არ ჰქონდა იმდენი ტექნიკა, რამდენიც დღეს გვაქვს და ეს იყო ნაკლი, თუ ეს ნაკლად ჩაეთვლებოდა მაშინდელ ჯარისკაცს!

მერე დაიშალა (დაშალეს!) ეს პერსპექტიული ჯარი. დაიშალა და ასობით ჯანღონით სავსე, მაღალი რანგის სპეციალისტი „პენსიაზე“ გაუშვეს! დანარჩენები თავდაცვის სამინისტროს შეუერთეს და მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, — როცა, სამწუხაროდ, ქვეყანაში კვლავ „გაჩნდა“ ჯანყი და სამშობლოს ღალატის ფაქტი, მის ალმოსაფხვრელად ტყუილის თქმა დაგვჭირდა! დასამალი ვის უნდა დავუმალოთ? მხოლოდ პოლიციური ძალებით ფონს ვერ გავიდოდით და თავდაცვა „წავიხმარიეთ“! ამით კი „გამოვაჭერინეთ“ ოპონენტებს თავი, რამაც ის გამოიწვია, რომ მივეცით საშუალება არ დაგვთანხმებოდნენ ე. წ. „ფართო მორიტორინგზე“! და ახლა, კოდორის ქვედაწელის გაკონტროლებაზე „გვევაჭრებიან“. ჩვენც იძულებული შევიქენით, დავთანხმებულიყავით. როგორც იტყვიან, უკან დარჩა გუდაუთის მონიტორინგიც! აწი რამდენიც გვინდა ვიძახოთ, ეს ასე არ არისო! თავდაცვის ჯარებს რა უნდაო კოდორში?! მაშინ, თავდაცვის მინისტრი რომ უდგას ამ ლონისძიებას თავშიო? არა, არ დგასო, გავიძახოთ ჩვენ. ტელევიზიაში მისი ყოველდღიური გამოჩენა და პოლიტიკური განცხადებები ამას ნიშნავსო, ბატონო, გველაძუობდნენ ისინი...

მე, პირადად ძალიანაც მომწონს ბატონი ოქრუაშვილის მართლაც პატრიოტული აქტიურობა. არა მგონია, იყოს სადმე საქართველოს გულმხურვალე მოქალაქე, ვისაც კოდორში „გამაგრება“ არ უხაროდეს და არ მოსწონდეს, თუნდაც ერთხელ გულში არ გაევლოს ის, რასაც ახლა ახორციელებს ჩვენი მთავრობა, მაგრამ... საერთაშორისო თვალი ხომ ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის? კიდევ უფრო დაჭყეტილი აქვთ თვალები ჩვენს მტრებს!

ასეთ „უხერხულობას“ ჯობდა შინაგანი ჯარების ბაზაზე „აშენებული-ყო“ მძლავრი სტრუქტურა, რომლის მსგავსი ბევრგანაა და არავინ არ უკრძალავს (ვერც აუკრძალავს!) ქვეყნის შიგნით მოქმედებას!

**ზაურ ფიფია,**
**„სრ“ პეც. კორ.**

◎ ისტორია და თანამედროვეობა

# სამაჩაბლოში

ლია, ედუარდ კოკოითი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან (ე. ი. რუსეთის ფედერაციასთან) შეერთების სურვილს აფიქსირებს.

ცხინვალის დე-ფაქტო ლიდერები აცხადებენ, რომ სამხრეთელ ოსებს, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად, უფლება აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადებები საერთაშორისო სამართლის სრულიად არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია. სამხრეთელი ოსები წარმოადგენენ არა „თავისუფლებისთვის მებრძოლ ერს,“ არამედ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას, რომელთა ისტორიული სამშობლოც ჩრდილოეთ კავკასიაშია. ამდენად, მათი მოთხოვნა, შექმნან ცალკე სახელმწიფო ან შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებთან და ნორმებთან.

საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა იმთავითვე დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც წარმატებით მოაგვარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული პრობლემები, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მთელი თავისი ძალისხმევა ცხინვალის რეგიონის საკითხის გადაწყვეტისკენ მიმართა. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს ახალი ხელისუფლების იმედები და მოლოდინები ამჯერად არ გამართლდა. 2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ქართულ და ოსურ მხარეებს შორის საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია მოხდა.

2004 წლის მაისიდან საქართველოს ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო ანტიკონტრაბანდული ოპერაციების განხორციელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, „სამხრეთ ოსეთთან“ მიმდებარე რაიონებში. ანტიკონტრაბანდული ოპერაცია ატარებდა წმინდა პროფილაქტიკურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, „სამხრეთ ოსეთში“ დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, რუსეთის გენერალმა ***სვიატოსლავ ნაბდზოროვმა*** 31 მაისს განაცხადა, რომ იგი მიიღებდა ყველა აუცილებელ ზომას (მძიმე ტექნიკის გამოყენების ჩათვლით) კონფლიქტის ზონიდან ქართველი კონტროლიორების გასაძევებლად. საქართველოს ფინანსური პოლიციის მისამართით რუსი გენერლის მიერ გამოთქმული მუქარის საპასუხოდ, ცხინვალის რეგიონში საქართველოს შინაგანი ჯარის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი შევიდა.

თუმცა, იმავე დღეს, შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან გამართული მოლაპარაკებების შემდგომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები უკანვე გამოვიდნენ კონფლიქტის ზონიდან.



ამავე პერიოდიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ფორსირებული ჰუმანიტარული აქციების განხორციელება კონფლიქტის ზონის ქართველი და ოსი ეროვნების მოსახლეობის დასახმარებლად. 2 ივნისს კონფლიქტის ზონაში თბილისიდან გაემგზავრა ქართველ ექიმთა ჯგუფი ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასო გამოკვლევისა და მკურნალობის ჩასატარებლად. 3 ივნისს ქართულმა მხარემ დაიწყო ნიქოზი-ცხინვალის ოთხკილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა. 4 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინიტროს წარმომადგენლებმა კონფლიქტის ზონაში სასუქების შეტანა დაიწყეს, თუმცა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მათ ამის ბოლომდე განხორციელების საშუალება არ მისცა.

ოთხ ივნისს „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულმა მთავრობამ ასევე შეაჩერა ნიქოზი-ცხინვალის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები. ამასთან, ყოველივე ეს ხდებოდა გენერალ ნაბდზოროვის მორიგი მუქარების ფონზე. ოფიციალური თბილისის არაერთი კატეგორიული მოთხოვნის შემდგომ, 2004 წლის ზაფხულში სვიატოსლავ ნაბდზოროვი გაწვეულ იქნა რუსეთში, ხოლო მის მაგივრად შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი ***მურატ კულახმეტოვი.***

2004 წლის 4 ივნისს საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. განცხადებაში საქართველოს პარლამენტი შეშფოთებას გამოთქვამს ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დაძაბვის გამო და მომხდარში გენერალ ნაბდზოროვს ადანაშაულებს. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციის ცალკეულ ორგანოებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გამოეჩინათ მეტი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და კორექტულობა.

2005 წლის 26 იანვარს სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა სამაჩაბლოს კონფლიქტის მოგვარების პრინციპები და სამშვიდობო გეგმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცალსახად უჭერს მხარს კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას და უარს ამბობს ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას.

საქართველოს პრეზიდენტმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ისაუბრა კონფლიქტის მოგვარების გზებსა და პრინციპებზე, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- რეგიონის დემილიტარიზაცია;
- ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება;
- კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება.

ამასთანავე, დემილიტარიზაციისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების რეალიზაციის პროცესები პარალელურად უნდა ხორციელდებოდეს.

გასული წლის 10-11 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს კონფლიქტის მოგვარების ზემოაღნიშნულ პრინციპებს.

2005 წლის 6 დეკემბერს ლუბლიანაში გამართულ ეუთო-ს მინისტერიალზე ეუთო-ს წევრმა 55-ვე ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმაც, მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ სამშვიდობო ინიციატივას.

2005 წლის 12 დეკემბერს ე. წ „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილის და ეუთო-ს სახელმწიფო მეთაურებს ოფიციალური განცხადებით, რომელშიც პრაქტიკულად გაიმეორა მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმა და მისი მთავარი კომპონენტები სამშვიდობო ინიციატივისა. მან ასევე გამოთქვა მზადყოფნა შეიქმნას ქართულ-ოსური ერთობლივი ჯგუფი კოორდინირებული პროგრამის შესამუშავებლად.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ იანვრის ბოლოს გაცხადებული (საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივები) უდავოდ პოზიტიური ნაბიჯია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზაზე. თუმცა, მაშინ, როცა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის ხარისხი თითქმის ნულოვანია, აშკარაა, რომ საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებები კონკრეტულ შედეგს ვერ გამოიღებს. წინადადებათა პაკეტი შეიძლება ნებისმიერმა მხარემ წარუდგინოს მეორეს, თუმცა საბოლოო სტატუსი ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგი უნდა იყოს, რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნება ნდობის აღდგენის გარეშე.

ყოველივე ზემოთქმული არ უარყოფს ქართული სახელმწიფოს გაძლიერების აუცილებლობას. სწორედ რომ პირიქით, მხოლოდ ძლიერი ქართული სახელმწიფო შეიძლება განვიხილოთ როგორც სამშვიდობო და ნდობის აღდგენითი პროცესის წარმმართველი და მამოძრავებელი. თუმცა, ჩვენი სახელმწიფოებრივი სიძლიერე პატივისცემას უნდა აღძრავდეს. იგი არ უნდა იყოს ორიენტირებული შიშის თესვაზე, როგორც მორალური, ისე პრაგმატული არგუმენტებიდან გამომდინარე.

ქართულ სახელმწიფოს შეუძლია და ვალდებულიცაა გადადგას ნაბიჯები (თუნდაც ცალმხრივად) იმისათვის, რათა ოსური საზოგადოება დაარწმუნოს თავის გულწრფელ მზადყოფნაში მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს კონფლიქტი. ეს უპირველეს ყოვლისა გულისხმობს როგორც სამშვიდობო ლექსიკას, ასევე მეორე მხარის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებას. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ თითოეული ამგვარი ადამიანური (თუ კოლექტიური) მოთხოვნის დაკმაყოფილება საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვით მოტივირებულ ქართული სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს.

შესაბამისად, ჩვენი მორალური ვალდებულებაა ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანის დასაწყისში დაშვებული შეცდომების აღიარება და საბჭოთა კავშირის დაშლისას მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული და გულწრფელი შეფასება. ასეთი გარკვეულწილად სიმბოლური ნაბიჯი, ჩვენის აზრით, მხარეთა შორის ურთიერთნდობის აღდგენის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. თუმცა ამგვარ ქმედებას მხოლოდ სიმბოლური დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს და შემდგომში ქვეყნის პოლიტიკასა და ქმედებებში უნდა აისახოს.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს ნათელი და კონკრეტულ ქმედებებზე ორიენტირებული. ამ პოლიტიკის საფუძველი კი უნდა იყოს ქვეყანაში პირდაპირი, სტრუქტურული და კულტურული ძალადობის აღმოფხვრა ეროვნულ უმცირესობებთან, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოსებთან მიმართებაში.

**გელა ცაავა**

ინფორმაცია

## აბა, რა უნდა ვქნათ, ევნევიჩ?

კოდორის ხეობაში ქართველ სამხედროთა ყოფნა თბილისის მიერ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევაა. ამის შესახებ რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილემ ვალერი ევნევიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ემზარ კვიციანის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია ხეობაში ქართული შეიარაღებული ძალების შეყვანის საბაბი იყო.

ევნევიჩის განცხადებით, ქართული ჯარი კოდორის ხეობის ზედა ზონაში პოზიციებს იმყარებს. გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ინფორმაციით, ქართული მხარე ხეობის საინჟინრო აღჭურვით არის დაკავებული, ქმნის ბლოკპოსტებს, ნაღმავს ტერიტორიას და აშენებს გზებს, — აღნიშნავს ევნევიჩი.

მისი თქმით, ყველაფერი ეს ოპერაციის სამხედრო ხასიათზე მეტყველებს.

ევნევიჩი ასევე ხაზს უსვამს, რომ რუსეთს საქართველოდან კოდორის ხეობის ზედა ზონის მონიტორინგში მონაწილეობის შეთავაზება ჯერჯერობით არ მიუღია.

ინტერპრესნიუსი

## 13 თანამდებობის პირის დეკლარაციით დაინტერესდნენ

იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში 2006 წლის 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მოთხოვნით 13 განცხადება შევიდა.

გამოთხოვილია 13 თანამდებობის პირის დეკლარაცია. გასული თვის ამავე პერიოდში ათი განმცხადებელი 16 თანამდებობის პირის დეკლარაციით დაინტერესდა.

## ნავთობსადენის მილებს კოროზია არ ემუქრება

კომპანია „ბიპი-საქართველო“ კატეგორიულად უარყოფს საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „პლეთფორმის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მილებს კოროზია ემუქრება.

„ბიპი-საქართველოში“ აცხადებენ, რომ „ბიპი“ რეგულარულად ახორციელებს მილსადენის მონიტორინგს და კოროზიის რაიმე ნიშნები არ აღინიშნება. კომპანიის ინფორმაციით, ჩამონტაჟებული ელექტრონული მოწყობილობები საშუალებას იძლევა, მილსადენის შიდა და გარეგანი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიიღონ. კოროზიის აღმოსაფხვრელად ნავთობსადენზე გამოყენებულია სპეციალური — მაღალხარისხიანი ნავთობთან შესაზავებელი კოროზიის ინგიბიტორი. „ბიპი-საქართველო-



ში“ აცხადებენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას ყველა შესაძლო რისკი გათვალისწინებულია, რათა დაცული იყოს მაქსიმალური უსაფრთხოება. კომპანიის ინფორმაციით, სამხრეთკავკასიური მილსადენი უახლესი მიღწევებით და უმაღლესი სტანდარტებით არის დაპროექტებული და აშენებული.

მედიანიუსი

კონფლიქტის ზონა

# იქ — სანგრები, აქ — სპორტული მოედნები



**პატარა ლიახვის ხეობაში ქართული და ოსური (ანუ ოსებით დასახლებული) სოფლებში ისეა ერთმანეთში შეჭრილ-გადახლართული, რომ სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე, ძნელად თუ გაიგებ. ადრე სოფლების ერთმანეთთან ასეთ გამიჯვნას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ ახლა სხვა დროა.**

დისევი (ერედვის თემი) პატარა ლიახვის ხეობის ერთი ლონიერი ქართული სოფელია ოსური (ანუ ოსებით დასახლებული) სოფლებით გარშემორტყმული. ხელჩუა, დმენისი, სათიხარი და კიდევ რამდენიმე სხვა სოფელი დისევის გარშემო ერთიან „ოსურ სარტყელს“ ქმნის. ცხინვალის მთავრობა თავის „ადმინისტრაციაში“ მოქცეულ პატარა ლიახვის ხეობის ოსებით დასახლებულ ამ სოფლებს უკრძალავს



ქართველებთან ყოველგვარ მშვიდობიან კონტაქტებსაც კი. არადა, რა ქნან, ვთქვათ, სათიხარელებმა, როცა დისევის სკოლის ღობის ნახევარი მათ სოფელზე გადის, როგორ შეაქციონ ზურგი მეზობლებს?!

ეს დღეებია, ამ სოფლების გოგო-ბიჭები ცნობისმოყვარედ ადევნებდნენ თვალს, თუ რა ხდებოდა დისევის სკოლის ეზოში. ეზოში კი, შემაღლებულზე, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩის ონო ულდერენბოსის ინიციატივით, ქალბატონ სანდრა რულოვსის თანადგომით პლაჟის ტიპის ღია საფრენბურთო მოედანი შენდებოდა. სულ რამდენიმე დღეში შემოღობეს, მოიტანეს სილა, გაჭიმეს ფრენბურთის ბადე, მოედანი სპეციალური სპორტული ინვენტარით აღჭურვეს, შემოიტანეს ბურთები და, აჰა, პლაჟის ფრენბურთის მოედანიც!

მისი გახსნაც საზეიმოდ ჩატარდა. დისევში ამოვიდნენ ნიდერლანდების სამეფოს ელჩი ონო ულდერენბოსი, შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გელა ზოზიაშვილი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი და თბილისელ პლაჟის ფრენბურთელ გოგონათა მთელი კოჰორტა.

გაიმართა საჩვენებელი შეხვედრები, რომელშიც სტუმრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დისევის სკოლის მოსწავლე-გოგონებმაც.

გაღმა სერზე კი გარკვევით მოჩანდა, როგორ თხრიდნენ სანგრებს ოსი ჯარისკაცები.

— რა თქმა უნდა, — გვითხრა დისეველმა დურმიშხან ოქროპირიძემ, — არავის საქმე არაა, ვინ რისთვის ან ვისთვის თხრის, მაგრამ იმდენად ღრმად მაინც ნუ გათხრით, ოსნო ძმანებო, რომ შიგ ჩაცვივდეთ, ან ჩაცვივდეთ და ზევით ამოსვლა ვეღარ მოახერხოთ. ამასობაში ჩვენ კონფლიქტის სხვა ზონის სხვა სოფლებშიც ავაშენებთ სკოლებს, გავიყვანთ სასმელ წყალს, „ცისფერ ალს“ მოვიყვანთ ხეობის სოფლებში, ამ სანგრების თხრას არ გირჩევნიათ ერთად ავაშენოთ სპორტული მოედნები და ერთმანეთს სიმარდეში, საზრიანობასა და სიჩაუქეში გავეჯიბროთ?!

ღმერთმანი, ასე სჯობს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

**სურათებზე: ფრენბურთის მოედანი დისევის სკოლის ეზოში.**

განსჯა

# ხელისუფლება, რევოლუცია

**მეორე ნაწილი**

## ოპიზის საქმე

**2004 წელს ფულის გამოძალვის ბრალდებით დააპატიმრეს ტელეკომპანია „202“-ის მფლობელი და ხელმძღვანელი, ცნობილი ჟურნალისტი შალვა რამიშვილი, რომელსაც უნდოდა ეჩვენებინა ფილმი დეპუტატ კობა ბექაურის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. როდესაც ამ უკანასკნელმა ეს გაიგო, შეეცადა დაერწმუნებინა რამიშვილი, არ გაეშვა ფილმი, სანაცვლოდ კი გარკვეული თანხის მიცემას პირდებოდა. ჟურნალისტის დაპატიმრებამ ბიძგი მისცა სხვა მოვლენების განვითარებას. პარლამენტში იწყებს მუშაობას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გაარკვიოს, თუ რა ინტერესები ჰქონდა ბექაურს საბაჟო ტერმინალ „ოპიზაში“. კომისიის წევრებმა მალევე დაიწყეს უზარმაზარი ინფორმაციის მიღება, დეპუტატ ბექაურის საქმიანობისა და მთავრობაში მის ხელშემწყობთა შესახებ. მოწმეთა ჩვენებიდან ნათელი გახდა, რომ „ოპიზის“ ძველმა მფლობელმა ის შეღავათიან ფასში დაუთმო ბექაურს. ამ კერძო ტერმინალის აყვავების პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფო ტერმინალ „ლილო-1“ დაქვეითების პროცესი, რომლის თანამშრომლებიც ამ პროცესს ხელოვნურად მიიჩნევდნენ და იბრძოდნენ ამ სახელმწიფო საწარმოს გაკოტრების წინააღმდეგ. მათ წერილით მიმართეს პრემიერ-მინისტრს, შეხვდნენ მას, მაგრამ უშედეგოდ. „ოპიზას“ შეუქმნეს ფუნქციონირების ხელსაყრელი პირობები, იქვე გადაიტანეს „ლილო-1“-იდან საბაჟო „აღმოსავლეთის“ ადმინისტრაცია, ახდენდნენ ზემოქმედებას იმ პარტნიორებზე. მაგ. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, იმპორტიორებს აიძულებდნენ, საკუთარი საქონლის განბაჟება მოეხდინათ „ოპიზაში“, სადაც შემოსავლის 70 პროცენტს იტოვებდნენ თავისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტში კი მხოლოდ 30 პროცენტს რიცხავდნენ. მმართველი პარტიისა და მის ხელმძღვანელებთან დაკავშირებული ერთი პირი ერთდროულად ასრულებდა ორი ერთმანეთის კონკურენტი ობიექტის „ლილო-1“ და „ოპიზის“ დირექტორის მოვალეობას.**

„ოპიზის“ ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი — ფირმა „ამაღლების“ მფლობელი პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აპირებდა „ლილო-1“ პრივატიზაციას, რაც ალბათ გვიხსნის ამ სახელმწიფო საწარმოს ხელოვნურად გაკოტრების მიზეზს. პოსტსაბჭოთა საქართველოში ცნობილია, სახელმწიფო საწარმოები, პრივატიზაციის მიზნით, მიზანმიმართულად მიჰყავდათ გაკოტრებამდე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთივე სცენარით ცდილობდნენ „ლილო-1“ გაკოტრებასაც. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ როგორც კი ყველაფერი ეს ცნობილი გახდა, მაშინვე შეჩერდა პრივატიზაცია. კომისიის მუშაობის შედეგად ცნობილი ხდება ბექაურის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა „ოპიზის“ ხელმძღვანელობასთან და მის მფლობელებთან, აგრეთვე ამ უკანასკნელთა მჭიდრო კონტაქტები პარლამენტში.

კომისია დაინტერესდა „ოპიზის“ დირექტორის ჯავახაძის (რომელიც ბექაურის ახლო მეგობარი აღმოჩნდა) ქონებრივი მდგომარეობით. კომისიის ამ დაინტერესებას ხელი იმან შეუწყო, რომ ის რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა საგადასახადო სტრუქტურებსა და ფინანსურ პოლიციაში და იმხელა ქონება დააგროვა, რომ შეძლო ტერმინალის მეპატრონე გამხდარიყო. კომისიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კითხვამ: რატომ, რომელი კანონის საფუძველზე მოხდა საბაჟო „აღმოსავლეთის“ ადმინისტრაციის გადაყვანა სახელმწიფო საწარმო „ლილო-1“-იდან კერძო სტრუქტურა „ოპიზაში“. კომისიის მიერ დაკითხული უმაღლესი თანამდებობის სახელმწიფო ჩინოვნიკები ამას ხსნიდნენ ადმინისტრაციის სამუშაო პირობების გაუმჯობესების აუცილებლობით. მაგრამ კომისიის წევრებმა მაინც ვერ შეძლეს პასუხი მიეღოთ კითხვაზე: რომელი კანონის საფუძველზე განხორციელდა ეს? ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობენ აღმასრულებელი ხელისუფლების კულისებს, ცდილობდნენ, ამ გადატანის რეალური ინიციატორები აღმოეჩინათ უფრო მაღალ პოლიტიკურ წრეებში, რომელთა ნებასაც, მათი აზრით, ასრულებდნენ კომისიის მიერ დაკითხული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები.

ოთხი თვის მუშაობის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეგრძელებინა გამოძიება კიდევ ერთი თვით. მაგრამ პარლამენტის ცალკეული გავლენიანი წევრების ღონისძიების შედეგად, რომლებსაც, ამასთან ერთად, ჩრდილში დარჩენა სურდათ, კომისია იძულებული გახდა, შეეწყვიტა მუშაობა. აღსანიშნავია, რომ თუმცა კომისიამ ბექაურის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ამ უკანასკნელმა მაინც მოიხსნა სადეპუტატო უფლებამოსილება და დატოვა პარლამენტი.

## პოლიტიკური ბრძოლა პოსტრევოლუციურ პერიოდში

**ქვეყანაში მიმდინარეობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სოციალური ბაზის დასუსტების პროცესი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მან ვერ შეძლო საზოგადოების იმედების გამართლება. ეს კი ხელს უწყობს ოპოზიციური სტრუქტურების რეანიმაციას, რომლებმაც მარცხი განიცადეს „ვარდების რევოლუციის“**



**პროცესში. გარდა ამისა, მმართველ პოლიტიკურ ძალას ჩამოშორდა ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, რომლებმაც რევოლუციის პროცესში გარკვეული პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება შეძლეს. დეპუტატთა უმრავლესობას, რომელიც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას — პარლამენტში პრეზიდენტის დასაყრდენს წარმოადგენს, დამოუკიდებლად არ შეუძლია გააგრძელოს პოლიტიკური კარიერა. ამიტომ მას სჭირდება ისეთი ლიდერი, რომლის რეიტინგი საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს დეპუტატის სტატუსი და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები. როგორც კი მმართველი პარტიისა და პრეზიდენტის რეიტინგი ოპოზიციის რეიტინგზე უფრო დაბლა დაეცემა, დაიწყება გაბატონებული პოლიტიკური ძალის დაშლის პროცესი. საამისოდ კი ძალიან ბევრი წინაპირობა არსებობს. მაგალითად, მკითხველისთვის უკვე ცნობილია პრესით გავრცელებული ინფორმაცია, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასების მიხედვით, საქართველო ყველაზე ღარიბი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში. ასევე პრესაში გაქვეყნებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, რევოლუციამ შეძლო შეეჩერებინა უმუშევრობის ზრდა: 2000 წელს მან შეადგინა 10,3 პროცენტი, 2001 წელს — 11,6, 2002 წელს — 12,6, 2003 წელს — 11,5, 2004 წელს — 12,6, ხოლო 2005 წლის 9 თვის განმავლობაში — 13,8 პროცენტი. მაგრამ ეს ციფრები მთლიანად ვერ ასახავენ შრომის სფეროში შექმნილ მდგომარეობას, რადგანაც იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ მიწის ნაკვეთზე მუშაობენ და პროდუქციას ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ. რევოლუციის წინ საზოგადოება ყველა უბედურებაში ედუარდ შევარდნაძეს ადანაშაულებდა, სჯეროდა, რომ თუ ეს პიროვნება ჩამოსცილდებოდა ხელისუფლებას, ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ისე მარტივად არ ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, ხალხის გაზრდილი მოლოდინი რევოლუციამ ვერ გაამართლა. თსუ ეროვნული სტრატეგიის სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 7,2 პროცენტი მიიჩნევდა, რომ რევოლუციამ გაამართლა მათი იმედები, 37 პროცენტის აზრით კი, არა. 19,9 პროცენტი თვლიდა, რომ რევოლუციამ უფრო გაამართლა მათი მოლოდინი, ვიდრე არ გაამართლა, ხოლოს 14,8 პროცენტის აზრით, რევოლუციამ უფრო არ გაამართლა მოლოდინი, ვიდრე გაამართლა; 22,2 პროცენტმა ვერ უპასუხა კითხვას. გაამართლა თუ არა მათი მოლოდინი რევოლუციამ.**

მაგრამ მაინც, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი აფიქსირებს ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. გამოკითხულთა უმრავლესობა **— 44,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს გაუმჯობესება არის უმნიშვნელო, 16,9 პროცენტი — უპასუხებს, რომ ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მხოლოდ 12,2 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 10,3 პროცენტი თვლის, რომ ქვეყნის საერთო მდგომარეობა გაუარესდა, 16,1 პროცენტის აზრით კი — არ შეცვლილა.**

ამასთან აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ. კითხვაზე თუ როგორ შეიცვლება ქვეყნის მდგომარეობა ხუთი წლის შემდეგ, 25,4 პროცენტი უპასუხებს, რომ ის გაუმჯობესდება, 12,2 პროცენტი — მნიშვნელოვნად გაუმჯო-

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 155-157.**

◎ სექტემბერი მოდის, სექტემბერი გვაჩქარებს

# გაფიცვა ხარაჩოებზე

**დრო იყო, თანაც სულ ცოტა ხნის წინათ, უპირატესად რესტორნები და კაფე-ღამის კლუბები შენდებოდა. ახლა სურათი შეიცვალა – ხარაჩოები და ამწეები კვლავაც „სამშენებლო პეიზაჟის“ ატრიბუტად რჩება, მაგრამ შენდება ან ძირეულად რემონტდება სკოლები, სოფლად გაჰყავთ გზები და სასმელი წყლის მაგისტრალები, ან მიმდინარეობს მათი რეაბილიტაცია, ჩვენს ყოფაში შემოდის გაზი და ესეც ხომ მშენებლობაა, ისევე, როგორც სპორტული მოედნებისა და დარბაზებისა.**



ზაფხულია და, ვიდრე სწავლა დაიწყებოდეს, მთავარი ყურადღება სკოლების მშენებლობაზე გვაქვს გადატანილი.

ქარელის რაიონის დაბა აგარაში საბაზო სკოლის კაპიტალური რემონტის სამუშაოები მიმდინარეობს. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 612 ათასი ლარია. თანხა იმდენად სოლიდურია, რომ წესით ხარაჩოებზე მშენებლები უნდა ფუსფუსებდნენ. ირგვლივ კი სიჩუმეა.

**– სად გყავთ ხალხი?** – ვეკითხებით მშენებლობის ოსტატებს შალვა ასანოვს და მერაბ ღვინჯილიას.

– გაიფიცნენ.

**– როგორ თუ გაიფიცნენ?**

– ჩვეულებრივად. ხელფასებს არ გვაძლევენ და მაშ რა ვქნათ?! თანხებს არ გვირიცხავენ, სამშენებლო მასალები დიდი დაგვიანებით მოდის...

**– მაგალითად?**

– ლითონპლასტმასის ფანჯრები აქამდეც უნდა შემოეტანათ, დღესაც არ ჩანს – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერც მღებავები მუშაობენ, სხვა სამუშაოებიც ფერხდება.

კარგია, რომ დღეისთვის მთლიანადაა შეცვლილი სახურავი და იატაკი, მთავრდება პარკეტის დაგება. სკოლას ექნება სასპორტო და სააქტო დარბაზები, ავტონომიური გათბობა და წყლის რეზერვუარი. განათლების სამინისტრომ დგამ-ავეჯიც უნდა შემოიტანოს. დღეისთვის სკოლაში 680 მოსწავლე ირიცხება. სკოლის დირექტორის ფრიდონ სვანიძის ვარაუდით, ახალ სასწავლო წელს (გააჩნია, როდის დაიწყებაძ სასკოლო მერხებს 800 მოსწავლე მიუსხდება.



820 ათასი ლარია გამოყოფილი ქარელის №1 სკოლის კაპიტალურ რემონტზე. აქ მშენებლობას ადგილობრივი სოფმშენკომპლექსი ეწევა. შესრულებულ სამუშაოთა მთლიანი ფართობი 411 კვადრატული მეტრია და ბევრი რამეცაა უკვე გაკეთებული. სახურავი, იატაკი, პარკეტი, ელექტროგაყვანილობა. სამუშაოთა მწარმოებელი ვაჟა საზანდრიშვილი სანაქებო ევროპულ რემონტს გვპირდება და ევროპაში გასასვლელად სარკმელიც კი გამოჭრა, მაგრამ რად გინდა?! – შიგ ჩასადგამი ლითონპლასტმასის ფანჯრები დღემდე არც ქარელში მოუტანიათ და საერთო საქმე აქაც ფერხდება.

ამასობაში ქარელის ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობაც დასრულდა. გამგეობამ იგი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ააშენა. ჩოგბურთის კორტი, მინი ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები ამიერიდან ქარელელი ახალგაზრდების სამსახურშია.

ქარელსა და აგარაში სკოლების რემონტი მიმდინარეობს.

**გურამ პავლიაშვილი,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

# და ბიზნესი საქართველოში

ბესდება, 17,8 პროცენტის აზრით კი, უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება. მხოლოდ 3,6 პროცენტს მიაჩნდა, რომ ქვეყნის მდგომარეობა ზემოაღნიშნულ პერიოდში არ გაუჯობესდება, 21,6 პროცენტი თვლის, რომ გაუარესდა; 24,5 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 4,5 პროცენტს სხვა აზრი აქვს.

ასეთი ოპტიმიზმის შენარჩუნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაუქმებული ბრძოლა კორუფციასთან, კრიმინალურ სამყაროსთან, კონტრაბანდასთან.

ოპოზიცია აკრიტიკებს მმართველ პარტიას, რომ ის ფართოდ იყენებს პიარ-ტექნოლოგიებს და, რომ რეალური მიღწევები გაცილებით უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ის მიეწოდება საზოგადოებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება მმართველი პარტიის იმიჯის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ოპოზიციის უუნარობა, რომ მოსახლეობას გააცნოს განვითარების ალტერნატიული პროგრამები (და მათი რეკლამირება მოახდინოსძ მნიშვნელოვნად, აფერხებს სააკაშვილისა და მისი პარტიის რეიტინგის დაცემას. თუმცა ობიექტური პირობები საამისოდ მომწიფებულზე უფრო მომწიფებულია.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ხელისუფლებას, მიუხედავად ძალიან დიდი ძალისხმევისა, არ შეუძლია ამ პროცესის შეჩერება. **2005 წლის ბოლოს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის – „გორბის“ მონაცემებით სააკაშვილს მხარს უჭერდა მოსახლეობის 40 პროცენტი, მაგრამ მეორე გამოკითხვაში, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და სოციალურ განწყობათა ინსტიტუტმა ჩაატარა, სააკაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობამ მხოლოდ 15,5 პროცენტი შეადგინა. შეიძლება ვიკამათოთ ზემოთ მოყვანილ პროცენტებზე. მაგრამ ისინი კარგად ასახავენ ძირითად ტენდენციებს. მმართველმა პარტიამ დაკარგა ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი, ის კარგავს თავის ავტორიტეტსა და მხარდაჭერას საზოგადოებაში.** მაგრამ ეს პროცესი ძალიან სუსტად აისახება ოპოზიციის გაძლიერებაზე. ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით რესპონდენტთა თითქმის 25 პროცენტი საერთოდ არ აპირებდა ხმა მიეცა რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის რეიტინგის დაცემა უფრო მეტად აძლიერებს უნდობლობას პოლიტიკური ძალებისადმი, ვიდრე ოპოზიციას. ამასთან ერთად, თანდათანობით განვითარებას იწყებს პროცესი, რომელიც დამახასიათებელი იყო რევოლუციის წინა პერიოდისთვის, როდესაც ქვეყანაში კატასტროფულად დაეცა მაშინდელი მმართველი პარტიის მოქალაქეთა კავშირის რეიტინგი. მაშინ დაიწყო პარლამენტართა მასობრივი გაქცევა მოქალაქეთა კავშირიდან, რითაც ისინი თავიანთი პოლიტიკური მომავლის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ანალოგიური პროცესი იწყებს განვითარებას დღესაც: მმართველ ძალას გამოეყვნენ რესპუბლიკური პარტია, კონსერვატორები. მისი ერთ-ერთი ცნობილი სახე დ. ზურაბიშვილი კი ოპოზიციური ფრაქციის „დემოკრატიული ფრონტის“ მეთაური ხდება. ამ ფრაქციის შექმნამდე ოპოზიციურ ფრაქციას, პარლამენტში წარმოადგენდნენ მხოლოდ მემარჯვენეები – 17 პარლამენტარი. მათგან 10 წარმოადგენდა „ახალ მემარჯვენეებს“, 7 კი – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. 2006 წლის დასაწყისში ეს ფრაქცია გაიხლიჩა – მას გამოეყვნენ მრეწველები, რასაც ახალი მემარჯვენეების ლიდერები მმართველი პარტიის ინტრიგებით ხსნიან. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ბიზნესის არსებობა – სუსტი ადგილია ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის, რადგანაც ეს მმართველ ძალას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის და პოლიტიკოსი თავისი კონტროლს დაუქვემდებაროს. ამიტომ ახალი მემარჯვენეების ლიდერის დავით გამყრელიძის აზრი, რომ მათი ფრაქციიდან მრეწველობის გასვლაში მთავარი როლი ამ უკანასკნელთა კომერციულმა ინტერესებმა შეასრულა, საფუძველსმოკლებული არ არის, მაგრამ პარლამენტში მრეწველების ლიდერი ტყემალაძე, როგორც მოსალოდნელი იყო, კატეგორიულად უარყოფს სახელისუფლებო პარტიის მხრიდან ზეწოლის ფაქტს. თავისი პარტიის ქცევას ის წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით ხსნის: მისი აზრით, კიდევ ერთი ფრაქციის შექმნა ოპოზიციას საშუალებას მისცემს, მიიღოს უფრო მეტი ადგილი პარლამენტის ბიუროში, კომიტეტებსა და კომისიებში.

ალბათ, არ შეიძლება, რომ მემარჯვენეთა ფრაქციიდან მრეწველების გამოსვლა მხოლოდ მმართველი პარტიის ზეწოლით ავხსნათ. „ახალ მემარჯვენეებსა“ და „მრეწველებს“ არა აქვთ არა მხოლოდ საერთო ინტერესები, არამედ ისინი შორდებიან ერთმანეთს პოლიტიკაშიც. „ახალი მემარჯვენეები“ აშკარად პროდასავლური ორიენტაციის პარტიაა – ის არის პროამერიკული და ნატოზეა ორიენტირებული, ხოლო მრეწველებს კი ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ანტიამერიკანიზმი და დასავლური ფინანსური ინსტიტუტების კრიტიკა. აღსანიშნავია, რომ მათი ლიდერი გოგი თოფაძე ავტორია წიგნისა „ნეოკოლონიალიზმის ყულფში“, რომელშიც ბრალს დებს აშშ-სა და დასავლურ ფინანსურ სტრუქტურებს იმაში, რომ მათ საქართველო კოლონიად გადააქციეს. მრეწველებსა და ახალ მემარჯვენეებს შორის საერთო ფრაქციის შიგნით წინააღმდეგობა უფრო ადრე შეინიშნებოდა, ვიდრე საქმე გაყოფამდე მივიდოდა.

თუ მემარჯვენეები კახა ბენდუქიძეს, რომელსაც მსხვილი ბიზნესი აქვს რუსეთში და ცნობილია თავისი ანტიამერიკული და ანტიდასავლური გამონათქვამებით, აკრიტიკებენ და მიაჩნიათ პრორუსული ხაზის გასატარებლად საქართველოს მთავრობაში, მრეწველები პირიქით, კ. ბენდუქიძის დამცველთა რიგებში აღმოჩნდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ახალ მემარჯვენეებსა და მრეწველების გაერთიანება ერთ საარჩევნო ბლოკში, ტაქტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა, რომლის მიზანიც არჩევნებში გამარჯვება და პარლამენტში ადგილების მოპოვება იყო.

პოსტრევოლუციური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოვლენად იქცა საფრანგეთის მოქალაქის სალომე ზურაბიშვილის გადასვლა ოპოზიციაში და საკუთარი პარტიის „საქართველოს გზის“ შექმნა. თავის დროზე მან დიდი ზარზეიმითა და რეკლამით დაიკავა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. მისი თანამდებობიდან მოულოდნელი წასვლა მმართველი პარტიის შიგნით ბზარის გაღრმავების მაჩვენებელია. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიციური პარტიებიდან სალომე ზურაბიშვილის პარტია ყველაზე უფრო ნაკლები რადიკალიზმით გამოირჩევა და ყველაზე უფრო სუსტად აკრიტიკებს მმართველ პარტიას.



პოსტრევოლუციური ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ოპოზიციური პარტიების გამარჯვების შანსებს, მათი ლიდერების დაბალი რეიტინგი, რეალურად აძლიერებს საქართველოში ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბების საშიშროებას. თუ მმართველი ელიტა შეძლებს ამის განხორციელებას (მისი საქმიანობა მოწმობს, რომ ის სწორედ აქეთკენ მიისწრაფვისძ, ავტორიტარიზმის გამარჯვება საბოლოოდ იქნება უზრუნველყოფილი და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესებიც შეჩერდება.

## დასკვნა

**საქართველოს პოსტრევოლუციურ პოლიტიკურ განვითარებას ახასიათებს ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტება. დამოკრატიაზე შეტევა უფრო აგრესიულ ხასიათს იძენს. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის წარმატებული დამორჩილება მმართველი ელიტის კონტროლისადმი. ბიზნესის წრეებში შიშის ატმოსფეროს დანერგვა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის დემოკრატიზაციაზე, წარმოადგენს მისი განვითარების დამუხრუჭებისა და ავტორიტარიზმის დამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებას. ეს ოპოზიციას ართმევს თავისი გაძლიერების ეკონომიკურ რესურსებს, ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესაძლებლობას. ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება დასავლეთზე მნიშვნელოვნ დაბრკოლებას წარმოადგენს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე განხორციელებული შეტევისათვის. ამ წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით ქვეყანაში იქმნება დემოკრატიის ფასადი, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს უცხოელი და საქმეში ჩაუხედავი ადამიანი. ამ ფასადის შექმნისათვის ხელისუფლება მიმართავს კულუალურ მექანიზმებს იმისათვის, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები დემოკრატიული ვიტრინის მორჩილ, უვნებელ და უძლურ ექსპონანტებად აქციოს.**

**ვალერიან დოლიძე,**
**პოლიტოლოგი**

◎ ინფორმაცია

## ცესკოში 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა წარადგინა

**პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერის სალომე ზურაბიშვილის 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა გუშინ სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა.**

**„საქართველოს გზამ“ სხვა ოპოზიციურ ძალებთან გაერთიანებაზე უარი თქვა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გადაწყვიტა. ზურაბიშვილის მხარდამჭერები ხელმოწერებს რამდენიმე კვირის განმავლობაში თბილისის ყველა უბანში აგროვებდნენ.**

**ცესკოს საოლქო-სარეგისტრაციო განყოფილების უფროსის გია მამულაშვილის განმარტებით, კანონის თანახმად, გადამოწმდება ხელმოწერების 10 პროცენტი. თუკი კომისია დარღვევას ვერ აღმოაჩენს, კანდიდატი დარეგისტრირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოწმდება ხელმოწერების შემდეგი 10 პროცენტი.**

## სატყეო უბნის უფროსის ხელშეწყობით ტყე გაჩეხეს

**გარემოს დაცვის ინსპექციამ რეიდის დროს თელავის რაიონის სოფელ ფშაველაში უკანონოდ მოჭრილი 100 კუბური მეტრი სამასალე მორები აღმოაჩინა.**

**გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსმა შალვა აბუსერიძემ განაცხადა, რომ სოფელ ფშაველში, სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე უკანონოდ მოჭრილია წიფლის ხეები.**

**შალვა აბუსერიძის თქმით, ფშაველაში უკანონო ჭრები, ამავე სოფლის სატყეო უბნის უფროსის მიხეილ თამარაშვილის ხელშეწყობით მიმდინარეობდა.**

**ასევე, ოპერატიული ინფორმაციით, ფშაველის სატყეო უბანზე დაახლოებით 500 კუბური მეტრი ხეტყე მოსაჭრელად იყო გამზადებული.**

**აბუსერიძის თქმით, მიხეილ თამარაშვილს სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო თანამდებობის დატოვება და სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის – 20 000 ლარის გადახდა მოუწევს.**

**საქმე, დეტალების მოკვლევის მიზნით, საოლქო პროკურატურას გადაეცა.**

## აბასთუმანში ტყის მასივს ცეცხლი გაუჩნდა

**14 აგვისტოს, გვიან საღამოს, აბასთუმანში ტყის მასივს ცეცხლი გაუჩნდა.**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ელჩის თურქეთში გეგა მგალობლიშვილის და თურქეთის მთავრობის ერთიანი ძალისხმევით გამთენიისას, თურქეთიდან ხანძრის ლოკალიზების მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო თვითმფრინავი შემოიყვანეს, რის შედეგად აბასთუმანში ხანძრის ლოკალიზება ნაწილობრივ საჰაერო სივრციდან მოხერხდა, თუმცა ტყე გუშინ საღამოს მაინც იწვოდა.**

**გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის შალვა აბუსერიძის თქმით, სავარაუდოდ, ხანძარი მაღალი ტემპერატურის შედეგად გაჩნდა.**

**ხანძრის შედეგად 100 ჰექტარამდე ტყის მასივია დამწვარი.**

**მედიანიუსი**

# ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი



*რატომ ხდება, რომ იმის მიღწევას, რასაც წინათ თითქმის იოლად და შეუმჩნევლად ვახერხებდით, ახლა დიდი ძალისხმევა სჭირდება? იშვიათი სენი მოედო ძირითადად ახალგაზრდა, განათლებულ, წარმატებული კარიერის მქონე ადამიანებს. თანაც, ქალები, როგორც უფრო მგრძნობიარე არსებანი, ამ სენით ერთიორად ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები.*

*დამახასიათებელი თავისებურება — ავადმყოფობა ყველაზე ხშირად იწყება როგორც ჩვეულებრივი გრიპი. მას ხომ ხალხში უკვე უწოდეს „ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი“. მაგრამ მისგან განსხვავებით, ქრონიკული გადაღლილობისას სისუსტე ორგანიზმში შენარჩუნებულია მრავალი თვის, ხშირად წლების განმავლობაში კი.*

*ავადმყოფობა ნამდვილად ირჩევს ინტელიგენციის წარმომადგენლებს (ექიმები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, შემოქმედი პიროვნებები). ქრონიკული გადაღლილობის სინდრომით დასნეულებულ, მაგრამ ერთი შეხედვით ჯანმრთელ ადამიანებს ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები უფრო ხშირად აღიქვამენ უსაქმურებად, ექიმები კი — სიმულიანტებად. და გვერწუნეთ, ეს არანაკლებ დამთრგუნველია, ვიდრე თვით დაავადება.*

*უნდა შეგვეძლოს ქრონიკული გადაღლის ნიშნების ამოცნობა, მიაჩნია რუსეთის ფედერაციის იმუნოლოგიის ინსტიტუტის იმუნოკორექციის ლაბორატორიის გამგეს პროფესორ ნელი არციმოვიჩს.*

### ქრონიკული გადაღლილობის ორი ძირითადი სიმპტომი:

- განუწყვეტელი გადაღლილობა.
- შრომისუნარიანობის მკვეთრი შემცირება, სწრაფი გადაღლა თვით უმნიშვნელო დატვირთვის შემთხვევებშიც კი.

თანაც, ეს სიმპტომები არ ქრება ბოლო 6 თვის განმავლობაში, ექიმებს კი არ შეუძლიათ იპოვონ სხვა ისეთი დაავადება, რომელსაც შეეძლო მსგავსი მდგომარეობის გამოწვევა.

### 10 პატარა ნიშანი:

- დაავადების მწვავე დაწყება.
- სუბფერიული სიცხე, ციებ-ცხელება.
- ყელის ტკივილი და სიმშრალე, კისრის, კეფის და იღლიის ლიმფური კვანძების ოდნავი გადიდება და ყრუ ტკივილი, კუნთების სისუსტე.
- პერიოდული თავისი ტკივილი.
- უძილობა.
- დეპრესია.
- გულმავიწყობა.
- ინტელექტის დაქვეითება (როცა ადამიანი კარგავს ყურადღების გამახვილების უნარს).
- ზედმეტად გაღიზიანება.

თუ თქვენ აღმოაჩინეთ 1-2 ძირითადი სიმპტომი და კიდევ 8 მცირე ნიშანი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაავადებული ხართ ამ ახალი სნეულებით. აუცილებელია მიმართოთ ექიმ-იმუნოლოგს, თუმცა, სპეციალისტისთვისაც კი რთულია სწორი დიაგნოზის დასმა.

დაავადება სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარად ვითარდება: ზოგს მოულოდნელად ეწყება ალერგია, ზოგს — სინათლის შიში, ფობიის რაიმე სხვა ფორმა ან თირკმლის, გულის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების მუშაობის დარღვევა; შესაძლებელია ყოველგვარი დიეტის გარეშე წონაში სწრაფად კლება ან თმის ცვენა. ქრონიკული გადაღლილობის სინდრომი ზოგჯერ ადამიანის ხასიათსაც ცვლის: მხიარული, კონტაქტური ადამიანი შეიძლება მოულოდნელად გახდეს გულჩათხრობილი, ფილანთროპი, ხოლო ძლიერი და საკუთარ ძალებში დარწმუნებული — სუსტი და გაუბედავია.

### შენიღბული დიაგნოზი

**ქრონიკული გადაღლილობის სინდრომი ხშირად ინიღბება სხვა დაავადების სახით, ან, კიდევ — პირიქით, ზოგიერთი დაავადება შეიძლება მივიჩნიოთ ამ საშიშ სინდრომად. ამიტომ, დიაგნოსტიკა ეფუძნება სხვა სნეულებათა გამორიცხვის მეთოდს: გაჭიანურებული ასთენია გრიპის შემდეგ, მძიმე დეპრესია, ლეიკემია, სოკოვანი და მიკრობული ინფექციები, გაფანტული სკლეროზი, აივ-ინფექცია, ავთვისებიანი ახალი წარმონაქმნები, ფიბრომიალგია და სხვა.**

ზუსტი დიაგნოზის დასმა წარმატების საწინდარია. წარმატების მიღწევის მეორე უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მკურნალობის სწორი დანიშვნა. იგი არატრადიციულია: აუტოტრენინგი, რეფლექს- და ფსიქოთერაპია, მცირე დოზებით ანტიდეპრესიანტების მიღება, ვიტამინების სავალდებულო კომპლექსი, იმუნიტეტის კორექცია.

მთავარია, არ მივეცეთ სასოწარკვეთას. ის, ვისაც გამოჯანმრთელება სურს, აუცილებლად მიაღწევს ამას, თუმცა, არც ისე სწრაფად, როგორც ეს სასურველი იქნებოდა.

სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ ქრონიკული გადაღლილობის სინდრომი, უწინარეს ყოვლისა, თრგუნავს იმათ, ვისი იმუნიტეტიც შესუსტებულია და ნერვები, როგორც იტყვიან, დაჭიმულია.

### იმუნური და ნერვული სისტემის განმტკიცება

**— ეს გახლავთ ქრონიკული გადაღლილობის სინდრომის პროფილაქტიკის ყველაზე მარტივი და ყველასთვის ხელმისაწვდომი მეთოდი.**

- მოერიდეთ ყოველგვარ კონფლიქტურ სიტუაციას. უსიამოვნებაზე დიდხანს ნუ იფიქრებთ, წყენას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად დაივიწყოთ. თუ თავს ოდნავ დავატანთ ძალას, ნებისმიერი სიტუაცია შეიძლება ჩვენთვის სასარგებლოდ შემოვაბრუნოთ. საჭიროა მხოლოდ გიყვარდეთ თქვენი თავი და სხვებსაც ოდნავ მაინც თანაუგრძნობდეთ. ჩვენ ხომ სწორედ ეს გვაკლია.
- თქვენი საშინაო ტანსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი, დროდადრო ფეხშიშველმა იარეთ პარკეტზე ან ხალიჩაზე, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, მაგრამ მოერიდეთ გამჭოლ ქარს.
- ხშირად გადაივლეთ თბილი წყალი, ყოველ ჯერზე წყლის ტემპერატურა შეამცირეთ, მაგრამ ერთი გრადუსზე მეტით — არა.
- მიბაძეთ ჰოკეისტების და ფიგურული მოციგურავეების მაგალითს — სცადეთ 5-10 წუთის განმავლობაში ფეხები ჩაყოთ ცივ წყალში. წყლის ტემპერატურა პირველ ეტაპზე 30 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ თანდათანობით შეამცირეთ 15-16 გრადუსამდე.
- პირის ღრუ, ცხვირი ყოველდილით ცივი წყლით დაიბანეთ.
- მოერიდეთ ვირუსებს, მაგრამ მაინც თუ გაცივდით, მით უმეტეს, თუ გრიპი შეგეყარათ, სრულ გამოჯამრთელებამდე იმკურნალეთ.
- დღეში სულ ცოტა 1-1,5 საათი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ყოველ უქმე დღეს სცადეთ ტყეში ან ბუნების წიაღში გასვლა, თუ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, პარკში მაინც წადით.
- დასუსტებულ იმუნურ სისტემას შველის ჩვეულებრივი ნიორი (საკმარისია დღეში 2 კბილი).
- ორგანიზმმა არ უნდა განიცადოს ვიტამინებისა და მინერალების უკმარისობა. იმუნური და ნერვული სისტემის განმტკიცებისათვის აუცილებელია C, P, B ჯგუფის ვიტამინები, ანტიოქსიდანტებად კი — A და E, როგორც „ცოცხალი“ სახით, ისე ფარმაცევტული პრეპარატების და მინერალური ნივთიერებების სახითაც — კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, იოდი და ფოსფორი.

### საიდან დაგვატყდა თავს ეს უბედურება?

**ჯერჯერობით აქ კითხვები უფრო მეტია, ვიდრე პასუხები. არ არის ცნობილი, თუ რა იწვევს დაავადებას. უცხოელ მეცნიერთა უმრავლესობას ამაში „დამნაშავედ“ მიაჩნიათ ჰერპესული ვირუსი, რომელიც აქტიურდება მისთვის ხელსაყრელი პირობების დროს და აავადებს იმ ადამიანთა ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რომლებიც ამის მიმართ გენეტიკურად არიან განწყობილი. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ქრონიკული გადაღლილობის სინდრომის გამომწვევი არიან სხვა ვირუსები: რესპირატორული, ჩუტყვავილას, რეტროვირუსები. არიან მკვლევრები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ მრავალი მიზეზი არსებობს ამ იდუმალებით მოცული დაავადების წარმოქმნისთვის. ზოგიერთის აზრით, ეს შეიძლება იყოს სტრესი, ცუდი ეკოლოგიური ვითარება, ან — ვირუსი.**

სხვადასხვა გამოკვლევათა მონაცემებით, შეერთებულ შტატებში ქრონიკული გადაღლილობის სინდრომით დაავადებულია 3-10 მილიონი კაცი. სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში ეს დაავადება მოედება დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 1,5 პროცენტს. გერმანელი სპეციალისტები კი დარწმუნებულები არიან, რომ მათი ქვეყნის მცხოვრებთა 90 პროცენტი ქრონიკული გადაღლილობის სინდრომის პოტენციური მატარებელია, 3 პროცენტს კი ეს დაავადება უკვე გამოუვლინდა ამა თუ იმ ფორმით. შესაბამისი სტატისტიკის უქონლობის გამო, ჯერჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენი ადამიანი დაავადდა ამ სენმა რუსეთში.

*Medlinks.ru*

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

### რედაქციაში შემოსულ შეკითხვებს უპასუხებს ირინე ღლონტი

**— ვარ 65 წლის, დიასახლისი. წლების განმავლობაში არსად არ მიმუშავია, ვინაიდან ოჯახი ადრე შევქმენი და 4 ღირსეული შვილი გავუზარდე სამშობლოს.**

**მაქვს მხოლოდ 6 წლის შრომის სტაჟი. ამჟამად არსად არ ვმუშაობ.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა რაიმე სახის პენსია?**

**ოლია ქადაგიძე.**

* * *

— 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო პენსიის დასანიშნად მნიშვნელობა აღარ აქვს შრომის სტაჟის ხანგრძლივობას და აქედან გამომდინარე, პიროვნებას, ნებისმიერი სახის პენსიის დასანიშნად შრომის სტაჟის საბუთების წარდგენა არ მოეთხოვება.

თუ თქვენ არ მუშაობთ, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, გაქვთ პენსიის დანიშვნის უფლება და აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც ახალი შრომის კოდექსი არ აწესრიგებს?**

**გენო სოფაძე.**

— შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც 2006 წლის 4 ივლისიდან ძალაში შესული შრომის კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი არ აწესრიგებს, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

— ახალ შრომის კოდექსში მითითებული არ არის ადმინისტრაციისა და მუშაკის შესახებ; უფრო სწორად, სიტყვა „ადმინისტრაცია“ რატომღაც შეცვლილია — „დამსაქმებლით“, ხოლო — მუშაკი — „დასაქმებულით“.

* * *

**— გთხოვთ, განმიმარტოთ როგორ რეგულირდება შრომითი ურთიერთობა და რა ჩაითვლება პირის დისკრიმინაციად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა დისკრიმინაციად პირის შევიწროება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო?**

**მამუკა შიხაშვილი.**

— შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

ახალი შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, **სექსუალური ორიენტაციის,** შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო.

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ და არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერ მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

კოდექსში ხაზგასმულია, რომ შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

* * *

**— მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება თუ არა იურიდიული პირის გარდა, იყოს პირთა გაერთიანება?**

**ნანი სოფრომაძე.**

— მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება გარკვეული სამუშაო.

კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

* * *

**— გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონის თანახმად, როდიდან წარმოიშობა შრომითი ურთიერთობა?**

**ბაგრატ ნარჩემაშვილი.**

— შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

* * *

**— დაშვებულია თუ არა შრომის კოდექსით განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულება?**

**ოთარ ნატროშვილი.**

— შრომის კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. ამასთან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულების თაობაზე.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

◉ აღსარება

***მიმდინარე კვირას სრულდება 1991 წლის აგვისტოს მოვლენების 15 წლისთავი, როცა ეგრეთ წოდებული „გეკაჩეპეს" წევრებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტი ნატალია მელიკოვა შეხვდა სსრ კავშირის პირველ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. გთავაზობთ ამ საუბრის ფრაგმენტებს.***

# მიხეილ გორბაჩოვი:
# უფრო მკაცრად უნდა მემოქმედა





**— როგორია პუტჩის გაკვეთილები?**

— გადატრიალებების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, მისი უზურპაციის მეშვეობით ჩვენ ვერ შევქმენით ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამისთვის საჭიროა ვიაროთ არჩეული გზით — დემოკრატიის და თავისუფლების გზით. მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ, განვავითაროთ ეს პროცესები, არ ავყვეთ არანაირ ზემოქმედებას. რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ადგას საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების დამკვიდრების, უმრავლესობის ინტერესებისათვის დემოკრატიის გამტკიცების კურსს. აი, რატომ ვუჭერ მხარს პუტინს. პრესაში უკვე არაერთხელ დაიწერა, რომ მწიფდება გადატრიალება. ახლა ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ზოგიერთები მოისურვებენ პრეზიდენტზე ზემოქმედების მოხდენას თავიანთი ინტერესებისათვის. ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლებს სურთ, რომ ქვეყანაში ბატონობდეს მსხვილი ბიზნესი. სხვები მოისურვებენ რევანშს, გარდაქმნამდე არსებული წესების დაბრუნებას — ჩვენ ხშირად ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ქუჩებში გამოდიან სტალინის პორტრეტებით. ჩვენ არ გვჭირდება არც ერთი და არც — მეორე. საჭიროა სოციალურ-დემოკრატიული გზა, როცა ჩვენ ვაღიარებთ დემოკრატიას, ადამიანების თავისუფლებას, ბიზნესის პასუხისმგებლობას, რომელსაც, სხვათა შორის, სჭირდება დაცვა, მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაიბრიყვონ ვაიპოლიტიკოსებმა ან ოლიგარქებმა. ვფიქრობ, რომ „იუკოსის" საქმეში მარტო გადასახადების გადახდისგან თავის არიდება როდი ფიგურირებდა. მე პატივისცემით ვეკიდებოდი ხოდორკოვსკის. იგი იყო იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ქმნიდნენ ახალგაზრდა ბიზნესს. თავის დროზე იგი ჩემთან სამჯერ იმყოფებოდა თათბირებზე ახალგაზრდა ბიზნესმენებთან ერთად. მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი დაღუპა ზედმეტმა თვითდაჯერებულობამ ან სიხარბემ, იქნებ, მარტო ამანაც არა.



**— თქვენ ამბობთ, რომ ახლა ხელისუფლებას საფრთხე ემუქრება ნეოლიბერალების და რევანშისტების მხრიდან. მაგრამ, განა პარტიული ნომენკლატურული აღდგენა არ უქმნის საფრთხეს მოქმედ ან მომავალ პრეზიდენტს?**

— რა თქმა უნდა. ეს საერთოდ იქნებოდა ყველა პრობლემის გამწვავება და ისეთი სიტუაციის პროვოცირება, რომელშიც დაიწყებოდა დემოკრატიის საწინააღმდეგო პროცესები.

**— განა ახლა ასეთი რამ არ ხდება?**

— ჩემი აზრით, ჯერ არ მოხდარა. პროცესები ჩვენში რთულად მიმდინარეობს. ამას ყველა ვერ ხედავს, როგორც რუსეთში, ისე — მსოფლიოში. ვლადიმერ პუტინს მემკვიდრეობით ერგო დაშლისპირამდე მისული სახელმწიფო, ქაოსი არმიაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, პრინციპში, ყველგან. საჭირო იყო ქვეყნის გადარჩენა. ამას გადაუდებელი ზომების მიღება სჭირდებოდა. როგორც იტყვიან, აქ ვერაფერს გააწყობდი მარტო დემოკრატიის სახელმძღვანელოებით.

**— ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში მკაცრად გააკრიტიკეთ ის, რომ სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, და „პოლიტიკური ელიტის ნაწილს" ბრალად დასდეთ, რომ მათ სურთ შეზღუდონ მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. ვის მიაკუთვნებთ ამ „ნაწილს"?**

— უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება „ერთიან რუსეთს".

**— თქვენ მოუწოდეთ პრეზიდენტს, დაედო ვეტო პარლამენტის მიერ მოწონებულ შესწორებებზე. პუტინს შეუძლია ასეთი ნაბიჯის გადადგმა?**

— ვფიქრობ, იგი უნდა ჩაერიოს ამ საქმეში. ახლა მხოლოდ პუტინი თუ შეძლებს რაიმეს გაკეთებას. თუ არა — დარჩება მხოლოდ ერთი ალტერნატივა: ადამიანების გამოსვლა ქუჩაში. განა, ეს გვინდა ჩვენ?

**— ეს კი შესაძლებელია?**

— რუსეთში, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით არის შესრულებული რევოლუციათა ლიმიტი. მაგრამ შემდგომშიც თუ ასე მოეპყრობიან ადამიანებს, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. მოდით, გავიხსენოთ შეღავათების მონეტიზაციის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებული ისტორია.

**— თქვენი აზრით, შეღავათების მონეტიზაცია პუტინის შეცდომა იყო?**

— ეს, უწინარეს ყოვლისა, პარლამენტის და მთავრობის შეცდომაა. რამდენიმე მილიონი ადამიანი დავიწყებული აღმოჩნდა. როცა პენსიონერები ქუჩებში გამოვიდნენ, მთელი რუსეთი მხარში ამოუდგნენ ამ მოხუცებს. ეს აფეთქებასაშიში მომენტი იყო. მხოლოდ პრეზიდენტის ჩარევამ განმუხტა დაძაბულობა. განა აქედან არ უნდა გამოგვეტანა დასკვნები? ამიტომაც ვამბობ: არჩევნების წინ სიტუაცია უკიდურეს დაძაბულობამდე არ უნდა მივიყვანოთ, როცა ამომრჩევლებს ვართმევთ მათ უფლებებს.

**— შეიძლება სხვადასხვაგვარად შევაფასოთ პიროვნების როლი ისტორიაში, მაგრამ ახალი რუსეთის ისტორიაში ხელმძღვანელის შეცვლა ყოველთვის ნიშნავდა კურსის რადიკალურ შეცვალას. პუტინს არაერთგზის უთქვამს, რომ 2008 წელს დატოვებს პრეზიდენტის პოსტს. თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ ყოველივე ამის შემდეგ კვლავ 180 გრადუსით შემობრუნდეს მოვლენათა განვითარება?**

— აი, რატომ ვამბობ, რომ ჩვენ გვჭირდება ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც ქვეყანას დაიცავდა მსგავსი არასასურველი პერსპექტივებისაგან.

**— რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში თუ ხედავთ ისეთ ფიგურას, რომელსაც შეეძლება ქვეყნის სათავეში მოსვლა 2008 წლისათვის?**

— ეს უნდა იყოს მოწიფული ადამიანი. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ ვის დაასახელებს პრეზიდენტი. მაგრამ ეს როდის ნიშნავს, თითქოს პუტინის რჩეულს არ ეყოლება კონკურენტი. რა თქმა უნდა, ეყოლება.

**— მაგალითად, მიხეილ კასიანოვი?**

— არა, კასიანოვს პერსპექტივა არა აქვს.

**— მოდით, დავუბრუნდეთ 15 წლის წინანდელ მოვლენებს... მაშინ თქვენ თვითონ მიიღეთ ფოროსში გამგზავრების გადაწყვეტილება? ვინმემ ხომ არ გაიძულათ ამის გაკეთება?**

— არა, ეს მე თვითონ გადავწყვიტეთ. უბრალოდ, ძალზე გადავიღალე და გადავწყვიტე, რომ სამოკავშირო ხელშეკრულების დადებამდე ორი კვირით ადრე დამესვენა. 19 აგვისტოს მოსკოვში უნდა დავბრუნებულიყავი. ვერც კი დავუშვებდი, რომ ყოველივე იმის შემდეგ რაც გაკეთდა (ანტისაკრიზისო პროგრამა, ხელმოწერისთვის მომზადებული ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, სკკპ რეფორმის გეგმამ, გარდაქმნის მოწინააღმდეგეები ჩაიფიქრებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში შვებულებაში არ გავიდოდი და მაშინ არც არაფერი მოხდებოდა. ეს იყო ვერშემდგარ სახელმწიფო მოღვაწეთა პოზიცია. დაინახეს, რომ მათი დრო აღარ არის, და გადაწყვიტეს წამოეწყოთ შეთქმულება. ეს იყო ავანტიურა. მაგრამ, პრინციპში, ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილა „გეკაჩეპეს" გამოჩენა. პარტიულმა ნომენკლატურამ ვერ გაუძლო დემოკრატიის გამოცდას. ამ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ რადგან მოხვდნენ ხელისუფლების სათავეში, ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინათ ძალაუფლება. ამის დაკარგვა მათთვის ტრაგედია იყო.

**— თუ ამბობთ, რომ ყოველივე ეს თქვენთვის მოულოდნელობა არ ყოფილა, მაშასადამე, გქონდათ შესაძლებლობა არ დაგეშვათ „გეკაჩეპეს" გამოჩენა...**



— კონსერვატიულმა ძალებმა განახორციელეს რამდენიმე ცდა — უმაღლესი საბჭოს სესიაზე, 1990 წლის დამლევს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. 1991 წლის აპრილში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სურდათ ჩემი გადაყენება გენერალური მდივნის პოსტიდან. მაგრამ პლენუმის დაწყებამდე გავმართე „9 პლუს 1" ცნობილი შეხვედრა. ნოვო-ოგარიოვოში 9 მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სსრკ პრეზიდენტმა მიიღეს გადაწყვეტილება ქვეყანაში არსებული კრიზისის დაძლევის მიზნით გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. საზოგადოებამ ეს მოიწონა. ჩემი მოწინააღმდეგეებისთვის კი ეს ნამდვილი მოულოდნელობა იყო. როცა პლენუმზე შეთქმულებმა აშკარად მოიტანეს ჩემზე იერიში, მე განვაცხადე, რომ გადავდგებოდი. პლენუმმა მუშაობა შეწყვიტა. პოლიტბიურო ორი საათის განმავლობაში განიხილავდა შექმნილ სიტუაციას. იმ დროს კი ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებმა უკვე დაიწყეს გორბაჩოვის მხარდამჭერთა სიების შედგენა. ყველაფერი მიდიოდა პარტიის რიგებში განხეთქილებისკენ. მწვავე დისკუსიის შემდეგ, პოლიტბიურომ მთხოვა, უკან წამეღო განცხადება. მე დავთანხმდი, თუმცა ახლა ამას ვნანობ. უფრო მკაცრად უნდა მემოქმედა. ალბათ, საამისოდ ძალები არ მეყო.

**— სკკპ-ს რიგებში განხეთქილება რომ მომხდარიყო, ეს, ალბათ, თქვენ მოგცემდათ იმის შესაძლებლობას, რომ პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელობისგან ჩამოგეშორებინათ ყველაზე ოდიოზური ფიგურები...**

— ეს ნორმალური იქნებოდა. კომუნისტები შეძლებდნენ თვითგამორკვევას. მაგრამ, გარდაქმნის მოწინააღმდეგეები არც ამის შემდეგ დამშვიდებულან. ივნისში მათ კიდევ ერთხელ სცადეს ბედი. უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასვეს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის უფლებამოსილებათა ხელახალი განაწილების საკითხი. გამართეს დახურული სხდომა, რომელზეც გამოვიდნენ კრიუჩკოვი, იაზოვი, პუგო. იქვე იმყოფებოდა ვიცე-პრეზიდენტი იანაევიც. უნდა ვაღიარო, რომ ამ ადამიანის დანიშვნა ჩემი კიდევ ერთი საკადრო შეცდომა იყო. მეორე დღეს მე მკაცრი პასუხი გავეცი მათ პროვოკაციებს.

**— ივლისის დამლევს, ფოროსში გამგზავრებამდე მცირე ხნით ადრე, თქვენ შეხვდით ელცინს და ნაზარბაევს და განიხილეთ სამოკავშირეო ხელშეკრულება...**

— თავდაპირველად ასეთი გეგმა იყო: ვაწერთ ხელს დოკუმენტს, და ნახევარი წლის შემდეგ ვიღებთ ახალ კონსტიტუციას, რომლის საფუძველზეც ვმართავთ არჩევნებს. ამ საკითხის განხილვის შემდეგ კი გადავწყვიტეთ სხვაგვარად გვემოქმედა. არჩევნებს ვმართავთ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ისე, რომ არ ველოდებით ახალი კონსტიტუციის მიღებას. ამას გვაიძულებდა ქვეყანაში შექმნილი მწვავე მდგომარეობა. ვიმსჯელეთ კადრებზეც. ელცინმა და ნაზარბაევმა მითხრეს, რომ მე უნდა დავრჩენილიყავი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე. ელცინი უნდა დარჩენილიყო რუსეთის მეთაურად. რაც შეეხება პრემიერს, მე წამოვაყენე ნაზარბაევის კანდიდატურა, რომელზეც ყოველთვის კარგი აზრის ვიყავი. ვითათბირეთ ასევე კადრების განახლების შესახებ. კერძოდ, საქმე ეხებოდა კრიუჩკოვის, იაზოვის და სხვათა შეცვლას. როგორც აღმოჩნდა, მთელ ამ საუბარს ისმენდა და იწერდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. კრიუჩკოვმა ეს ჩანაწერი იაზოვზე და სხვებზე ზემოქმედების იარაღად გამოიყენა.

იხ. 10 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# პასპორტების გაფორმება დაიწყო

**სამხრეთ ოსეთში დაიწყო რესპუბლიკის პასპორტების გაცემა, განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ბორის ჩოჩიევმა. როგორც მან თქვა, სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი განკუთვნილია შიდა სარგებლობისთვის.**

ასეთი საბუთი მნიშვნელოვნად გააიოლებს დოკუმენტების ბრუნვას რესპუბლიკაში, რადგან სადღეისოდ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს ხელზე აქვთ სამი პასპორტი: რუსული, საბჭოური ნიმუშის და საზღვარგარეთის პასპორტები, რომლებიც სპეციალური სერიით გამოუშვეს სამხრეთ ოსეთისთვის.

სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პირველ ეროვნულ პასპორტს გადასცემენ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს, ამის შემდეგ კი პრიორიტეტული წესით განხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომლის პასპორტიზაცია. ახალ პასპორტებს შემდგომ ეტაპზე მიიღებენ რესპუბლიკის მცხოვრებლები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში მყოფი ლტოლვილები.

„სამხრეთ ოსეთის ეროვნული პასპორტი, რუსული დოკუმენტის მსგავსად, წითელი ფერისაა, მას ამშვენებს ოსური სიმბოლიკა, ყველა ფურცელზე გამოსახულია ოსეთის გერბი, წარწერები ორ ენაზეა – რუსულ და ოსურ ენებზე“, – თქვა თვითაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ. როგორც მან აღნიშნა, ახალი პასპორტების დაცულობის დონე ერთიორად უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური რუსული დოკუმენტებისა.

ИЗВЕСТИЯ

# კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ემზარ კვიციანის ავტომანქანა იპოვეს



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კოდორის ხეობის ზემო ნაწილში იპოვეს კოდორელ სვანთა ლიდერის ემზარ კვიციანის კუთვნილი „ლენდროვერის“ მარკის ავტომობილი. ქართველ სამართალდამცველთა მონაცემებით, სწორედ ამ ავტომანქანით გადავიდა კვიციანი ივნისის შუა რიცხვებში კოდორის ხეობაში მესტიის რაიონიდან, შემდეგ კი მანქანა გადამალა ხეობის ერთ-ერთ ტყიან მასივში.**

შეგახსენებთ, რომ 1997-2004 წლების პერიოდში კვიციანი იყო საქართველოს პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კოდორის ხეობის ზემო ნაწილში, მეთაურობდა სახალხო ლაშქარ „მონადირის“ რაზმებს. მაგრამ, 2005 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაშალა რაზმი და შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვა კვიციანი. 12 ივლისს კვიციანმა გამოაცხადა, რომ აღადგინა რაზმი „მონადირე“ და აღარ ემორჩილებოდა თბილისს, რადგან, მისი აზრით, საქართველო არ უთმობს სათანადო ყურადღებას კოდორის მცხოვრებლებს, რომლებიც შიმშილობენ. კვიციანმა ასევე მოითხოვა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების – ირაკლი ოქრუაშვილისა და ვანო მერაბიშვილის გადაყენება. ამბოხების ჩახშობის შემდეგ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ კვიციანს დაუსწრებლივ წაუყენა „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის, იარაღის უკანონოდ შესყიდვის და ტარების და სახელმწიფოს ღალატის ბრალდებები“.

REGNUM
15 აგვისტო

# საქართველო-თურქეთის საზღვრის ზონაში ტყეები იწვის

**ორი ქვეყნის მეხანძრეები ებრძვიან ცეცხლს სოფელ აბასთუმნის მიდამოებში მდებარე ტყის მასივში. ხანძარი გაჩნდა 14 აგვისტოს საღამოს, და იგი სწრაფად გავრცელდა დაახლოებით ას ჰექტარ ფართობზე, სადაც უკვე მთლიანად განადგურებულია ტყე.**

ხანძრის ლოკალიზებას მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ არა მარტო ქართველ მესაზღვრეები, არამედ მეტყევეები, გარემოს დაცვის ინსპექციის მუშაკები და ადგილობრივი მცხოვრებლები. თურქი მეხანძრეები სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციის თხოვნით. ორმა ქართულმა სპეციალური დანიშნულების ვერტმფრენმა ცეცხლმოკიდებულ ტყეს რამდენჯერმე დაასხა ტონობით წყალი. ექსპერტთა აზრით, ცეცხლის გაჩენის მთავარი მიზეზია არნახული სიცხე. 4 აგვისტოდან დაწყებული, ტემპერატურა ჩრდილში 40-42 გრადუსს აღწევს, მზეში კი – 50 გრადუსსაც. დაახლოებით ასეთივე ამინდია საქართველოს უმეტეს რაიონებშიც.



REGNUM
15 აგვისტო

◉ აღსარება

(მეცხრე გვერდიდან)

**– ფოროსში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს შეიძლებოდა რაღაც დიდი უბედურება შეგმთხვეოდათ...**

– პუტჩის ორგანიზატორებს ძალზედ სურდათ, რომ მე მეცადა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ. არ ვიცი რატომ, მაგრამ როცა ვითარება იძაბება, პანიკას კი არ ვეძლევი, პირიქით, ზუსტ მოქმედებას ვიწყებ. არ შემშინებია, თუმცა არ გამოვრიცხავდი, რომ პუტჩისტებს შეიძლება გადაედგათ უკიდურესი ნაბიჯები. არანაირი გარიგების დადებას მათთან არ ვაპირებდი. ეს ჩემი ოჯახის წევრებსაც ვუთხარი, რომლებმაც გამიგეს და მხარი დამიჭირეს, თუმცა ძალზედ ღელავდნენ, განსაკუთრებით – ჩემი მეუღლე. ფოროსის შემდეგ რაისას ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს ისეთი საშინელი სტრესი იყო, რომ იგი ვეღარ გაუმკლავდა.



რუქტურის შექმნის გზიდან.

**– ხომ არ ნანობთ, ელცინი სვერდლოვსკიდან მოსკოვში რომ გადმოიყვანეთ?**

– რა თქმა უნდა, მაშინ რაღაც ეჭვები მქონდა. ჩვენ ვეძებდით ცენტრალური კომიტეტის სამშენებლო განყოფილების უფროსის პოსტზე დასანიშნ ადამიანს. მაშინ გვჭირდებოდა სპეციალისტი, რომელსაც პარტიული გამოცდილების გარდა, დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც ექნებოდა. იყო სამი კანდიდატურა, მაგრამ ყველაზე მომზადებული აღმოჩნდა ელცინი. უნდა გითხრათ, უკვე მაშინ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანს სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. მას არ შეეძლო კრიტიკულად შეეხედა თავისი თავისთვის. ვიგრძენი, რომ იგი ეცდებოდა სხვების დათრგუნვას. ეს კაცი არ შეეფერებოდა ჩვენს დროს. მის დანიშვნას არც ნიკოლოზ რიჟკოვი მირჩევდა. ამის შემდეგ, ეგორ ლიგაჩოვი ჩავიდა სვერდლოვსკში. იგი, ალბათ, სიმპათიით იყო განმსჭვალული ელცინის მიმართ. მოსკოვში ჩამოსვლისას ლიგაჩოვმა მითხრა: „ჩვენი კაცია, უნდა დავნიშნოთ“. აი, ასე აღმოჩნდა ელცინი მოსკოვში.

# მიხეილ გორბაჩოვი:

# უფრო მკაცრად უნდა მემოქმედა



**– მთელი ამ წლების განმავლობაში არ გსურდათ ხელისუფლებაში დაბრუნება?**

– გულახდილად რომ გითხრათ, როცა ვადევნებდი თვალყურს იმას, რაც 90-იან წლებში ხდებოდა, მსურდა საქმეში ჩარევა. მაგრამ მე ვიყავი იზოლირებული პრესისა და ტელევიზიისაგან. მთელ ჩემს სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ. არადა, მე არ ვგეგმავდი არც რაიმე შეთქმულებას, არც – გადატრიალებას. და დღესაც, როცა საჭიროდ მიმაჩნია ამა თუ იმ მოსაზრების გამოთქმა, მე ამას საჯაროდ ვაკეთებ.

**– ამ ცოტა ხნის წინათ წერდით, რომ დემოკრატიაზე გადასვლის პირობები გართულდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ 90-იან წლებში განხორციელებული მცდარი პოლიტიკის გამო. ამ შეცდომებს თქვენ პირადად ბორის ელცინის საქმიანობას უკავშირებთ?**

– მან ბევრი შეცდომა დაუშვა, ქვეყანა დაშლის პირას მიიყვანა, გადაუხვია საბაზრო ეკონომიკის, ახალი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული ინფრასტ-

**– ხელისუფლების სათავეში თქვენმა მოსვლამ მისცა დასაბამი შემობრუნებას საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში, დასრულდა ცივი ომი. თქვენი აზრით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ამჟამად გამწვავებულია რუსეთის ურთიერთობა დასავლეთთან, უწინარეს ყოვლისა კი – შეერთებულ შტატებთან?**

– ჩვენ შევძელით მოგვეღო ბოლო ცივი ომისთვის. მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი და დასავლეთი დაავადდა მძიმე სენით – „გამარჯვებულის კომპლექსით“. არ შეიძლება, კაცმა ასე უსინდისოდ მიიწეროს ყველა დამსახურება ცივი ომის შეწყვეტის საქმეში, განაცხადოს, რომ დაამარცხე სსრ კავშირი, სოციალიზმი. დასავლეთი რუსეთს არ მოეკიდა სათანადო გაგებით, უგულებელყო მისი გადამწყვეტი წვლილი ცივი ომის დასრულებაში. როცა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს ძალზე უჭირდა, დაიწყეს მისი განდევნა პოლიტიკური და ისტორიული ასპარეზიდან. დასავლეთი ცდილობდა გამოეყენებინა რუსეთის, იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც არ იყო მომზადებული საბაზრო პირობებში ცხოვრებისთვის. როგორც კი რუსეთმა დაიწყო მოღონიერება, გაირკვა, რომ დასავლეთს ეს დიდად არ აძლევს ხელს.



**– მაშასადამე იმ რთულ ურთიერთობაში, რომელიც ამჟამად რუსეთსა და ამერიკას შორის არსებობს, ჩვენ პარტნიორებს ადანაშაულებთ?**

– მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა საკითხს პასუხისმგებლობით და დიდი სერიოზულობით ეკიდება. პრეზიდენტს გამუდმებით აქვს დიალოგი ყველა ქვეყანასთან, და ეს ნორმალურიც არის. თუმცა, ხშირად ჩვენს დიპლომატიასაც არ ჰყოფნის თავშეკავება.

**– ამ ბოლო ხანებში რუსეთში სულ უფრო გახშირდა ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყანამ უნდა აღიდგინოს სუპერსახელმწიფოს პოზიციები. ასეთი ამბიციები გადაჭარბებული ხომ არ გეჩვენებათ?**

– რუსეთი „განწირულია“ იმისთვის, რომ იყოს სუპერსახელმწიფო, სხვაგვარად ვერ გადავჭრით ჩვენს ეროვნულ პრობლემებს და ამით დანარჩენი მსოფლიოც დაზარალდება. რუსეთს აქვს უდიდესი ისტორიული გამოცდილება, უმდიდრესი ინტელექტუალური თუ ბუნებრივი რესურსები.

**– არ გწყინთ, რომ თქვენი საქმიანობა სათანადოდ არ დააფასეს რუსეთში?**

– ბევრს ვმოგზაურობ მთელს მსოფლიოში და ძალზე ხშირად მოუმართავთ ასეთი კითხვით: დასავლეთში თქვენ გაღმერთებენ, რუსეთში კი – პირიქით. რატომ ხდება ასე, ხალხია ასეთი, თუ ქვეყანა? მაგრამ, კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობებში ვახორციელებდით გარდაქმნას. ძალზე მოხარული ვარ, რომ რუსეთში არიან ადამიანები, მათ შორის ახალგაზრდებიც, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გარდაქმნას როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე მსოფლიოსთვის.

НЕЗАВИСИМАЯ
15 აგვისტო

# ნანატრი ზავი

**ორშაბათს, ადგილობრივი დროით ზუსტად დილის 8 საათზე, ლიბან-ისრაელის საზღვარზე სიჩუმე დაისადგურა. მხარეები დაზავდნენ, როგორც ეს იყო დაგეგმილი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით.**

თუმცა, არც ლიბანში და არც ისრაელში არავის სწამს, რომ დაზავება ნამდვილ მშვიდობას მოიტანს. ამ დღეებში მიღებულმა გაეროს უშიშროების საბჭოს № 1701 რეზოლუციამ, სავსებით შესაძლებელია, გაიზიაროს მისი წინამორბედის – № 1559 რეზოლუციის ბედი. ორი წლის წინათ მიღებული ეს დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა შიიტთა ორგანიზაციის განიარაღებას, მაგრამ მას შესრულება არ ეწერა.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ლიბანში გამოიტანეს სათანადო დასკვნები, მწარედ ცდება: „ჰესბოლას“ ლიდერებმა უკვე რამდენჯერმე განაცხადეს, რომ არანაირი პირობებით არ დათანხმდებიან იარაღის დაყრას. ლიბანის წარმომადგენელმა გაეროში კი აღნიშნა, რომ მისი მთავრობა არ გამოიყენებს ძალას შიიტი-მოთარეშეების განიარაღების მიზნით.

საინტერესო იყო მომხდარ მოვლენებზე ლიბანის და ისრაელის უშუალო მეზობლების რეაქცია. თუ ეგვიპტემ, იორდანიამ და საუდის არაბეთმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირეს მხარი გაეროს რეზოლუციას, სირიამ კი „მხარდაჭერა გამოუცხადა ლიბანის მთავრობას, რომელიც დათანხმდა ამ დოკუმენტის მიღებას“, „ჰესბოლას“ მთავარი სულისჩამდგმელის და მოკავშირის – ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეჰრ მოთაქიმ დოკუმენტს უწოდა ცალმხრივი და უსამართლო, რადგან, მისი აზრით, იგი ემსახურება „სიონისტთა ინტერესებს“.





თვით ისრაელში აზრი ორად გაიყო ამ რეზოლუციის თაობაზე. ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სილვან შალომის აზრით, დოკუმენტი არის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება, რომელიც კი ოდესმე შეუთავაზებიათ ისრაელისთვის. თუ „ჰესბოლა“ ამჯერადაც არ იქნება განიარაღებული, ეს დიდი საჩუქარი გახდება ყველა მუსლიმანი-ექსტრემისტისთვის და მომაკვდინებელ დარტყმას აგემებს ყველა ზომიერ ძალას არაბულ სამყაროში, მიაჩნია მას.

სხვაგვარი აზრისაა მემარცხენე-რადიკალური პარტიის „მერეცის“ წარმომადგენელი ავშალომ ვილანი: „დოკუმენტის მიმართულება სწორია. ლიბანის არმია პირველად დაიკავებს პოზიციებს ისრაელის საზღვრის გასწვრივ. ფრანგების ძალების მხარდაჭერით, რომლებსაც დაეკისრათ ძალის გამოყენების შესაბამისის უფლებამოსილებანი, არის სტაბილურების დამყარების შანსი“.

# იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ომებში დაღუპულთა სულებისთვის ილოცა

**ძიუნიტირო კოიძუმი კიდევ ერთხელ ეწვია იასკუნის ტაძარს, რომელიც ააგეს ომებში დაღუპული 2,5 მილიონი იაპონელის ხსოვნის პატივსაცემად. დაღუპულ იაპონელ მეომრებს შორის 14 კაცი მსჯავრდებულია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო დანაშაულობათა ჩადენის გამო.**

კოიძუმი, როგორც ქვეყნის პრემიერი, უკვე მეექვსედ ეწვია ამ ტაძარს, მაგრამ ამჯერად მისი იქ მისვლა პირველად დაემთხვა მეორე მსოფლიო ომში იაპონიის კაპიტულაციის წლისთავს.

იაპონიის მეზობელი ქვეყნები იასუკუნის ტაძარს ტოკიოს მილიტარისტული წარსულის სიმბოლოდ მიიჩნევენ. სამხრეთ კორეა და ჩინეთი, იაპონიის კოლონიალიზმის მსხვერპლი-ქვეყნები, პრემიერის ტაძარში მისვლას ძალზედ უარყოფითად ეკიდებიან, რადგან მათი აზრით, ასეთი ნაბიჯით იაპონიის ხელისუფლება მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ არ სურს დაგმოს ქვეყნის წარსული.

ამჯერად პრემიერი არა მარტო მივიდა ტაძარში, არამედ ილოცა კიდეც დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად. იგი აცხადებდა, რომ ტაძარი მისთვის არის დაღუპულთა ხსოვნის სიმბოლო, და არა იაპონიის მილიტარიზმისა და კოლონიალიზმის ძეგლი.

თუმცა, არც სეულს და არც პეკინს ასეთი ახსნა-განმარტება არ აძლევს ხელს.



# მექსიკაში 10 ათასი წლის წინათ დატოვებული კვალი იპოვეს

**მექსიკის კოაუილას ჩრდილოეთ შტატში მეცნიერებმა იპოვეს ადამიანის ნაკვალევი, რომლის ასაკი 10 ათას წელს აღემატება. ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის არტურო გონსალესის თქმით, საქმე ეხება ადამიანის ტერფის ანაბეჭდს, რომელიც შესაძლოა იყოს ყველაზე ძველი მეცნიერებისთვის აქამდე ცნობილ ანალოგებს შორის.**

27 სანტიმეტრი სიგრძის ნაკვალევი სავარაუდოდ, ზრდასრულ მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს. ასეთმა დიდმა ზომებმა განაცვიფრეს ანთროპოლოგები, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ ძველი ადამიანის სიმაღლე 170 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

იქვე იპოვეს შედარებით მცირე ზომის კვალი, რომელიც ქალს ან ბავშვს უნდა ეკუთვნოდეს. მეცნიერთა აზრით, ეს ნაპოვნი გამყინვარების პერიოდის უნდა იყოს.

ნაკვალევი აღმოაჩინეს კუატროსიენაგასის მიდამოებში, რომელიც ცნობილია უნიკალური ტბებით და ანკარა წყაროებით. ამ ადგილს ბიოლოგები ადარებდნენ გალაპაგოსის კუნძულებს, რადგან მრავალ ენდემურ ცხოველს თუ მცენარეს შეიცავს იქაური ფლორა და ფაუნა. 60-ზე მეტი სახეობის ცხოველი და მცენარე მხოლოდ მექსიკის ამ ნაწილში გვხვდება.

# აშშ-ში ბიომეტრიული მონაცემების მქონე პასპორტების გაცემა დაიწყო

**როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, ახალი თაობის პასპორტების წარმოება ჯერჯერობით ხდება მხოლოდ კოლორადოს საპასპორტო სამმართველოში, რომელიც ქვეყნის დასავლეთის მთელ რიგ შტატებს ემსახურება. უახლოესი თვეების განმავლობაში დოკუმენტის პატრონის შესახებ ბიომეტრიული მონაცემების შემცველი ასეთი პასპორტების გაცემის პროცესი გაფართოვდება.**

ამერიკელი მოქალაქეების პასპორტების გაფორმებას კურირებს სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო განყოფილება. ეს დოკუმენტები, უმთავრესად, გამოიყენება, მათი მფლობელის საზღვარგარეთ გამგზავრების შემთხვევაში. ქვეყნის ტერიტორიაზე კი ძირითადი პირადობის მოწმობის როლს ტრადიციულად ასრულებს მანქანის მართვის მოწმობა. ამერიკაში არ არსებობს ქვეყნისშიდა და საზღვარგარეთის პასპორტები – იქ ერთი დოკუმენტი გაიცემა.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური იტყობინება, „ელექტრონული პასპორტების“ შეზღუდული მასშტაბით გაფორმება შეერთებულ შტატებში დაიწყეს 9 თვის წინათ ორი პილოტური პროექტის ფარგლებში.

2005 წლის დეკემბრიდან ასეთი დოკუმენტები მიიღეს ამერიკელმა დიპლომატებმა, 2006 წლიდან კი – ფედერალური მთავრობის მოხელეებმა. ახლა დადგა რიგით მოქალაქეთა ჯერი.

პასპორტის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მის ბოლო ფურცელში „ჩაკერებული“ მიკროსქემა. იგი შეიცავს მონაცემებს პასპორტის მფლობელის სახელის და გვარის, დაბადების დროისა და ადგილის, სქესის შესახებ, აგრეთვე მის ფოტოსურათს, პასპორტის გაცემის ვადას, მისი მოქმედების ვადას და ნომერს.

საგარეო-პოლიტიკური უწყების მტკიცებით, ბიომეტრიული პასპორტების წარმოებისას გამოყენებულია მთელი რიგი ტექნოლოგიები, რომლებიც საიმედოდ იცავენ მიკროსქემაში შეტანილ მონაცემებს. გარდა ამისა, „ელექტრონული პასპორტის“ ყდა დამზადებულია ლითონის გამოყენებით, რაც გამორიცხავს მიკროსქემაში დაცული ინფორმაციის უსანქციო წაკითხვას.

# მეცნიერები ახალ უბედურებას წინასწარმეტყველებენ

**ბრიტანელი მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ჰაერის ტემპერატურის მომატება უახლოესი 200 წლის განმავლობაში გაზრდის ტყის ხანძრების, გვალვის და წყალდიდობების საშიშროებას.**

თვით იმ შემთხვევაშიც კი თუ ახლავე მოხდება ატმოსფეროში მავნე გამონაფრქვევების შემცირება, მიაჩნიათ ბრისტოლის უნივერსიტეტის კლიმატის მკვლევარებს, დედამიწაზე სადღაც მაინც დარჩება ბუნებრივი კატაკლიზმების ძალზე დიდი ალბათობა. ასეთი დასკვნა მეცნიერებმა გამოიტანეს კლიმატზე სათბურის გაზის ზემოქმედების მოდელის ანალიზის საფუძველზე.

52 კომპიუტერული სიმულატორზე მიღებული მონაცემების შეკრებით, მეცნიერებმა დაადგინეს დედამიწის ძირითადი ეკოსისტემებისთვის კლიმატურ ცვლილებათა საშიშროების დონე. შემდეგ მათ მიღებული შედეგები დაყვეს ჯგუფებად, გლობალური დათბობის მასშტაბის შესაბამისად: ცელსიუსით 2 გრადუსზე ნაკლები, 2 – 3 გრადუსი და 3 გრადუსზე მეტი.





ყოველი ჯგუფისთვის მეცნიერებმა გამოიანგარიშეს ტყის მასივების ფართობების, ტყის ხანძრების სიხშირის და მტკნარი წყლის მარაგის მიხედვით ცვლილებათა ალბათობა უახლოესი ორი საუკუნის მანძილზე.

მეცნიერთა პროგნოზით, ტყის ხანძრების საფრთხე ყველაზე მეტად დაემუქრება ევრაზიას, აღმოსავლეთ ჩინეთს, კანადას და მდინარე ამაზონის აუზს.

დასავლეთი აფრიკის, სამხრეთი ევროპის და ამერიკის აღმოსავლეთი შტატების ნაწილებს, სხვა რეგიონებზე მეტად დაემუქრება გვალვის და სასმელი წყლის უკმარისობის საფრთხე, რაც გლობალური დათბობის შედეგად იქნება გამოწვეული.

მეცნიერებმა ასევე განაცხადეს, რომ დედამიწაზე ჰაერის ტემპერატურის 3 გრადუსის მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ატმოსფეროში მოხვდეს მოპოვებული ნახშირწყალბადიანი ნედლეულის წვის პროდუქტები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ტემპერატურის მომატებას.

გზადაგზა ნაპოვნი სურათები

# რეპორტაჟი „წოპეს“ „პარლამენტიდან“

**ლანჩხუთში წასული ერთი-ერთი „პარლამენტარი“ — ბატონი მიშა, ბონდო რაჭველმა შეცვალა „ალექსანდრეს“ ბაღში. ერთი წავიდა, მეორე მოვიდა. „პარლამენტში“ კვორუმია.**

— რა უნდა ამ დაქცეულ ლანჩხუთში, საჭმელს ნატრობენ იქაურები... — ბუზღუნებს „სპიკერი“ „წოპე“.

— იქაურია, შე კაცო, და წავიდა ერთი-ორი კვირით, რა მოხდა მერე!.. — უცებ ჩაერთო კამათში ბონდო რაჭველი.

— არა, მე იმას ვჩივი, სასიამოვნო რომ ალარაფერია გურიაში... მაინც, რა უქნეს ხალხს ამ შობელძაღლებმა, გორბაჩოვია ცხენის ძუაზე გამოსაბმელი, როგორ აჰყვა ამერიკელებს და როგორ დაანგრია აწყობილი ქვეყანა, — ისევ ბუზღუნებს „წოპე“.

— რა, შევარდნაძე ნაკლებ დამნაშავეა?!. — ერთვება ირაკლი, — ბერლინის კედელი დავანგრიეო, იძახის... მთელი რუსეთის გენერალიტეტი გადაგვკიდა!..

— ცოტა შეკეთება უნდოდა იმ სისტემას, ახალი სისხლის გადასხმა უნდოდა... ნახეთ, რა ქნეს ჩინელებმა?!. ბიჭი, მიხაკო ორაგველიძის და გივი წითლიძის კოლმეურნეობებს რომ ანგრევ, უკეთესს რას აშენებ?! აყვავებული იყო მთელი გურია, — ვამბობ მე, — ისეთი სოციალური სისტემა ალარ დაელანდება კაცობრიობას, ოლონდ შეკეთება უნდოდა... კომპარტიას რომ ჩაუგდეს ხელში საბჭოების ქვეყანა და ალმასკომის როლი დააკნინეს, ეს შეიძლებოდა?!.

„პარტია ნაშ რულევოი“ — ვიძახეთ და გვეტირა კიდეც ყოფა!..

როგორც იქნა, ჩართეს ბაღში შადრევნები და ცოტა აგრილდა სიცხით ჩაგუდული ჰაერი.

— რა იყო მაინც წუხელ, მთელი ღამე არ მიძინია... მგონი, ხვალიდან აგრილდებაო, ტელევიზორში



თქვეს, თუმცა, მაგ ამინდის ბიუროსიც ვერაფერი გავიგე, — „წოპემ“.

— მადლობელი არა ხარ?!. ნიკოლოზისდროინდელი ხელსაწყოებით მუშაობენ, — ჰიდრომეტცენტრს ექომაგება ირაკლი, — ანდა, სეისმოლოგები რა დღეში არიან!..

— მიწისძვრას ჩვენ კი არა, იაპონელები ვერ წინასწარმეტყველებენ... შენცა ხარ რა!.. — წამოენთო ოთარი.

— ამიტომ, ხელისუფლებამაც ფეხებზე უნდა დაიკიდოს?!. აგერ, გუშინწინ წავიკითხე „ქრონიკაში“, ვილაცა ქალია, წინასწარმეტყველი ყოფილა, დეკემბერში მიწისძვრაა მოსალოდნელი საქართველოშიო, ამბობს... — გააფუილა სიგარეტი ირაკლიმ.

— მაგათი დროა ახლა, შარლატანების, მკითხავების, შულერების... მიწისძვრა გუშინწინაც კი ყოფილა კახეთში, აზერბაიჯანის საზღვარზე!.. რას გვაშინებენ წინასწარ!.. — ვამბობ მე და ძელსკამიდან ვდგები, მეეზოვე უშანგის ვეხმიანები. უშანგი ნეშოს აგროვებს, ქაღალდებსა და ცელოფანის პარკებს კი ცალკე ყრის.

— შეხედე, შეხედე ერთი!.. სად ვცხოვრობთ, რა ქვეყანაში ვართ!.. — მეძახის იგი.

— რას შევხედო კაცო!

ახლა ხელით მანიშნებს უშანგი. ბაღის ერთ კუთხეში, ძელსკამზე გოგო-ბიჭი ერთმანეთს ჩაჰკვრია და გულიანად ჟიმაობენ, მათთვის ალარავინ და ალარაფერი არსებობს ირგვლივ.

მთელი „პარლამენტი“ მიაჩერდა ამ სცენას. — რას იზამ, მაგათია ქვეყანა, ჩემო უშანგი!.. აქეთ მოდი, აქეთ, ნუ შეუშლი ხელს!.. — აბა, ის იყო კარგი, მილიცია რომ გვაჯარიმებდა, ამ ღამეში, გოგოსთან რატომ ზიხარო?! შენც ქე იჟიმავებ, მაგრამ ალარ შეგიძლია!.. — ენამახვილობს „წოპე“.

— ნამეტანი არაფერი ვარგა, აბა, კარგს რას ვისწავლით ამერიკისგან, ჯერ სად ხართ!.. — თითქოს აჯამებს დღევანდელი „პარლამენტის“ სხდომას ბონდო და „კოლმეურნეობის მოედნისკენ“ მიდის...

ჩვენც ნელ-ნელა ვიშლებით. ცოტა თუ არ აგრილდა, ნაღდად ჩავარდება „პარლამენტის“ მუშაობა — ამ ხვატში ლაყბობის თავი ალარავის აქვს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ინფორმაცია

## ატრაქციონები და კვება უფასოდ

**გუშინ დიდი ლიახვის ხეობიდან ბორჯომის პარკში ექსკურსიაზე 14-16 წლის მოზარდები გაემგზავრნენ.**

**ბავშვებისთვის მთელი დღის განმავლობაში ბორჯომის პარკში უფასო ატრაქციონებმა იმუშავეს და კვებაც უფასო იყო.**

**მედიანიუსი**


**განცხადება**

სს „ელმავალმშენებელი“ ხანგრძლივ სათანამშრომლოდ, მაღალი სტაბილური ანაზღაურებით, იწვევს კვალიფიციურ სპეციალისტებს: ელ. შემდუღებლებს, მრანდავებს, მღარავებს, კბილმჭრელებს, ხარატებს, მემრუდთარგეს — (лекальщикძ, ჩამტეხს — (долбежникძ.

საკონტაქტო ტელეფონები: 61-04-82 — კადრების განყოფილება, 8(93ძ 199 479

**შპს „როიალტი“ აცხადებს ლიკვიდაციას.**

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე, თემქის დასახლება, 11 მ/რ. I კვ. 13 კორპ. ბინა 67.**

**ტელ: 60-29-40.**

**სსიპ ინსტიტუტი „ტალღა“ აცხადებს ვაკანსიას 0,5 საშტ. ერთეულზე ოპტო-ბიოტექნიკური განყოფილების უფროსის თანამდებობაზე (უფ. მეცნ. მუშაკიძ.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 91-33-61.**


ალიართალი — ბალიართალი

# ჩვენი თბილი სოფელი

### აქეთ და იქით

**მოვა წვიმა და ზეცის ამბებს ჩამოგვიტანს, დაწვრილებით „მოგვიყვება“ იქაურ ამბებს, ზემოდან დანახულ სამყაროზე.** მერე მზე გამოაჭყეტს, ჩამოცხება და წვიმის წვეთები ორთქლად იქცევიან. ახლა ისინი გაეშურებიან ზეცისკენ და თან დედამიწის ამბებს წაიყოლებენ...

### „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“

**ავტომანქანა ხრეშით დავტვირთეთ. ვჩქარობ, მეორე გზობაც უნდა მოვასწრო. „კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო“ — ასიოდე მეტრიც არ გაგვევლო, მოტორმა ციებიანივით ამოიხროტინა და დადუმდა. სილაში ჩაფლული უკანა ბორბლები ალარ ჩანდა. მძღოლმა, კოსტამ, კაბინის კარი ხმაურით გაალო და ძირს ჩახტა.**

— ჩანთა გადმაიტა, ბოთლები აიმ ფშაში ჩააციე...

— რას ამბობ, კაცო! ქეიფის დროა? მეჩქარება!

— მანქანა არსად გაგვექცევა. მაგის დედაც ვატირე, ძაან კარგადაც გრილა! — ტოტებგაბარჯღული თხილის ძირში მიჯდა და ნეტარებით გაიზმორა.

### სანთელ-საკმეველი

**გურამ ბლუიშვილი: ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ ტომსკში ერთი ახალგაზრდა გამაცნეს, ნათესავს წამოეყვანა, მაგრამ სანამ მიდგებ-მოდგებოდა და სამუშაოს იშოვნიდა, ბედის ანაბარა მიეტოვებინა. ჩემთან წავიყვანე, დავაპურე და ცოტაოდენი ფული მივეცი. სადაუროზა მკითხა, რაზე დავუმალავდი! ვუთხარი, მუკუზნელი ვარ-მეთქი.**

ეს ამბავი მიმავიწყდა კიდეც და, რომ არ ველოდი, ამდენი ხნის მერე კარზე არ მომადგა? შინ ბიჭის დაღუპვის ამბავი გავიგე და გულმა ალარ მომითმინა, მაშინვე წამოვედიო. ეს წუთია, გავისტუმრე...

— ააშენა ღმერთმა, კაცი ყოფილა! გვარ-სახელი თუ გახსოვს?

— როგორ არა. ნუგზარ რეხვიაშვილია, რუსთავში ცხოვრობს.

### ღიპი შეიფერა

**შალვა ყაველაშვილი: ერთხელ მილიციამ რეიდი მოაწყო — უმუშევრებს იჭერდნენ (!ძ.** მოუსვეს ხელი და „ბირჟაზე“ ვინც ვიყავით, ყველა „ჩორნი ვორონაში“ შეგვყარეს. ეს, ტუსკია, მივიდა და მილიციის უფროსს ამოუდგა მხარში. ღიპგადმოგდებულს, სახელაძყლაჟებულს ხმაც არ გასცეს, ამას უმუშევრობისა რა ეტყობაო!

### რიჟა

**ოთხმოცისა მოვიყარე. ჯერ კიდევ ჯანზე ვარ. დღე არ გავა, ტყეში არ წავიდე, არც ბაზარი მახსოვს, არც ბაღი და ბოსტანი. ტყე ყველაფერია ჩემთვის! იმითა ვცოცხლობ, იმით მიდგა სული. ზოგჯერ ფიჩხსაც არ წამოვიღებ, მაგრამ წასვლით უეჭველად წავალ. ცხენმა, კაცო, ზეპირად იცის გზა, ერთი შეძახილიც კი არ დასჭირდება! როგორც კი ჟონჟლიანთან მივალთ, ეგრევე დაიფრუტუნებს, მოვედითო. იქით სოკოს გადავაწყდები, აქეთ — სატაცურს, წიფელს, შვინდს, ზღმარტლს, პანტას. შინ დავბრუნდები და ბალღებს უხარიათ, ვნახოთ, პაპამ რა მოგვიტანაო.**

ამას წინათ რეიდში მოვყე. სუ დიდ-დიდი ჩინოსნები იყვნენ. ტაჭკაზე ანასხეპი მეწყო — ნედლი ხის მოჭრა ჭირივით მეზარება! ვინა ხაარო. რიჟა ვარ, ალექსა ყაველაშვილი-მეთქი. ბილეთი გვიჩვენეო. რა ბილეთი, რის ბილეთი, ამდენი ხანია აგრე დავდივარ, უზატონოდ ხმა არავის გაუცია! რამდენისა ხაარო. რამდენისა და ოთხმოცისა-მეთქი. თან ტაჭკიდან ყინჩად ჩამოვხტი, შვინდი სავსე ვედრო გადმოვიღე, შევპატიჟე. ერთ-ერთი, წითლად გალსტუკი რო ეკეთა, მოვიდა და მხარზე ხელი მომხვია, მაშ ეს შინა ხარ რიჟა, ვინ ალარ მითხრა, ტყის ძომაგიაო, ძლივს არ გაგიცანი? ღმერთმა შენისთანა ხალხი გვიმრავლოსო...

მადლობა მოვახსენე და წამოველ...

### აი, გამოცანა!

**სახლიდან დილაუთენია გამოვედი. კართან ფეხაკრეფით რომ მივიძურწე და თავი ქუდში დავიგულე, სწორედ მაშინ წამომეწია ცოლის გაფრთხილება: — არ დალიო!**

იმისი შეხსენება ნამდვილად არ მჭირდებოდა — ორიოდე დღის წინათ კინალამ ფეხები გავჭიმე. ახლა გულზე ხელს ვიზრაგუნებდი, წვეთის დამლევი არა ვარ-მეთქი...

სამსართულიანი სახლის აივნიდან ვრცელი ალაზნის ველი მოჩანდა. მიმოფანტულ სოფლებს ხასხასა მწვანე და ბოლკაშეპარული ყვითელი ჯეჯილები ენაცვლებოდა. კავკასიონის გასწვრივ რძისფერი ნისლი გაწოლილიყო და სინაცრისფრიდან ქათქათა მწვერვალები ამოყელყელავებულიყვნენ, მარცხნივ სიღნაღის წითელკრამიტიანი სახლები და ციხე-გალავნის ალმოსავლეთი კარიბჭე მოჩანდა. კინალამ სუნთქვა შემეკრა.

თამადამ ამ სილამაზის სადღეგრძელო რომ შესვა, გულმა ალარ გამიძლო — კაი მოზრდილი ყანწი მოწყურებულივით ჩამოვცალე...

შინ გვიან დავბრუნდი. ცოლი, დაბარებულივით, კართან დამხვდა:

— მაინც დალიე, არა?

მიდი და აუხსენი...

### ლეკვი

**მღვრიე გუბეში შორიდანვე შევამჩნიე გაურკვეველი ფორმის შავი საგანი. ძაღლის ლეკვი გამოდგა. უბედურისთვის ყელში მავთული წაეჭირათ. დრუნჩი ცისკენ მიემართა. წყლიდან ამოჩრილი ფერდი ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა.**

მავთულს ხელი მოვკიდე და ლეკვი ნაპირზე ამოვიყვანე. თავდაყირა დავკიდე, ეგებ პირიდან ნაყლაპი წყალი წამოუვიდეს-მეთქი. ამ წვალებაში ვიყავი, თავზე ბარბაქაძიანთ ბიჭი რომ წამოგვადგა.

— დილას ბალღებმა აქეთ-იქით დააფორიალებდნენ. ხელიდან ძლივს დავაგდებინე. დახეთ, ისევ მოუძებნიათ...

რა თქმა უნდა, ლეკვის გადარჩენა ვერ შევძელი. ახლა მე სხვა რამ მაწუხებდა: რა ეშველებათ ამ ბალღებს, რომლებმაც ცხოვრებაში ხეირიანად შემოზიჯებაც ვერ მოასწრეს, გაუცნობიერებელი სისასტიკით კი სული უკვე დაიმძიმეს...



### აიდოს!

**ხიბამ და კუნკულამ ავქაში გატეხეს. ერთსაც კარგი მახსოვრობა აქვს და მეორესაც. დრო მიდის, მომგები კი არა ჩანს.**

ამასობაში ალექსა პაპა გარდაიცვალა. ხიბამაც და კუნკულამაც უნდა დაასაფლავონ, უკანასკნელ გზაზე გააცილონ. აი, მიცვალებული გამოასვენეს. კუბოს ამწევები სიმაღლის მიხედვით დაჯგუფდნენ. ხიბა და კუნკულა წინა მხარეს მოხვდნენ. „გაიწი, შეგცვლი“, — ქიმუნჯი წაჰკრა ხიბას კუნკულამ. ხიბამ სასახლეს ხელი შეუშვა თუ არა, კუნკულას იმავე წუთში ყურში ჩასჩურჩულა: „ — აიდოს!“

— უხ, შენი! — სიმწარით კბილებიდან გამოსცრა კუნკულამ.

— გული არ გაიტეხო, ეგეთი სანაძლეო დედამიწის ზურგზე ჯერ არავის მოუგია, — გული გაუკეთა კუნკულას ფურფუტამ.

### ნეტამც ეგრე იყოს!

**მეზობელი მყავს — გრიშა აივაზოვი. ძველი დეპოელია. სამსახურით კმაყოფილი იყო, ვიდრე თამაზ წივწივაძემ „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ“ არ დაწერა. დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც შეეკითხებოდნენ, გრიშა, ისევ დეპოში ხარო? ყელში ამოუყვანეს... მერე დეპოდანაც დაითხოვეს...**

გაუჭირდა.

ჯიუტი კაცია ძია გრიშა. ფეხი თუ რამეს მიაჭირა, ალარ აიღებს! ამას წინათ მეზობლები ლუდსა ვწრუპავდით და საქვეყნო ამბებს ვარჩევდით. რალაცაზე ვერ შეთანხმდნენ ძია გრიშა და ვალოდია. შენ ისევ დეპოში ხარო, — შეუტია ვალოდიამ.

— ეეჰ, ჩემო ვალოდ, ნეტამც ეგრე იყოს, ნეტამც!..

### მზის მაცივარი

**მოვიპარეთ საზამთრო. ისეთი ცხელი იყო, ხელებსა გვწვავდა. რა ვქნათ?**

— მაგის წამალი მე ვიცი, — თქვა კულომ, საზამთრო დანით შუაზე გაჭრა და მზეზე დააწყო.

რალაც ხუთიოდე წუთში მართლა მაცივარში ნადებს დაემსგავსა.

**ელგუჯა ლებანიძე**

ფეხბურთი

# სტარტზეა „ევრო-2008“

**როგორც იქნა, წერტილი დაესვა გაუსაძლის მოლოდინს — დღეს 22 საათზე კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები „ევრო-2008“-ის შესარჩევ ციკლში ებმება. ფარერის კუნძულების ქალაქ ტოფტირში დანიშნულ სასტარტო მატჩს ჩრდილოეთ ირლანდიელ მსაჯთა (მაიკლ როსი, დევიდ როდფერნი, ჯონ მაკდაუელი, სათადარიგო — დევიდ მალკოლმი) ბრიგადა გაუძღვება.**

გუშინ „ჯარისნებს“ ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი დემეტრაძე შეუერთდნენ და გუნდიც სრული შემადგენლობით ემზადება მასპინძლებთან შესახვედრად. როგორც შევიტყვეთ, „ბლექბერნის“ მცველმა ინგლისის აეროპორტებში მაქსიმალურად გამკაცრებული უსაფრთხოების ზომებისა და მთელი რიგი ავიარეისების გადადების გამო დაიგვიანა, „შახტიორის“ ბომბარდირს კი საპასპორტო პრობლემები შეექმნა. ასეა თუ ისე, ყველანი უკვე ადგილზე არიან, ხოლო „ხიზანას თამაშის საკითხი უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ გაირკვევა — ვიმედოვნებთ, ექიმები მას მინდორზე გასვლის ნებას დართავენ.

საკადრო პრობლემები არც ჩრდილოელთა ახალ თავკაცს იოგვან მარტინ ოლ-სენს აკლია. კერძოდ, ალან სიმონსენისა და ჰანრიკ ლარსენის მემკვიდრეს ორი ფეხბურთელი ტრავმების გამო არ ეყოლება, კიდევ რამდენიმე ლეგიონერზე უარის თქმა კი სხვადასხვა მიზეზით მოუწია, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხს და ფარერული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ერის დაწყებას კავკასიელ სტუმართა დამარცხებით წინასწარმეტყველებს. ვისურვოთ, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ მას ხასიათი შეეცვალოს.

ჩოგბურთი

# ფედერერი ისევ იმარჯვებს

**ტორონტოში დამთავრდა მასტერსის სერიის დიდი საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 2 450 000 დოლარი იყო. მასში 64 ცნობილი ჩოგბურთელი მონაწილეობდა.**

ფინალში პლანეტის პირველმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა დაამარცხა ფრანგი გასკე — 2:6, 6:3, 6:2.

ეს შვეიცარიელისთვის ასეთ დიდმნიშვნელოვან ტურნირებზე კარიერაში მეთერმეტე გამარჯვებაა. ამდენივე გამარჯვებს მოიპოვა პიტ სამპრასმა. უფრო მეტი კი 17 — აგასიმ. როჯერმა ზედიზედ 17 ტურნირის ფინალამდე მიაღწია.

„ახალი წელთაღრიცხვის დაწყებიდან“ — 1968 წლიდან ასეთი რამ მხოლოდ ივან ლენდლმა შეძლო — ზედიზედ მან 18 ფინალში ითამაშა.

ჭადრაკი

# ისაევის თემა

**საჭადრაკო** კომპოზიციის კომისიის მდივანი (1930-1932), „ამოცანებისა და ეტიუდების“ კრებულის რედკოლეგიის წევრი (1927-1930), ჟურნალ „შახმატისა“ (1922-29) და გაზეთ „64“-ის (1925-32) ამოცანების განყოფილების რედაქტორი ლეონიდ ისაევი (1899-1932, მოსკოვი) მრავალი საჭადრაკო კომპოზიციისა და სტატიის ავტორი გახლდათ.

ლ. ისაევმა შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია ისეთი სწორხაზოვანი კომბინაციების დამუშავებაში, რომლის თემატიკა განიხილავს თეთრი ფიგურების ჩართვის ან გამორთვის შეთავსების მოტივებს.

ამ თემატიკამ უპირატესად 2-სვლიან ამოცანებში დაიმკვიდრა ადგილი და მისი ავტორის — რუსეთელი პრობლემისტის ლ. ისაევის თემის სახელწოდებითაა ცნობილი.

**თამაზ შენგელია**

ლ. ისაევი
„ამოცანები და ეტიუდები“ (1928)



შამათი 2 სვლაში

I ვარიანტი: 1. ეa5! საშამათო მუქარაა 2. კb5X (კუს მეშვეობით ეa5 გამოირთვება d5 უჯრიდან, რომელსაც ლაზიერი აკონტროლებს) შავების დაცვითი სვლაა 1. ... ლd3, რომელიც, მართალია კუს მუქარას იგერიებს, მაგრამ 2. ეc5X

II ვარიანტი: 1. ეa5! (თუ ჩავრთავთ ლაზიერს b4 უჯრაზე) 2. მe3X

III ვარიანტი: 1. ეa5! (თუ ჩავრთავთ ლაზიერს d4 უჯრაზე) 2. მd6X

ორბიტაზე

## ახალი ცოცხი?



**ინგლისის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა პირველი დღეებიდანვე რეფორმები დაიწყო. თავიდანვე ნაკრების შეკრებაზე ყოფნისას ფეხბურთელებს სექსი აუკრძალა, შემდეგ გუნდს დევიდ ბექჰემი ჩამოაშორა, ბოლოს კი ნაკრების ლიდერების, პირველ რიგში სტივენ ჯერარდის ზნეობრივი აღზრდა მოინდომა.**

მაკლარენს არ მოეწონა, როცა თავის ავტობიოგრაფიაში აუგად მოიხსენია „არსენალის“ მოთამაშე თეო უოლკოტი, თქვა რა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრებში მისი გამოძახება შეცდომა იყოო.

„ფეხბურთელი ფეხბურთზე უნდა ფიქრობდეს და არა ფულით ჯიბეების გამოტენაზე. კი, ბატონო, როგორც საზოგადოებრივმა ადამიანებმა, მათაც უნდა გამოავლინონ კომერციული აქტივობა, თუნდაც წიგნები დაწერონ. მაგრამ პირველი პრიორიტეტი ფეხბურთი უნდა იყოს“, — განაცხადა მაკლარენმა. მით უმეტეს, არ შეიძლება შინასაგუნდო პრობლემების საქვეყნოდ გამოტანა“.

## ისევ ფეხბურთელს ეძებს

**თვეზე მეტია, რაც ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ თავდამსხმელმა პიტერ კრაუჩმა „თავისი ლექსიკონიდან“ ამოშალა“ 20 წლის ლამაზმანი აბიგაილ კლენსი, ყოფილი ოფიციანტი, ახლა ფოტომოდელად გახდომა რომ მოინდომა, რისთვისაც ჟურნალის GQ ფოტოსესიაშიც მონაწილეობდა და თანაც ახლა საყვარელს ეძებს, მაინც და მაინც ფეხბურთელთა შორის.**

კრაუჩისა და კლენსის განშორების მიზეზი გახდა ის, რომ ლამაზმანი შეამჩნია კოკაინის ხმარებაში, თანაც გერმანიაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებისა და, რასაკვირველია, თავის სატრფოს საქომაგოდ იყო ჩასული სხვა ფეხბურთელების ცოლებთან და სატრფოებთან ერთად.

პიტერთან განხეთქილების გულისტკივილი რომ მოიშუშა, ახალი თაყვანისმცემლის ძებნა დაიწყო. იგი თავის განზრახვას არც მალავს — ახალი ბოიფრენდი აუცილებლად ნაკრების ფეხბურთელი უნდა იყოსო, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნა ძალიან მომეწონაო.



მამლუქი

# ბედინიდისი ბედს არ ემდურის

**სიცხის ბუღი დგას თბილისში, სუნთქვა ჭირს. გრილობს ეძებენ თავშესაფარად დედაქალაქელები. ისინი კი ხალიჩაზე დგანან და ოფლში გახვითქულნი მორიგ ილეთებს ამუშავებენ.**

**ქართველ ფალავნებზე მოგახსენებთ, ბაკურიანის ორკვირიანი შეკრებიდან დაბრუნებულებმა ფალავანთა კლუბს რომ მიაშურეს — დროს არ კარგავენ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. მათ შორის გახლავთ ემზარიოს ბედინიდისი, ჩვენი ემზარ ბედინეიშვილი, რომელიც ოთხი წლის წინათ გამამლუქდა და ახლა საბერძნეთის სპორტულ ღირსებას იცავს. ვარჯიშისას მის თითოეულ მოძრაობას ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კობა ლოჩოშვილი, ჭაბუკობისას თავადაც სანაქებო მორკინალი, საკავშირო პირველობების პრიზიორი, უფროსებში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. სწორედ, ლოჩოშვილის ხელმძღვანელობით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ბედინეიშვილმა და დღესაც უსიტყვოდ ილებს ოსტატის თითოეულ შენიშვნას.**

— შაკოს ( ასე ეძახიან მეგობრები ემზარს) ჭიდაობა ბიძამ — პაატა კეკელიძემ ასწავლა, — მითხრა კობამ. — ერთხანს თენგიზ ლამბაშიძესთან მეცადინეობდა. საოცარი მწვრთნელია თენგიზი — ტექნიკურად მომზადებული შეგირდები ჰყავს. მისი რჩევით მოვიდა ჩემთან 1993 წელს ბედინეიშვილი, რომლის მოჭიდავედ ჩამოყალიბებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ზაზა თურმანიძეს, გიორგი გალდავასა და დავით ხურციას. თავადაც მონდომებული და მუყაითი სპორტსმენია, ოღონდ ცოტა უიღბლო.

**— ფორტუნა არ უმართლებს?**

— არც უმისობაა. თუმცა უფრო არბიტრები არ სწყალობენ — ორჯერ, ფაქტობრივად, კვარცხლბეკიდან ჩამოიყვანეს. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში უზბეკეთის სახელით მოასპარეზე კუპეევს სძლია, გამარჯვების ნიშნად ხელიც აუწიეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფინალში უზბეკი გაიყვანეს, რომელიც მერე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იგივე განმეორდა 1999 წელსაც კანადელ იგალთასთან, რომელმაც სიდნეიში ოლიმპიურ ჩემპიონობასაც მიაღწია. ორჯერ-ვე მსოფლიო ჭიდაობის მამებმა ჩვენი პროტესტი არად ჩააგდეს.





სამაგიეროდ, ემზარ ბედინეიშვილმა 1999 წელს ევროპის ჩემპიონატზე III ადგილი დაიკავა (მანამდე მხოლოდ დსთ-ს პირველობაზე ჰქონდა „ბრინჯაო“ მოპოვებული), მომდევნო წელს მსგავს შეჯიბრებაზე ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. 2002 წელს საბერძნეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის სახელით ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე ევროპულ „ბრინჯაოს“ გამოჰკრა ხელი. ოლიმპიადაზე კი, „ანო ლიოსიას“ დარბაზში პირველი ორთაბრძოლა უნგრელ ევროპის ორგზის ჩემპიონს რიტერს მიუგო, თუმცა მეორე წრეში თავადაც დამარცხდა ბუვაისა საიტიევთან და მედლებისთვის პაექრობას გამოეთიშა.

— ათენის თამაშებზე რვა საუკეთესო ფალავანს შორის რომ მოვხვედრილიყავი, უზრუნველყოფილი „სიბერე“ მექნებოდა, ისეთ პენსიას დამინიშნავდნენ, — მითხრა გუშინ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ემზარ ბედინეიშვილმა. — მე ხომ საქართველოდან იმიტომ წავედი, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გამეუმჯობესებინა, ცოლ-შვილი მყავს სარჩენი.

**— მერე, ახლა როგორი პირობები გაქვს?**

— მართალია, თავს არ გადამდის, მაგრამ ბედს არ ვუჩივი. ძალიან მეხმარება ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი — ჩვენი ჯარჯი ზვიადაური, რომლის დაფინანსებითაც ჩამოვედი საქართველოში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. დიდი მადლობელი ვარ მწვრთნელების — კობა ლოჩოშვილისა და ზაზა თურმანიძისა, რომლებიც, ჩემი მამლუქობის მიუხედავად, ვარჯიშებისას ყურადღებას არ მაკლებენ. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო გულისხმიერებისთვის ბაკურიანში „თეთრი სახლის“ მესვეურები — კობა შარუხია და ლევან დავლიანიძე.

**— სამომავლოდ რას აპირებს ემზარიოს ბედინიდისი?**

— რომ გავიგებდი, ესა თუ ის მოჭიდავე 30 წლისააო, ჩემთვის გავიფიქრებდი, პატრონი არა ჰყავს, რომ ხალიჩიდან წასვლა ურჩიოს-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ თურმე ვცდებოდი. ასაკის მიუხედავად, საბერძნეთის ნაკრებში ჩემს კონკურენტებს არაფერს ვუთმობ. მათთან ერთად 19 აგვისტოდან ალუშტაში ორკვირიანი შეკრება მეწყება მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ვეცდები, გუნდში ადგილი დავიბევო. ჩინეთში წლეულს და 2008 წელსაც მედლისთვის ვიბრძოლებ. დიდი სპორტიდან ისე არ მინდა წავიდე, რომ ოლიმპიური კვარცხლბეკი არ მოვსინჯო...

**დღეს ემზარ (შაკო) ბედინეიშვილს 31 წელი უსრულდება. ვულოცავთ!**

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: კობა ლოჩოშვილი და ემზარ ბედინეიშვილი; ვარჯიშისას.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ მეცნიერება

# „ტვინი ღვთისაგან გვაქვს“

**ვაი, რომ ბოლო წლებში რუსეთში არავითარი მეცნიერული პროგრესი არ შეიმჩნევა — ქვეყანაში, რომელიც მუდამ ამაყობდა სწავლულებით. საეჭვოა, რომ მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირების იმ იდეებმა, რომლებსაც დღეს განიხილავენ, სიტუაცია შეცვალონ. ახალი კონცეფციით, სამეცნიერო დაწესებულებათა უმრავლესობას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება, აკადემიკოსებს მეცნიერთა კლუბში გააერთიანებენ, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ახალ პატრონებს მოუძებნიან. რუსეთის პრეზიდენტი აგერ უკვე რამდენიმე წელი მოგვიწოდებს ახალი ეკონომიკის აშენებას, ინოვაციურ რელსებზე გადასვლას, მაგრამ აკადემიკოსი სერგეი კაპიცა ფიქრობს, რომ საამისოდ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მზად.**

— ამერიკაში ატომური ბომბი მთელი მსოფლიო მეცნიერების ძალისხმევით იქმნებოდა, ჩვენ კი ეს პრობლემა მარტო გადავწყვიტეთ. ჩვენი ფიზიკოსების წყალობით ამ დარგში უნიკალური წინსწრებაც გამოგვივიდა და წყალბადის ბომბი ამერიკელებზე ადრეც გავაკეთეთ და უკეთესიც. ჩვენ აქამდეც ამ პროექტის პროცენტებზე ვცხოვრობთ, მაგრამ დავანგრიეთ ის, რაც საბჭოთა ხელისუფლების ათწლეულთა სიგრძეზე იქმნებოდა. ახლა კი გაუგებარია, რა დრო გავა, სანამ იმ პოტენციალის აღდგენას შევძლებთ. დანგრევა, როგორც ამბობენ, შენება როდია.

გვახსოვს ჰიტლერული გერმანიის მაგალითი, რომელმაც თავის მეცნიერებაში ბევრი რამ გაანადგურა იმის მსგავსად, როგორც ამჟამად ჩვენთან გაუსწორდნენ მეცნიერებას. შემდეგ გერმანელებმა კოლოსალური ფული ჩადეს მეცნიერულ სფეროში და მხოლოდ ახლა, ჩვენი გამარჯვებიდან 61 წლის მერე, გერმანული მეცნიერება კრიზისიდან გამოვიდა... ჩვენს ახალგაზრდობაში მასწავლებლებად ისეთი ასაკის მეცნიერებს იწვევდნენ, რომ განსხვავება სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის 10-12 წელს შეადგენდა. ახლა პროფესორები 60-60 წლისანი არიან, სტუდენტები — 20-20-სანი. ეს თაობები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. არც ახალი კადრები ჩნდებიან. აგერ, ჩემმა შვილიშვილმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ამ დარგში ეგებ საუკეთესოც მსოფლიოში. ასპირანტურაში 1500 რუბლი სტიპენდიით მიიწვიეს. იმავე წლის ქიმიის ფაკულტეტის ერთმა გამოშვებულმა განაცხადი აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტში შეიტანა და საასპირანტო სტიპენდიაც დაენიშნა — 1500 დოლარი! სანამ ახალგაზრდა სპეციალისტთა მხარდაჭერის მდგომარეობა ასეთია, უაზრობაა მეცნიერების განვითარებაზე ლაპარაკი.

ფული მიზანი კი არა, ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებაა. ახლა მეცნიერებაზე მინიმუმის დახარჯვასაც არავინ აპირებს და ამიტომაც ვტკეპნით ერთ ადგილს, ბევრი კი იძულებულია, რომ საზღვარგარეთ გაემგზავროს. ბოლო 15 წელი ჩვენმა სწავლულებმა ვერაფერი შექმნეს ისეთი, რომ რუსეთში ნობელის პრემიის მოპოვების იმედი ვიქონიოთ. ალფიოროვმა და გინზბურგმა ხომ თავიანთი პრემიები შორეულ წარსულში შესრულებული შრომებისათვის მიიღეს...

რამდენს შევხვედრივარ უცხოეთში რუსს, ჩვენი უნივერსიტეტების აღზრდილს, უმაღლესი პოსტები რომ უკავიათ მეცნიერებისა თუ განათლების სფეროებში. მეუბნებოდნენ, რომ ჭკუის საბჭოური წრთობის გარეშე იმ სიმაღლეებს ვერ მიაღწევდნენ, რომლებზეც იქ, ახალ სამყაროში აღმოჩნდნენ.

ნიჭიერ ახალგაზრდას, გინდა მოსკოვში ცხოვრობდეს, გინდა ჩუკოტკაზე, უმაღლესში შესასვლე-



ლად სხვებთან გათანაბრებული პირობები უნდა ჰქონდეს. ახლა კი ხშირად ისინი სწავლობენ, ვისაც ფული აქვს. ტვინს ღმერთი იძლევა და ფულით ვერ შეცვლი!

ყველა ნორმალურ ქვეყანაში უნარიან ახალგაზრდა კაცს კარგი მატერიალური მხარდაჭერა ელის განათლების მისაღებად. ეგ იმიტომ, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში დიდი ხანია მიხვდნენ: მოსახლეობის გაუნათლებლად ქვეყნის შემდგომი წინსვლა შეუძლებელია. ჯერ კიდევ 135 წლის წინათ, საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, როცა გერმანელებმა ფრანგები დაამარცხეს, ბისმარკმა თქვა: „ეს ომი გერმანელმა მასწავლებელმა მოიგო“.

ჩვენს ხელისუფლებასაც არ აწყენდა სკოლის, პედაგოგების, განათლების, მეცნიერების როლის გააზრება ქვეყნის წარმატებებში. საამისო ნიშნები კი, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს... ბოლო ხანებში, რაკი ფიზიკაში კვლევისათვის მხარდაჭერა აღარა მაქვს, კაცობრიობის რიცხოვნების ზრდის საკითხს მოვკიდე ხელი ფიზიკის მეთოდების გამოყენებით. კაცობრიობის განვითარების მრუდიც შევადგინე: თვით წარმოშობიდან დაწყებული, ეს რიცხვი იზრდებოდა და 2000 წლისათვის 6 მილიარდამდე ავიდა. ამჟამად ყველა საფუძველია იმის სავარაუდოდ, რომ ერთობ მოკლე დროის — ასე ასი წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა „დასტაბილდება“. ამაში მდგომარეობს დემოგრაფიული რევოლუცია... თუმცა ამაზე სხვა დროს იყოს...

◉ მოდა. ჰოდა...

# გავიხვრიტოთ, მადამ...

**დასაწყისშივე განვმარტოთ: პირსინგი არის მსუბუქი ქსოვილების გამჭოლი გახვრეტა და ნახვრეტებში რაიმე საგნების გაყრა — კაცობრიობის ძველი გასართობი.**

ეგვიპტეში ჭიპების გახვრეტის უფლება ჰქონდათ ოდენ ფარაონის ნათესავ ქალებსა და ქურუმ ქალებს. ფარაონთა ძალაუფლება რომ დასუსტდა, ჭიპებში რგოლუნები მაშინვე გაიჩინეს უბრალო წოდების ქალებმა და მონა ქალებმა.

კერტეში გაყრილი რგოლებით ძველ რომში მოსასხამად ხმარებულ ქსოვილებს იმაგრებდნენ, რაც ვაჟკაცობისა და მამაცობის ნიშნად ითვლებოდა. ინდოეთში ბეჭედს გათხოვილი ქალი თითზე კი არ ატარებდა, როგორც ევროპაში, არამედ ნესტოზე. რევოლუციამდელ რუსეთში მეზღვაურს თუ საყურე ეკეთა, ეს ნიშნავდა, რომ ეკვატორი გადაუკვეთია. სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ ჰომოსექსუალისტები ატარებდნენ საყურეს.

XX საუკუნეში პირსინგი ამჟამინდელი სახით სწორედ მამათმავლურ გარემოში აღმოცენდა, საიდანაც შოუ-ბიზნესში გადაცოცდა, იქ კი მუდამ ილვწის ბლომად მამათმავალი. აი მაშინ კი, როცა ჭიპი მადონამ და ნაომი ქემპბელმა გაიხვრიტეს, ეგ პირსინგი ფართო ახალგაზდულ მოდად იქცა.

რგოლები და რაღაცნაირი ლითონის ეკლები გამოშვერილან ნიკაპიდან, ნესტოებიდან, წარბსზედა რკალებიდან. ნამზეური მუცლუნა ჭიპის დამამშვენებელი რგოლუნათი — ასე დასეირნობენ ცხელ დღეს, თავი რომ მოდური ჰგონიათ, ის ნორჩი და არც ნორჩი გოგონებიც. თუმცა, როგორც ახლახან ვთქვით, ჭიპით არ იფარგლებიან... ყურები ხომ რაღა სათქმელია — დედებისა და ბებიებისგან განსხვავებით, ყოველ ბიბილოში, სულ მცირე, სამი საყურე გაუკვესებიათ. არც ჭაბუკები ჩამორჩებიან — სქესთა თანასწორობა მოქმედებს. თან ეს მხოლოდ ხილული სამკაულებია. კიდევ უხილავიც არის: იხვრეტენ ძუძუს თავებს, სასქესო ორგანოებს. რას იზამ, მოდაში შემოვიდა. შემოვიდა და შემოვიდეს, მოდასთან არ დავობენ, მაგრამ...

მაგრამ ისა, რომ საკითხავია, სად და რა უნდა გაიხვრიტოს. ზოგჯერ ხომ განახვრეტებზე ნაიარევი, ნაჭდევები, შეუხორცებელი ჭრილობები ჩნდებიან. პირსინგს თუ სპეციალისტებთან სტერილურ პირობებში იკეთებენ, კიდევ რა უშავს, მაგრამ თუ ხელმარჯვეებთან, საქმე ეგებ ფრიად უსიამოვნოდ დამთავრდეს. სპეციალისტიც ვერ მოგცემთ გაურთულებლობის გარანტიას. დასავლეთში, საიდანაც, კაცმა რომ თქვას, შემოვიდა პირსინგის მოდა, ექიმებს არცთუ იშვიათად მიმართავენ მისი მოყვარულები — სისხლდენებით, ანთებებით, შეშუპებებით, ალერგიული რეაქციებით.

აშშ-ისა და ევროპის მედიკოსები დიდი ხანია ცდილობენ ახსნას, თუ რამდენად სახიფათოა ენის გახვრეტა: ენის შეშუპებას სუნთქვის გაძ-



ნელების, პირის ღრუში ინფექციური პროცესების გამოწვევა შეუძლია, რასაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს თვით ინფექციურ-ტოქსიკური შოკისა და სეფსისის ჩათვლით. დანტისტები მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ენის პირსინგს: იმათთან მიდიან პაციენტები დიქციის დეფექტებით, „მორთულობებისგან“ მიყენებული კბილების ტრავმებით; ზოგჯერ ეს „მორთულობანი“ სასულეში ხვდებიან. ესა თუ ის პრობლემა თურმე ყოველ მეხუთე „ნაპირსინგალს“ უჩნდება.

კი ბატონო, მოდაა, ოღონდ მაგას ხშირად ზიანიც მოჰქონდა. ჰოდა, ფრთხილად ვიყოთ!..

# აუზები ასთმას „აპროვოცირებენ“

**საცურაო აუზებზე მოსიარულე ბავშვები ბრონქული ასთმის განვითარების გვარიან რისკს სწევენ — ასე ფიქრობენ ბელგიელი სწავლულები ლიოვენის კათოლიკური უნივერსიტეტიდან. მკვლევართა**



**მონაცემებით, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ასთმითა თუ სუნთქვის ორგანოების სხვა დაავადებებით შეწუხებულ ბავშვთა რიცხვი 2-3 პროცენტით იზრდება ყოველი დამატებითი დახურული აუზის გამოჩენასთან ერთად (100 ათას კაცზე).**

აუზებში დეზინფექციისთვის გამოყენებულ ქლორიან კირს ოფლსა და შარდში მოცემულ ნივთიერებებზე რეაგირების უნარი შესწევს, რაც ფილტვებისთვის მავნე მფრინავ ნაერთებს წარმოქმნის. მეცნიერებმა საცურაო აუზებზე დამავალი ბავშვების ფილტვებში იმ პროტეინების აწეული დონეების გამოვლენაც მოახერხეს, რომლებსაც დიდი კონცენტრაციებით ფილტვების ქსოვილთა უჯრედების დაზიანებების გამოწვევა შეუძლიათ.

მოხდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ 13-14 წლის 90 ათას „მოცურავე“ მოზარდს შორის შეხუთულობის, ასთმის, ალერგიული რინიტის, კონიუნქტივიტისა და ატოპიური ეგზემის დონეთა შედარება.

# ნუ ჩაიზილავთ მზისგან დამცავ საცხებს

**ბრიტანელი ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კანში ჩაზილვისას მზისგან დასაცავ საცხთა ეფექტიანობა იკლებს. გამორკვეულია, რომ მავნე ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვას უზრუნველყოფს თეთრი ბრკე, რომელიც კანზე ჩნდება საცხის თანაბარი წასმისას. ჩაზელვით კი ეს საშუალება გროვდება ნაოჭებსა და ოფლის ჯირკვლებში და A(UVAძ ტიპის ულტრაიისფერი სხივებისგან ველარ დაგიცავთ.**

ადამიანთა უმეტესობა კრემის სწორედ რომ ჩაზელვას ამჯობინებს, რამდენადაც ეს კანზე შეტანის ხერხი უფრო სასიამოვნო ჰგონიათ. გამოკვლევებმა კი გვიჩვენეს, რომ ამ წესით სარგებლობისას ჩვენი კანის უვნებლობა მზის მავნე ზემოქმედებისგან მინიმალურია. სპეციალისტთა მონაცემებით, UVA-სხივები, კანზე მოხვედრილნი, თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას იწვევენ, რასაც, თავის მხრივ, ნაადრევი დაბერება და კიბო მოსდევს.

გვაფრთხილებენ, რომ მხოლოდ მზისგან დამცავი კრემი (საცხიძ საკმარისი არ არის ულტრაიისფერი დასხივების მოსაგერიებლად. გაცილებით მნიშვნელოვანია... ჩრდილში დარჩენა მზის მაქსიმალური აქტიურობის დროს — დღის 11 საათიდან 15-მდე.

# გული ინფარქტის გარეშე

**მათთვის, ვისაც მიოკარდის ინფარქტი აქვს გადატანილი, ყველაზე დიდი საშიშროება განმეორებითი ინფარქტი და უეცარი სიკვდილია.**

ამის თავიდან ასაცილებლად ექიმები პოსტინფარქტული მდგომარეობების მკურნალობაში ე. წ. „ოქროს სტანდარტს“ იყენებენ. აქ შედის ანტიაგრეგანტური პრეპარატები (ძირითადად ასპირინიძ, ბეტა — ადრენობლოკატორები და ჰიპოლიპიდიმური საშუალებები. ამგვარი თერაპიის ეფექტურობის მიუხედავად, მიოკარდის ინფარქტგადატანილი ავადმყოფების უეცარი სიკვდილიანობა მაინც მაღალი რჩება. გამოირკვა, რომ მკურნალობის ოთხ ძირითად ელემენტს აკლია მეხუთე — გულის უჯრედულ მემბრანებში ლიპიდების შემადგენლობის ნორმალიზაციაზე მიმართული ელემენტი, რომელზეც დამოკიდებულია მისი მუშაობა. წელს რუსეთის ექიმებს საშუალება მიეცათ, გამოიყენონ ახალი პრეპარატი, რომელმაც ინფარქტის შემდეგ პაციენტს სიცოცხლის შენარჩუნებისა და გაგრძელებაში მაღალი ეფექტურობა აჩვენა და რომელიც ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის და ამერიკის გულის ასოციაციის მიერ არის რეკომენდებული.

მკურნალობის დამატებითი სქემის საფუძველში დევს სპეციალურად გაწმენდილი ომეგა-3 პოლიგაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც სიკვდილიანობას გადატანილი ინფარქტის შემდეგ 20 პროცენტით ამცირებენ, ხოლო უეცარი კორონარული სიკვდილის რისკს — 45 პროცენტით (გამოკვლევაში 11324 ადამიანმა მიიღო მონაწილეობაძ. ადრე ითვლებოდა, რომ პოსტინფარქტულ პერიოდში პაციენტებისთვის სასარგებლოა E ვიტამინის მიღება, მაგრამ ბოლოდროინდელი მონაცემები არ ადასტურებს E ვიტამინის, როგორც განმეორებითი ინფარქტით პროფილაქტიკის საშუალების დადებით ზემოქმედებას.



◉ სალონი

# წითელი და... შავი შარდენზე...

**შარდენის ქუჩაზე დაგებული წითელი ხალიჩა და... წითელი ლენტი „შვარცკოფ პროფესიონალის“ (Schwarzkop professionalძ კონტრასტული პალიტრის შემოსვლას ნიშნავდა ჩვენს რეალობაში. საუკუნოვანი გერმანული ბრენდი — Schwarzkop professional ეს არის ელეგანტური და ინტელექტუალური საზოგადოების სტუდია-სალონი, სადაც პროფესიონალი სტილისტები ქმნიან თანამედროვე სილამაზეს ვარცხნილობაში, მსურველებს კარნახობენ სტილს და ზრუნავენ მათ იმიჯზე... 1898 წელს ჰანს შვარცკოფის მიერ დაარსებული პარფიუმერული კომპანია ოფიციალურად უკვე შემოვიდა ჩვენში და მსოფლიოს 50 ქვეყნის „შვარცკოფ პროფესიონალის“ სალონურ ქსელში მოექცა ლესელიძის ქუჩა №44/2. პოსტსაბჭოურ სივრცეში მსგავსი პრეცედენტი დაშვებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდოვაში, უკრაინაში და... ახლა უკვე საქართველოში.**



— მე ბოლო სამი წელია არ ვყოფილვარ თბილისში და ვხედავ, რომ ეს ქალაქი სულ უფრო და უფრო ლამაზდება, — ამბობს შვარცკოფის რეგიონალური მენეჯერი დოქტორი ვირკ ტრონდლე. — აქ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ კრეატიული იდეები, და შეუძლიათ განახორციელონ საინტერესო პროექტები. მე იმედი მაქვს, რომ ყველა ქალბატონი და მამაკაცი, ვინც კარს შემოაღებს ჩვენს სალონში, გაცილებით უფრო ბედნიერი და მომხიბვლელი დატოვებს



მას. ჩვენი მიზანია ახალი სილამაზე შემოვიტანოთ თქვენს ცხოვრებაში.

**რას გვთავაზობს „შვარცკოფ პროფესიონალის“ პროფესიონალთა გუნდი?** — თმის თერაპიას, ანუ ხანგრძლივი და შეუდარებლად რბილი თმის სილამაზეს, თმის ხანგრძლივ სიჯანსაღეს და შელებილი თმის ბუნებრივ ელვარებას... ცხოვრების ეს რეალისტური ფორმულა ანუ თმის მოვლის ახალი მეთოდი სტუდია-სალონში მიიღწევა ინოვაციური პროდუქტების ნატურალური ექსტრაქტებით, უახლესი ტექნოლოგიებით, თმის ღებვის თანამედროვე ინსტრუქტაჟით და სტილისტების თანამედროვე ხედვით. ამ ტენდეციებს გვთავაზობს „შვარცკოფ პროფესიონალის“ პროფესიონალები, ანუ კომპანიის კონსულტანტები და სტილისტები — **ნატა რაზმაძე** (საქართველოძ, **ალექსანდრე კირილუკი** (ბელორუსიაძ,



**ედუარდ ელკინი** (უკრაინაძ, **მარია ტერეშენკო** (ბელორუსიაძ**, ანდრეი კლიმენტენოკი** (ბელორუსიაძ...

— ჩვენ გაჩვენებთ სილამაზის არსს ვარცხნილობაში, სილამაზის სამყაროში მოგაქცევთ და ნახავთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ვიზუალურ ფაქტორში თმის ხარისხი და ეფექტური ვარცხნილობა. ფერთა ჰარმონია თმაში, ფერთა თამაში, გრადაცია და რაფსოდია — ეს არის ხელოვნება, რომელიც იქმნება თქვენი ელეგანტურობისთვის. რამდენიმე ფერის კომბინაციით ჩნდება ბუნებრივი ტონალობა და ეს ვარიაციები შეიძლება წარმოვადგინოთ სხვადასხვა სტილში — კლასიკიდან მოდერნამდე... — ამბობს მოწვეული სტილისტი ალექსანდრე კირილუკი.

წითელ ხალიჩაზე მოწყობილი დეფილე ამ სტილებისა და გრადაციის ხელოვნებას გვთავაზობდა... პროექტის პრეზენტაციაზე უკრავდა ცოცხალი ჯაზბენდი და ამ რიტმების სიძლიერესა და იმპროვიზაციულ მსვლელობას მაია ბარათაშვილი განსაზღვრავდა... დეფილეზე კლასიკური პალიტრა, ანუ შვარცკოფისეული შავი ტონი მოდელების სილუეტურ ხაზს განაგებდა, მათი ვარცხნილობა კი „შვარცკოფ პროფესიონალის“ ინტერნაციონალურ სტილზე მიანიშნებდა.

**მზეხა მახარაძე**

◉ ინტელექტუალური სიახლენი

## იმუშავე



**სამსახურებრივი მოვალეობით გერმანიაში გამგზავრებულ ბიზნესმენებს გამოადგებათ რუსულ-გერმანული ელექტრონული ლექსიკონი эктако-სგან. ზოგადი ლექსიკის სოლიდურ მარაგთან ერთად აქ არის სპეციალიზებული ლექსიკონებიც — სამედიცინო, საქმიანი ლექსიკისა, იურისპრუდენციისა, საკომპიუტერო და სატელეკომუნიკაციო.**

DR490-ის საერთო სალექსიკონო მარაგი — 850 ათასი სიტყვაა, ხოლო თარგმანის ვარიანტთა მოძიება სულ ერთ წამს იკავებს. ლექსიკონში გრამატიკის შპარგალკებიც არის, მაგალითად, არასწორი ზმნების ცხრილი.

ორთოგრაფიული შეცდომების კორექტორი საქმიანი კორესპონდენციის შედგენისას გამოდგება, ხოლო სასაუბრო ფრაზების ლექსიკონი მოგეხსენებათ, არაფორმალურ ვითარებაში ბიზნესში პარტნიორებთან ურთიერთობის გაგრძელებაში. მოწყობილობა 335 დოლარი ჯდება.

## ისწავლე



**კომპანია Twell-მა გამოუშვა ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების შემსწავლელი სტუდენტებისათვის გათვალისწინებული მთარგმნელი.**

Assistaht AT-2093-ში არის ზოგადი ლექსიკის ცნობილ ლექსიკონთა სრული ვერსიები, ასე რომ მოსარგებლე მიიღებს თარგმანის ოდენ კანონიკურ ვარიანტებს. მოწყობილობაში შედის Heritage-ს ენციკლოპედიური ლექსიკონიც, რომლის დახმარებითაც ამა თუ იმ სიტყვის წარმოშობისათვის თვალის მიდევნებაც შეიძლება.

რუსული ენიდან გადმოთარგმნისას ლექსიკონი იძლევა უცხოური სიტყვების ტრანსკრიფციასაც — ეს ფუნქცია გამოადგებათ ენის ნულიდან შემსწავლელთ. მოწყობილობის საერთო სიტყვიერი მარაგი 690 ათასი სიტყვაა (300 ათასი ინგლისური, 290 ათასი გერმანული და 100 ათასი ფრანგულიძ.

ლექსიკონში ჩადგმული სასაუბრო (ენაზე 2 300 ფრაზაძ გამოდგება დასვენებისას, თამაშები კი — არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ, მოსაწყენ ლექციებზე. Assistaht AT-2093 წიგნის სახითაა შესრულებული, ისე რომ მასწავლებლები ვერც რას იეჭვებენ. მოწყობილობის ღირებულება 160 დოლარია.

## ილაპარაკე

**კომპანია Casio-ს სიახლე — მთარგმნელი XD-ST6₂₀₀ — მოსმენით გამოიცნობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ და ჩინურ ენებზე წარმოთქმულ ფრაზებს. „ლაპარაკიც“ შეუძლია ამ ენებზე: საკმარისია XD-ST6₂₀₀ — რუსული ტექსტის შეყვანა, რომ მოწყობილობა თქვენს მოსაუბრეს გაუხმოვანებს თარგმანს.**



უფრო მეტიც, თქვენი სურვილისამებრ მოწყობილობა მამაკაცის ან ქალის ხმით დაილაპარაკებს, ხოლო True Voicl ტექნოლოგია იმას სავსებით ადამიანურად აქცევს. კიდევ ერთი სასარგებლო ფუნქცია — მთარგმნელის სიტყვიერი მარაგის დამოუკიდებელი შევსება. ყველა დამატება ჩაიწერება არა მოწყობილობის შიდა მეხსიერებაში, არამედ გამოსატან SD ბარათზე.

მოწყობილობა უკვე იყიდება 400 დოლარად.

## გახდი

**იმას, ვისაც ზაფხულში ფორმის შენარჩუნება გადაუწყვეტია, კომპანია Slarp-ის მთარგმნელი ამოუდგება მხარში. ტექსტის თარგმნის სტანდარტული ფუნქციის გარდა იქ ჩადებულია წონის კორექციის პროგრამა. შეიყვანეთ PW-99²⁰-ში ინფორმაცია თქვენი წონის, სიმაღლის, გუნება-განწყობისა და რაციონის შესახებ და ის გიკარნახებთ, თუ რა შეიტანოთ მენიუში და პირიქით — რისი ჭამაც არ ღირს.**

მოწყობილობის წაღება თავისუფლად შეიძლება შორეულ მოგზაურობებში — ბატარეები 200-საათიანი უწყვეტი მუშაობისათვის იკმარებს. სპეციალური ალუმინის ჩანართი ამაღლებს PW-99²⁰ კორპუსის სიმტკიცეს, ასე რომ ამას ექსტრემალური დასვენების მოყვარულნიც დააფასებენ.



აპარატის ერთადერთი ნაკლი — მარტო ინგლისური ენიდან შეუძლია თარგმნა. სიახლის ფასია 380 დოლარი.

◉ ესეც ასე!

## ქორწილში ყველას დაასწრო



**სასაცილო და კურიოზული ისტორია მოხდა მოსკოვში ერთ-ერთ კაფეში, სადაც საქორწინო სუფრა ჰქონდათ შეკვეთილი. სანამ კაფე-ბარის შესასვლელში სტუმრები ნეფე-პატარძალს გაბედნიერებას ულოცავდნენ, დარბაზში მდიდრულად გაწყობილ სუფრაზე უზარმაზარი შავი ვირთხა აძვრა. იგი პირველად დიჯეიმ შენიშნა, რომელსაც საზეიმო მუსიკის მოგვარება ევალებოდა. მღრღნელმა მის ყვირილს ყურადღება არ მიაქცია და ნუგბარს შეექცა.** ისე იყო დამშეული, რომ მომსახურე პერსონალის ატეხილი ღრიანცელისთვის არ დაუგდია ყური. მთელი სუფრა გადაჭამა და როდესაც საქორწინო ტორტს მიადგა, მაშინღა იღრიალა დარბაზის ადმინისტრატორმა. მისი რისხვისა კი შეეშინდა ვირთხას და მაგიდა დატოვა. იძულებულნი გახდნენ სუფრა თავიდან გაეშალათ, დანახარჯი, რა თქმა უნდა, კაფე-ბარის ადმინისტრაციამ გადაიხადა. ვირთხის შესახებ სტუმრებსა და სახელგაბრწყინებულ ნეფე-პატარძალს არაფერი შეუტყვია. მისი დაუპატიჟებელი ვოიაჟის ფირზე გადაღება მოწვეულმა ფოტოგრაფმა შეძლო. გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ რედაქციაში ფოტო და ტექსტიც ვიღაც ინკოგნიტომ მიიტანა.

## რომ გათხოვდეს, ჯერ რუსული ენა შეისწავლოს



**მოსკოვის ზოოპარკში გერმანიის ქალაქ კრეიფელდის ზოოპარკიდან 11 წლის გორილა ჩამოიყვანეს. იგი ჯუნგლებში დაჭერილი წყვილის ტყვეობაში ნაშობი პრიმატია.** გორილას „მშობლიურ“ გერმანიაში მშვენივრად ესმოდა გერმანული ენა, ასრულებდა მომვლელთა ბრძანებებს, დამთვალიერებელთა საუბარს თავისებური ჟესტიკულაციით პასუხობდა. მოკლედ მშვენივრად ჰქონდა ათვისებული გერმანული ენა. მას მოსკოვში ადგილობრივ მამრთან შეაჯვარებენ, მაგრამ საქორწინო ღამემდე მან რუსული ენა უნდა „შეისწავლოს“. სწორედ ამისთვის მას გერმანიიდან გიდი ჩამოჰყვა. გერმანელი ფრაუ მას რუსულს შეასწავლის. მოსკოველი ზოოლოგები დარწმუნებული არიან, რომ რუსი და გერმანელი გორილები ერთმანეთს გაუგებენ და შეწყვილდებიან.

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „კრისტალი-1887“-ის დირექტორატი იწვევს საზოგადოების აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 8 სექტემბერს დღის !2 საათზე ქ. თბილისში, მეველის №20-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის წლიური ანგარიში (წლიური ანგარიშის დამტკიცება დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთადძ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
5. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე აქციონერებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში.

სააქციო საზოგადოება „კრისტალი 1887“-ის აქციონერებს კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სააქციო საზოგადოების „კრისტალ 1887“ის რეესტრის მწარმოებელთან — შპს „რეგისტრი“ (მის: ჭავჭავაძის გამზ. 74 ა ტელ: 230-109, 230-068ძ.

**გენერალური დირექტორი
ალექსანდრე ჩხეიძე**



შვილები გიგი, თაკულა, ნათესავები, მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გოგა გორგასანიძე

პანაშვიდი 16 VIII, 18 სთ. დიღმისი მასივი, IV კვ. XIII კორპ. გამოსვენება 17 VIII, 15 სთ. წმინდა ლაზარეს ეკლესიიდან. დიღმის მასივი — კინოსტუდიის ტერიტორია.

---

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის მე-2 ჯგუფის 1967 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

ნათელა რუსიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა სურამში 17 აგვისტოს, 14 სთ-ზე.

---

მეუღლე რომანოზი, შვილები ეთერ, ელენე გიორგაძეები, სიძეები ფელიქს ბესტავაშვილი, ვასილ ჩაჩიბაია, შვილიშვილები ლიკა, ნათია, ნუცა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კლავდია სტეფანეს ასული გიორგაძე

პანაშვიდი 15, 16 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 17 VIII, 15 სთ. მისამართი: კუტუზოვის ქ. №20.

---

შპს „კომპანია საქთხევადგაზის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ავთანდილ გველესიანის ოჯახს მამის

ზურაბ გველესიანის

გარდაცვალების გამო.

**სარწმუნოება**

# წმიდა პირველ მოწამე რაჟდენი



**16 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს პირველმოწამე რაჟდენს, რომელიც წარმოშობით სპარსელი იყო. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოში დარჩა.**

ვახტანგ მეფემ რაჟდენს სოფელნი და აგარაკნი მიანიჭა და „საკუთარ და თანამზრახველ თვისსა ყო იგი“. ვახტანგ გორგასალმა წინასწარ გაამაგრა ციხე-ქალაქი, როცა გაიგო, რომ სპარსეთის მეფე საქართველოზე გალაშქრებას აპირებდა.

...ომის დროს თავი ისახელა „ახოვანმა წყობათა შინა და გამოცდილმან, რჩეულმა მებრძოლმან“ – რაჟდენმა, რომელიც ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი სარდალი იყო. ღვთის შეწევნით მან მრავალჯერ აგემა დამარცხება მტერს. განრისხებულმა სპარსთა მეფემ ბრძანა ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული სპარსი.

...ერთ-ერთი შეტევის დროს რაჟდენი შეიპყრეს და მიჰგვარეს მეფეს. მეფემ დიდად გაიხარა ქართველთა რჩეული მხედრის ხელში ჩაგდებით. დილეგში მყოფი რაჟდენი ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის ძალა მოთმინებისა, რათა არ ელალატნა ქრისტესთვის...

წრომში რაჟდენი ჯვარზე გააკრეს, შემდეგ კი ისრები დაუშინეს... მისი ბოლო სიტყვები იყო: „ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა“.

ღამით იქაურმა ქრისტიანებმა გარდამოხსნეს ჯვრიდან წმიდა მოწამის გვამი და ფარულად მიწას მიაბარეს. რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში, ნიქოზის საკათედრო ტაძარში გადმოასვენეს მოწამე რაჟდენის გვამი. სწორედ ამ დღიდან დაწესდა მისი მოსახსენებელი დღეც.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**ინფორმაცია**

# ყველაზე სასურველი საპატარძლოები

**ჟურნალმა „Forbes“-მა გამოაქვეყნა ყველაზე მდიდარი საპატარძლოების ათეული. პირველ ადგილზე ცათამბჯენების, კაზინოების, გოლფის მოედნების მფლობელის, ბესტსელერების ავტორისა და პოპულარული ტელეშოუების ინიციატორის დონალდ ტრამპის 24 წლის ქალიშვილი ივანკა ტრამპი გავიდა. მან პენსილვანიის უნივერსიტეტი დაამთავრა, მუშაობდა მოდელად. ახლა მამასთან თანამშრომლობს.**

მეორე ადგილი 24 წლის პერის ჰილტონს ხვდა წილად. მამამისი სასტუმროთა ქსელ ჰილტონის მფლობელია. ყველასგან მოულოდნელად მესამე ადგილზე გავიდა 45 წლის ჯულია ლუ-დრეიფუსი, ფრანგი მილიარდელის ჯერარ ლუი-დრეიფუსის ქალიშვილი. მეოთხე ადგილზეა რუსეთელი, მეტალურგიული მრეწველობის „მეფის“ ანისიმოვის 21 წლის ქალიშვილი ანია ანისიმოვა.




## გჯერათ თუ არა ამინდის პროგნოზის?

*გამოკითხვაში 500-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. შედეგები კი ასეთია.*

| | |
|---|---|
| მიჯობს ამინდსა და თერმომეტრს დავუჯერო | – 70 პროცენტი; |
| ყოველთვის მჯერა პროგნოზის | – 15 პროცენტი; |
| არავისი არ მჯერა | – 10 პროცენტი; |
| პროგნოზს ვისმენ, მაგრამ საწინააღმდეგოდ ვმოქმედებ | – 5 პროცენტი. |

**გვემრავლოს!**

# სულიკო ლაზარაშვილს ბიჭიანობას ვულოცავთ!..



**ყველაფერმა კარგად ჩაიარა და თბილისის მე-2 სამშობიარო სახლის „სიმართლის წიგნში“ ჩაიწერა: „ეკა კაკაურიძე-ლაზარაშვილს მესამე შვილი – ბიჭი შეეძინა. მოამშობიარა ექიმ-გინეკოლოგმა ნოდარ გომელაურმა.**

15 აგვისტოს ჯანმრთელი დედა-შვილი სამშობიარო სახლიდან შინ დაბრუნდნენ, იქ კი პატარას უფროსი და-ძმა ელოდა.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულწრფელად ულოცავენ გამომცემლობა „მაქსიმუმის“ დირექტორს, ბატონ სულიკო ლაზარაშვილს მესამე შვილის შეძენას. ღმერთმა სახელოვანი ქართველი გაზარდოს პატარა ლაზარაშვილი!**

**ჩვენი ტელეფონია: 98-96-33.**

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

**ანეკდოტები**

– მართლაც როგორი ლამაზი ხართ, თვალწარმტაც-თავბრუდამხვევი, პრაქტიკულად უნაკლო, – ეფერება კაცი ქალს! – სად არის ის თქვენი პატარა დეფექტი, რომელზეც საქორწინო განცხადებაში წერდით?

– სად, სად და... ჯერჯერობით სკოლაშია, მაგრამ მალე მოვა!

* * *



– მითხარით, თუ შეიძლება, ეს თევზი ახალია? – ეკითხება კლიენტი მაღაზიის გამყიდველს.

– არ ვიცი, მხოლოდ სამი თვეა, რაც აქ ვმუშაობ.

* * *

ცხოვრებაში ყოველთვის არის ადგილი გმირობისთვის, მაგრამ გმირობის შემდეგ ყოველთვის როდი რჩება ხოლმე ადგილი ცხოვრებისთვის.

* * *

– როგორი ამინდია ახლა თქვენთან?

– არ ვიცი, ინტერნეტი არ მუშაობს...

* * *

ახალგაზრდა გოგო სარკის წინ ტრიალებს:

– როგორ მიყვარს ეს სავსე მკერდი, როგორ მომწონს ჩემი გამოკვეთილი თეძოები, როგორ ვაღმერთებ ჩემს თლილ ფეხებს, მაგრამ რა ვუყო ამ ქონს, რომელიც ყველაფერ ამას მალავს?!

* * *

რესტორნის ოფიციანტი ლანგრით უახლოვდება კლიენტს:

– ყავა თუ ჩაი?

– ალბათ, ყავა, – უპასუხებს კლიენტი.

– ვერ გამოიცანით, ამ ფინჯანში ჩაია...

* * *

– ქალიშვილო, ეჭვებისთვის თავი ვერ დამიღწევია – არ შეიძლებოდა, რომ აქამდეც სადმე მენახეთ?

– არ შეიძლებოდა, მაშინ ძალიან ბნელოდა!

* * *

ელექტრომადუღარის რეკლამა: „ნუ დაიღებთ ცოლვას, ნუ მოკლავთ საკუთარ ცოლს საოჯახო საქმიანობით. დაე, ეს ელექტრობამ გააკეთოს“.

**დღის კადრი**

**მოსკოვის ზოოპარკის ვოლოკამსკის ზოოპიტომნიკში ვიკუნების (აქლემთა მონათესავე-უნიკალური ჯიშიაძ ოჯახს პაწაწინა ვიკუნი შეეძინათ. ზოოპარკში ამ ჯიშის ცხოველები ორი წლის წინათ მიიყვანეს. ევროპის ერთ-ერთი პარკიდან მოსკოველებს სამი მდედრი და ერთი მამალი ვიკუნი აჩუქეს. „კავალერი“ ერთი დღითაც არ მოსცილებია თავის ჰარამხანას. მისი თავგადაკლული მზრუნველობა იმით დასრულდა, რომ შარშან სამივე „ქალბატონმა“ პაწაწუნები შობა. ყველაფერი ამით არ დასრულებულა – ერთმა მდედრმა ვიკუნმა რამდენიმე დღის წინათ ამ ფოტოზე გამოსახული შვილი გააჩინა.**

**სხვათა შორის დედამიწაზე ვიკუნების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა მას შემდეგ, რაც ბრაკონიერებმა მისი განადგურება დაიწყეს რბილი, თბილი და ლამაზი ბეწვის გამო. ვიკუნის ბეწვისგან შეკერილი ქურქი 20 ათასი დოლარი ღირს. უძველეს დროში ვიკუნის ბეწვისგან შეკერილი მოსასხამის ტარების უფლება ინკების მთავარ ქურუმს ჰქონდა.**



**ლარის კურსი**

**16 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3232 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7580 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2390 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0656 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9838 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4416 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.